

ზურა ოდილავაძე

ნიუ-ბაბილონელი მეთოჯინები



ზურაბ ოდილავაძე

ნიუ-ბაბილონელი მეთოჯინები

ზურაბ ოდილავაძე
ნიუ-ბაბილონელი მეთოჯინები
რომანი

პირველი გამოცემა
ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა, თბილისი, 2013

ყდის დიზაინერი: **თამუნა თათელაძე**
დამკაბადონებელი: **გიორგი კველიშვილი**

© ზურაბ ოდილავაძე, 2013
ყველა უფლება დაცულია.

შპს „ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა“
ალმაშენბლის 150, თბილისი 0112
ელფოსტა: info@sulakauri.ge

ISBN 978-9941-15-944-2

www.sulakauri.ge

Zurab Odilavadze
????????????????

First edition by Sulakauri Publishing,
Tbilisi, Georgia, 2013

Cover design by Tamuna Tateladze

© Zurab Odilavadze, 2013
All rights reserved.

Sulakauri Publishing
Agmashenebeli Ave.150
0112 Tbilisi, Georgia

„უვიცობა მსოფლიოში საუკეთესო მეცნიერებაა, იგი უშრომლად მოგვეცემა და არ აღონებს სულს!“

ჯორდანო (ფილიპო) ბრუნო

პროლოგი

ახალი ბაბილონი, 2000-2007 წლები

კალამი ხელში ასურელი მესანთლის გაბოია „შტერისა“ და ნიუ-იორკელი გმირის, ჯიმ ფილცუოტერის მწარე ხვედრმა ამაღებინა. ასური სოფელია იმერეთში, ახალი ბაბილონის ეპარქიაში, ნიუ-იორკი ნიუ-იორკია, მსოფლიოს დედაქალაქი! ორივე მოკვდავზე სიმართლეს დასაწყისშივე გაგიმხელთ: პირველი მათ შორის – გაბოია – ამქვეყნად გახლავთ ტანჯვისთვის განწირული, ხოლო მეორე, ჯიმ ფილცუოტერი – ჯოჯოხეთში კბილთა ღრჭენისთვის.

ვინ იცის, რომელი ყოფაა მეტი, უპირატესი, ვინ გაავლო ზღვარი მიწიერსა და შემდგომ ცხოვრებას შორის – სიკვდილმა? სულ ერთმა წამმა?! არა, ორივე ჩაგრული საბრალოა, ორივეს სჭირდება შეცოდება და შველა. ვიცი, ჩემი მწერლური ექსპერიმენტი არ დამთავრდება კარგად – ბევრი ქვა მომხვდება და ბოლოს ქართული ინკვიზიციის მართალ ცეცხლში დავინვები, მაგრამ სინდისის ქენჯნას და საკუთარ თავს ვერსად გავექეცი. გაბოია და ჯიმი, სასოწარკვეთილნი, მუდმივად ჩამძახიან: „შეგვიბრალე! მიდი, ხმა ამოიღე, იყვირე, ნურაფრის გეშინია!“ მეც თამამად შევუდექი ჩემთვის უჩვეულო ლიტერატურულ ღვანლს,

რადგან განვლილმა ხიფათიანმა ცხოვრებამ სიკვდილის შიშს შემაჩვია.

წელი მედავითნედ ვიყავი დადგენილი სოფელ ასურის ეკლესიაში, ან მეფსალმუნეყოფილი. მედავითნეობა უთუოდ მძიმე პროფესიაა – მთელი დღე ტაძარში დგახარ ფეხებდასივებული, ლოცვებს გაჰყვირი გამოთქმით და ამაში, ღვთაებრივი დივიდენდების გარდა, არაფერს იღებ. იერარქიულად უმდაბლეს საფეხურზე იმყოფები, თუმცა, მომავალში, მოძღვრის კეთილგანწყობით, შეიძლება მღვდლობასაც გამოჰკრა ხელი. ხუცურად მკითხველი ორატორი ხარ, ვარსკვლავებზე მეოცნებე, დედამინას მიჯაჭვული უხომადლო კოსმონავტი. მედავითნეობამდე ძლიერ ავად შევიქენი, ხანგრძლივმა რეანიმაციულმა ყოფამ კისერში გაყრილი კათეტერებით, გაუთავებელმა გადასხმებმა, უიმედობამ და ტკივილმა ცხოვრების აზრზე ჩამაფიქრა. დავრწმუნდი რა სოლომონ ბრძენის ცნობილი გამონათქვამის სიმართლეში, მინიერი ყოფის ამაოებაზე, ეკლესიაში მივედი ქრისტესთან, რათა ჭეშმარიტება მეპოვა. თითქოს მივაგენი კიდევ, რომ არა გაბოია და ამერიკელი შავკანიანი ჯიმი.

სანამ ასურელ მესანთლესა და ამერიკის შვილს – ნიუ-იორკის მეტროში მცხოვრებ შავკანიან მამაკაცს შევხვდებოდი, მანამ მღვდელი გიორგი გრძელიშვილი გავიცანი, ამავე წმინდანის სახელობის ეკლესიის წინამძღვარი. მე, მოსიყვარულე ბატონის მაძიებელი, ბრმად და გულმხურვალედ მივინდე მას. ნათელი ხსოვნა პირველი ეკლესიური წლების შესახებ ახლაც გულს მითბობს: გულმხურვალე, მონასტრული ტიპიკონით განუწვეტელი ლოცვა; ღვთისა და მამაოს უპირობო და სასურველი მორჩილება; სახარების კითხვა და სულიერი სიმშვიდე; ყოფიერების ნებისმი-

ერ კითხვაზე გასაგები და ნუგეშის მომცემი პასუხი; დიდი მარხვა გერგეთის სამებაში და მრავალი სხვა. მსგავსი ნეტარი ცხოვრება, სულიერ აღმაფრენაში ყოფნა, რაღა თქმა უნდა, მუდმივად ვერ გაგრძელდებოდა – მე შუბლით აგურის კედელს შევასკდი. წინაღობა, თავზე მოზრდილი კოპის ამოსვლის მიზეზს რომ წარმოადგენდა, გაბოია მესანთლისა და ამერიკელი ფილცუოტერის სევდიანი ისტორიის ქვა-კირით გახლდათ ნაშენი. სანამ ორივეზე მოგითხრობდეთ, ერთად გადავხედოთ ბაბილონს, მის ბინადართ.

თავი I. ახალი გაბილონი

ამბავი 1.

ქალაქი და ქალაქელები

„ქუთაისი ქალაქია, ინდუსტრიის მშენებელი, მონყე-
ნილი ბაბილონი – მისი დამამშვენებელი“.

ხალხური

დილით ეკლესიაში წავედი. დაღლილი დავბრუნდი და ისევ ტელევიზორს მივაჯივდი. წიგნის წაკითხვა დავაპირე. პულტს ხელში ვიღებ: „არა, არ გამორთო! რაიმე სიახლე არ გამოგრჩეს!“ – მკარნახობს პოლიტიზებული მე. ეკრანს გავხედე, ძირითადი არხები გადავათვალიერე. თითქოს ჯერ არაფერია მნიშვნელოვანი, ტელევიზორი გამოვრთე. სიგარეტი მინდა, მაგრამ აივანზე როგორ გავიდე – ახალი ამბები? არა, რაიმე კი არ ხდება, ოღონდ, ვაიდა, „ნიუსი“ გამეპაროს! უფრიდან სიგარეტს ვიღებ და ისევ ვრთავ წყე-ულ ყუთს. ერთ გარბენსაც ვაწყობ არხების სარბიელზე, ჯერ არაფერია საინტერესო. „იმედზე“ შევჩერდი, ხმას ავუწიე და აივანზე გავედი. კარი ღია დავტოვე, ინგას კვილი დაწყებისთანავე რომ გავიგონო, პულტიც თან მაქვს, პერანგის წინა ჯიბეში, ახლოს გულთან. ვდგავარ გისოსებიან აივანზე, ვაბოლებ, ვფიქრობ ყველაფერზე

ერთად, ანუ არაფერზე, და მთვლემარე პეიზაჟს უიმედოდ შევყურებ.

ო, რა მოსაწყენი სურათია! ალბათ, ბაბილონის შექმნისას ღმერთი გახლდათ დაღლილი, შაბათი იყო, ფერები დაენანა. გარშემო რუხი, ჭუჭყიანი, პასტელური ნახევარტონებით ნახატი, უღიმღამო ქალაქია. წინ ერთმანეთზე მიტმასნილი ხუთსართულიანი „ხრუშჩოვკების“ რიგი დგას, მიშენებული, სარეცხიანი აივნებითა და შუა ეზოში დაბრეცილი „გარაჟებით“. ხალისის მომგვრელი სხვა არაფერია. კიდევ მტვრიანი ქარი, ან კოკისპირული წვიმა, ან ორივე ერთად – ასეთია მუდმივად ბაბილონური ამინდი. ქარი წვიმას ცვლის, წვიმა – ქარს. ზამთარში უაზრო თოვლ-ჭყაპი იცის, ზაფხულში – მხუთავი მზე. მოკლედ, ნამდვილი რუსთავია – მსოფლიო პესიმიზმის დედაქალაქი. დიდ უიმედობას წინა კორპუსის კოხტად შელესილ-შეღებილი აივნები ნაწილობრივ აქარწყლებს. იქ მდიდრები ცხოვრობენ, ვერცხლისფერმანქანიანები, ერთი ჯიპიანიც კი!

ძუნწი მხატვრის უფერული ჩანახატი: ჩამოძონძილი ცაცხვის ხე; მოსაშარდად ფეხაშვერილი, უპატრონო, ინვალიდი ძაღლი; ახლო რესტორნიდან ამავე საჭიროებისათვის შემობარბაცებული მთვრალი; ეზოს გასასვლელ, ბნელ თაღში „ჩემი დედათი“ ჩამჯდარი „ძველები“. ღმერთი იყო თუ ადამიანი, არ ვიცი, უეჭველად დაღტონიზმით იქნებოდა დაავადებული! ერთი ხასხასა მწვანე ან წითელი ლურჯით, არა, რუხი, მოწყენილი, მტვრიანი, ვითარცა რუსთავი – ოჰ, ეს ქვეყნიერების სასონარკვეთის ცენტრი!

ორივე ქალაქი სავსეა მოწყენილი ლოთებითა და უსამსახუროდ დარჩენილი მორწმუნეებით. ბაბილონელებიც ამ ორ, დამკვრელური სმისა და მუდმივი მეორედ მოსვლის მოლოდინის პარტიაში არიან გაერთიანებულნი. საზოგა-

დოების მცირერიცხოვან ნაწილს წარმატებულები, ანუ 200 ლარზე მეტ ხელფასიანები და უფულო იელოველები წარმოადგენენ. ადრე ქურდებიც იყვნენ თავიანთი ქურდული „მასტებითა“ და „კაი ბიჭებით“. დღეს, რაოდენ გასაკვირიც უნდა იყოს, ეს ნიში თითქმის ცარიელია.

„ჯიპი“, სანომრე ნიშანზე გვარტომობის აღმნიშვნელი სერიით, ვალუტის გადასაცვლელი ჯიხური, ლომბარდი და „დუბლიონკა“ – თითო-თითოა ბაბილონში, ისიც მურმანის, ყავისფერჯვარქუდიანი და კობტა აივნის მფლობელის. „ოჯახმართალი“ მურმანის სახლში ყოველი სულდგმული: მისი მეუღლე, შვილი ცოლით, შვილიშვილები, მოხუცი ბებია; მრავალრიცხოვანი მამიდაშვილები, დეიდაშვილები, მაზლები, მულები და ბიცოლები; თბილისიდან ჩამობრძანებული სტუმრები და, თქვენ წარმოიდგინეთ, ერთი-ორი მეზობელიც კი – კვირა დილით ყველანი, ერთ მუშტად შეკრულნი, მურმანის დიდი „ჯიპით“ ეკლესიაში მიდიან. სიგნალიზაციაზე აყვანილ ბინაში მხოლოდ ჯეკა და მოსამსახურე ნადია რჩებიან.

ამასობაში დაღამებულია. დავიღალე, ოღონდ დაძინება არ ღირს. დღეს ტრისტანი დავინახე, ჩაცმულობით მივხვდი, ქუთაისში ახალი „ოპელ-ვექტრით“ ბოზებში გაივლიდა. დაბრუნდება ღამის 3-4 საათისთვის, მიაკვდება საყვირს. სანამ ძლივს გაღვიძებული მეუღლე, მაგული მე-5 სართულიდან ჩამოირბენს, ავტოფარეხის კარებს გააღებს, შემდეგ საჭეზე დაძინებულ ტრისტანს შეაღვიძებს, ეს უკანასკნელი ჯერ ცოლს შეაგინებს, მერე ავტოს შეაყენებს და სიგნალიზაციას ჩართავს – ერთი-ორი საათი გავა. რალა აზრი აქვს დახუჭული თვალებით წოლას და ისე ტრისტანის დედის გინებას?

ბაბილონში ღამე სჯობს დღეს, სიბნელე მეტად მიმზიდ-

ველია ჩვენთვის, ღამე ხომ არაფერი ჩანს. ეზოს გაფუჭებულ ონკანთან მხოლოდ ნათურებით განათებული რკინის მილების დიდი ჯვარი დგას. მთელი უბნის ცოდვები ზედაა მიმსჭვალული. ჩაუვლის დილით ლოთი, სამჯერ პირჯვარს გადაიწერს და წავა „პახმელიაზე“ დასალევად. მოკლედ, ბაბილონის ელიტა ღამეს ირჩევს: ცისკარზე ფილოსოფური აზრები, დღე კარგი ძილი, ღამის 2-მდე ტელევიზივი და ისევ თავიდან... ეჰ, სპირალივით ციკლურია ჩვენი შუმერული ყოფიერება.

ცხოვრების ბოლო ეტაპზე ხვდები – შემდგომი ყოფა მომბაზრებელია. დრო გაჩერდა და მხოლოდ სიკვდილის რუბიკონთან მიახლოება გიმძიმს, როდესაც უკანასკნელად თრთოლვა შეგიპყრობს, გული ძლიერად გაგჭვალავს და გაგაშეშებს. ამ ზღვრის გადალახვა მაშინებს, თორემ მე რა მენადვლება – აგერ ვარ, ქუთაისთან ახლოს, ჩვენ ხომ ყველანი ვცხონდებით! რადგან ამქვეყნად ასე გავიტანჯეთ ბაბილონის მოწყენილობით, იქ, საიქიოს, მაინც უნდა ვიყოთ კარგად, გვეკუთვნის! ასე გვანუგეშებს მამა გიორგი; ამერიკელები და ინგლისელები – პირიქით, ძალიან ცუდად! ფრანგები და გერმანელები – ამერიკელებზე უკეთ და ჩვენზე ცუდად – ასე ბრძანებს ცნობილი რუსი ღვთისმეტყველი პროკოფი ივანოვ-გემბელოვი და წინასწარმეტყველებს მატუშკა ევფროსინია სოფელ დურაკოვოდან.

ამგავი 2.

ბაბილონის გოდოლი

„ბაბილონის კოშკის აშენება მასზე ასვლის გარეშე რომ ყოფილიყო შესაძლებელი, ეს ნებადართული იქნებოდა“.

ფრანც კაფკა

ნიუ-ბაბილონის ცენტრში „დროზე გამარჯვების“ – მეფე ჰამურაბის სახელობის მოედანია: ერთ მხარეს „კულტურის სახლია“, მოპირდაპირე ფლანგიდან მას ბეჭებში გადაჭრილი „ბრონზეს“ სტალინი უცქერს ოდნავ მოჭუტული მრისხანე მზერით; ამ ორ, ხელოვნებისა და ტოტალიტარიზმის ძეგლებს შორის დგას რკინიგზის სადგური, პირდაპირ – დიდი პარკი მშენებარე ტაძრით.

„კულტურის სახლისა“ და სტალინის დანიშნულება ბაბილონში არავინ იცის, საჭიროებისთვის მიმდგარი ლოთებისა თუ ძაღლების გარდა. ერთ დროს ცენტრალური სადგური ახლა რიგითი გაჩერებაა. ყოფიერების ვულკანი ბაზარში იფრქვევა! იქ ისეთივე ფუსფუსი და ყაყანია, როგორიც ყველა თავშეყრის ადგილზე აღმოსავლეთში.

...ეპოქალური დრო გახლდათ – მე ბავშვი ვიყავი, ნიკიტა ხრუშჩოვი კი „ცეკას“ პირველი მდივანი. ყველაზე ნათელი მოგონება ბაბილონზე: მზე, გრილი ნიავი; პარკის შესასვლელში – დიდი, ტრიუმფალური თალის საბჭოური ნაირსახეობა; გვერდებზე – უზარმაზარი ქვის ამფორები, ხეები, მწვანე, კოხტად შეკრეჭილი გაზონები; წინ – რელსებიან „აბრამის მთაზე“ გორგოლაჭებით ასაგორებელი ცხვარი;

ნეილონის თეთრ პერანგებში გამონყოფილი, მკლავებდა-
კაპინებული, დაკუნთული და ოდნავ ღიპიანი ბიძები მეტა-
ლის ცხვრის სიმძიმეს ებრძვიან; ზვარაკის აგორების ხმა და
ბოლომდე ვერმიღწეულის უკან გრუხუნით დაბრუნება... ამ
მართლაც შესანიშნავი პარკის გამწვანებაზე, საბავშვო ატ-
რაქციონებზე, ფოტოსახელოსნოზე, სამხატვრო სალონზე,
სანაყინებლსა და შეყვარებული წყვილების ლამაზ სკამებზე,
უზარმაზარ შადრევნიან ცენტრზე არაფერს ვიტყვი. ასეთი
იყო ერთადერთი ოაზისი ბაბილონში.

იმ დრომ განვლო. დაიწყო „გარდაქმნები“, მას მოჰყვა
„ეროვნული მოძრაობის“ კატაკლიზმები. ახალმა ბაბილონმა
დამოუკიდებლობა მოიპოვა. სამეფოს ახალმა ხელისუფალ-
მა, ნებროთ II პრეფექტმა ბრძანა, პარკის ადგილას აშენებუ-
ლიყო დიდი ტაძარი.

„...თქვეს: ავაშენოთ ქალაქი და გოდოლი და
ცას მივუნჯდინოთ მისი თხემი... რათა შევიქმნათ
სახელი...“

(დაბადება, თ. 10, 2-8)

გაამაყებული ბაბილონელებიც თავიანთ თავში უზარ-
მაზარი გოდლის აგებას შეუდგნენ, რაც გარეგნულად ტაძ-
რის მშენებლობაში გამოიხატა.

ტაძრის საძირკველი მეუფე სესემ და ამ ეკლესიის პო-
ტენციურმა წინამძღვარმა, მამა გიორგიმ (გრძელიშვილმა)
აკურთხეს. ამოქმედდა შპს „ნებროთმშენი“. ამ დაუსრულე-
ბელი პროექტის დასაწყისშივე ბაბილონისთვის დამახასი-
ათებელი ერთი რამ მოხდა. ტაძრის საძირკვლისთვის დიდი
ორმო ამოთხარეს – ასე 50 მეტრის რადიუსის. ოპერაციას
მთელი პარკი შეეწირა, თავისი უშველებელი შადრევნით. მას
შემდეგ, ასე ვთქვათ – მშენებლობას „სიკვდილის ბუზი“ დაა-
ჯდა! ორმო კი ამოთხარეს, მაგრამ მისი ცემენტით ამოვსება

არ გინდოდა?! დიდიანო, ჭაზე ვერ იტყოდი, არც ძალიან დიდი ასახავდა რეალობას. ასტრონომიული ტერმინი – „მეგა“ თუ მიესადაგებოდა ამ თხრილის ზომებს. მთელი ბაბილონი ზიდავდა და ყრიდა „რასტვორს“ ამ ბაბილონის შავ ხვრელში, დღე და ღამე მუშა ჭიანჭველებივით შრომობდნენ. ჯერ კიდევ მდიდარი კომუნისტური სამშენებლო ბაზები და ტრესტები ცემენტისგან დაცარიელდა.

ჯერი ახლად ნამოჩიტულ, კერძო კოოპერატივებზე მიდგა. ფუნდამენტი კი იონას ნინევიელი გველეშაპივით ახალ და ახალ მსხვერპლს ითხოვდა. მშენებლობის დაწყებიდან სულ ერთ წელიწადში ღმერთმა დაინახა ბაბილონელ შუმერთა ქედმაღლობა და მათ ისე „აურივნა ენები“, რომ ერთმანეთისა არა ესმოდათ რა... სამუშაო შეწყდა – ბაბილონი სამოქალაქო ომის მორევში გადაეშვა და მის ცენტრადაც იქცა. ტაძრის ფუნდამენტი წვიმის წყლით ამოივსო.

კირიოს (დიდმა) „ლობიომ“ რიონ-ვეფრატეს კალაპოტის დაშრობის გზით აიღო ბაბილონის ცნობილი ალაყაფი – ამფორებიანი „ტრიუმფალური თალი“, პარკის შესასვლელში რომ იდგა. განსაკუთრებულად სასტიკი ლოკალური ბრძოლები ნებროთ II პრეფექტის საჯარისო შენაერთებთან „აბრამის ცხვრის“ გორაკთან გამართულა. წინააღმდეგობის გადალახვის შემდეგ სპარსეთის „მხედრიონმა“ თითქოს ტანკითაც გაუსრისა თავი გველეშაპს... მაგრამ ურჩხული მაინც გადარჩა...

დამოუკიდებელი ბაბილონის პირველმა მმართველმა, ნებროთ II პრეფექტმა, სენაკი, აბაშა, ხონი და ვანი, ზედა და ქვედა გომი გომნატეხებთან ერთად მარშით დალაშქრა. შემდეგ ის კვლავ კირიოს (დიდი) „ლობიოს“ „კაი ბიჭებმა“ განდევენეს. ორმო კვლავ წყლით ამოვსებული რჩებოდა. „ტრიუმვირატის“ მმართველობის ხანმოკლე პერიოდის შემდეგ

ედვარდ (გიორგი) „რევერსი“ ერთპიროვნულად გამეფდა. ამ დროს ამოქმედდა „რუსთავცემენტი“ და მშენებლობაც თითქოს განახლდა.

მართალია, ტაძრის ფუნდამენტში წყლის დონემ ნანილობრივ იკლო, მაგრამ ამჯერად ნებროთ II პრეფექტს მოუწია „პაბეგში“ წასვლა – მონარქთან პოლიტიკური უთანხმოების გამო. მალევე ნებროთი დაატყვევეს და ციხეში ჩასვეს. ჭა წყლით კვლავ პირამდე ამოივსო.

პრეზიდენტები მოდიოდნენ და მიდიოდნენ, მთავრობები იცვლებოდა, ქუჩაში ხან „ზვიადისტები“ დარბოდნენ, ხან „გვარდია-მხედრიონი“ დაქროდა დამტვრეული „ვოლგე-ბით“, იშვიათად დემოკრატებიც გამოყოფდნენ ხოლმე თავს. გადიოდა წლები. ამოცემენტებული ორმო წვიმის წყლით იყო დაფარული...

სწორედ იმხანად ჩაჰყრია საფუძველი ფრიად მისტიკურ მოვლენას – ყოველი პოლიტიკური კატაკლიზმის წინ ცემენტის აუზი ტბად იქცეოდა. მრავალრიცხოვან ბაყაყთან ერთად, როგორც ამას მოხუცები ჰყვებიან, ბაბილონის „ზღვაში“ ნინეველი გველეშაპი ჩასახლებულა და დღეში თითო ბავშვს ითხოვდა საჭმელად... ახლოვდებოდა „ეკლიანი ვარდების“ გარდამტეხი ეპოქა. ტბამ მწვანე აპკი გაიკეთა, მდორე წყლის დონე დღითი დღე დაბლა იწევდა.

ამ დროს აღსრულდა ერთი წინასწარმეტყველება: ბაბილონის ქალაქის პოზიციური ბრძოლებით დატოვების წინ ნებროთ II-მ ავტომატი იძრო, პრეფექტურას ჯერი დაუშინა და ისტორიული ფრაზა წარმოთქვა: „მე დავბრუნდები ბაბილონელებო!“ ...და მართლაც დაბრუნდა – იქუხა „ვარდების რევოლუციამ! „სროკიდან“ განთავისუფლებულმა ნებროთმა ბაბილონის დეპუტატად იყარა კენჭი. გამარჯვების შემდეგ მან შეპყრობილის სიჯიუტით კვლავ კოშკის აგებას

მიჰყო ხელი. რაც ბაბილონმა და რუსთავმა მოანერეს ხელი ცნობილ „ოქროს სამშვიდობო ზავს“, მშენებლობამ საბოლოოდ ამოისუნთქა. ცემენტით დატვირთული ქარავნები რუსთავიდან ბაბილონისკენ დაიძრა. ასე დაძმობილდნენ პესიმიზმისა და უსაზღვრო მონყენილობის ქალაქები – ძველი რუსთავი და ახალი ბაბილონი. იმჟამად საძირკველში ჩამდგარი წყალი სავსებით დამშრალიყო...

ჟამთა სვლამ რუსთაველი მონებიც გადაღალა აუარებელი ცემენტის გამოშვებით. ქარხანაში იმატა შრომის 24-საათიანი გრაფიკით უკმაყოფილებამ. რამდენიმე მონაც კი შეენირა უკიდევანო ცემენტომანიას. დიდი აჯანყება სპარტაკის მეთაურობით „რუსთავცემენტში“ ის-ის იყო, იწყებოდა. ფუნდამენტში ჩამდგარმა წყლის დონემ ისევ იმატა. გამოსავალი არსაიდან ჩანდა. მოიწყინა ისედაც უიმედობაში მყოფმა ორივე დაძმობილებულმა ქალაქმა.

ერთმა, პირველი შეხედვით უმნიშვნელო მოვლენამ, „ნებროთმშენს“ სულზე მოუსწო და ის კატასტროფას გადაურჩა. გიგანტური ხვრელის სანახავად ცნობილი ავსტრიელი არქიტექტორი ჩამოუყვანია თბილისიდან ჩამოსულ უფროსობას, იგი ექსკურსიაზე ყოფილა ნიუ-ბაბილონში. სტუმარს დაუხედავს საძირკველისთვის და მოსწონებია – დიდია, ოღონდ „აპასნია“ ახლოს მისვლაო. ბანკეტზე შემთვრალა. მეექვსე განსხვავებულის შემდეგ ჩეხურად თუ გერმანულად დაუწყია ყვირილი – ამხელა საძირკველი რად გინდათ, თქვე მართლა ბაბილონელებო; ჩემს დიდ ბაბუას ვერ ჰკითხეთ, იმან იცის „კოშკების“ ამბავი... თქვე ეშმაკის მოციქულებო! „ამ მასონს უყურე, რაცხას, გონია, კაის იძახისო“, – უთქვამს იქვე მჯდომ ბაბილონის ტაძრის წვერებიან მთავარ არქიტექტორს.

როგორც ისტორიული დოკუმენტებიდან ირკვევა, უცხო-

ელი „მწვალების“ კრიტიკას გარკვეული გამოძახილი უპოვია ბაბილონელების ჩაცემენტებულ გულებში. მას შემდეგ, რაც ნორჩ „ვარდებს“ „ეკლები“ ამოუვიდა, რამაც, თავის მხრივ, ნებროთის მწვავე ოპოზიციაში გადასვლა გამოიწვია, ცემენტის ნაკადმა საგრძნობლად იკლო. ისტორიაში შესულ, ცნობილ „ბაბილონ-ასურის კრებაზე“, როგორც იქნა, გადაწყდა საძირკვლის 10-ჯერ შემცირება. რუსთავის ამბოხიც ჩაცხრა.

...მშენებლობა აგერ 18 წელია, მიმდინარეობს. დღეს დიდი, ლამაზი ტაძარი დამთავრების პირასაა. ბაბილონელები კი აგრძელებენ გულში გოდლის აგებას. უზენაესიც კვლავ განრისხდა და ისევ აურივნა მშენებლებს ენები. ხალხი ქუჩაში დემონსტრაციაზე გავიდა.

ამჯერად წყალი მშენებარე სამრეკლოს საძირკველში დგება.

თავი II. ეკლესია

აბზავი 3.

ცხოვრება მამა გიორგი გრძელიშვილისა –
„სმენსშჩიკ“ ყოფილისა

„წარვიდნენ ის მამა-პაპანი და თან გაჰყვნენ ის სახელოვანი ღმერთის მსახურნიც, რომელთაც... ხელთ ეპყრათ ჩვენი ერის სწავლისა და განათლების საქმე... ახლა კი სულ სხვაა. დღეს სამღვდელოებას თითქმის დავიწყებული აქვს ჩვენი უწინდელი სამღვდელოების ღვაწლი ეკლესიისა და ქვეყნის წინაშე; დღეს ყოველი საკუთარი სტომაქისათვის იღვნის და საკუთარი სარგებლის დევნაშია გართული“.

წმ. ილია (მართალი) ჭავჭავაძე

მიტრიანი დეკანოზი, გამშვენებული ჯვრით – მამა გიორგი (გრძელიშვილი) ადამიანთა მოდგმას ხუთ კატეგორიად ყოფდა:

1. „მინიერ წმინდანად“ შერაცხული – ჩვენი მეუფე, მთავარეპისკოპოსი სესე და მასთან გათანასწორებული პირები – ადგილობრივი უფროსობა და დედაქალაქელი „ბიზ-მ-ესმენები“;

2. „მართლები“ – მორწმუნე მრევლის წევრები მბრძანებელი მღვდლისა და მისი მეუღლის გარემოცვიდან;

3. „უგუნურები“ – ვისაც ფული არ მოჰქონდა და დიქტატორი მამაოს უპირობო მორჩილებას არად აგებდა;

4. „შტერები“ – ასე გახლდათ მონათლული ყველა სოფლისთვის დამახასიათებელი ჭკუასუსტი, ჩაგრული „არარაობა“;

5. „ნაგვები“: ა) „კათოლიკეები – მასონები – იეღოველები“, ანუ ყოველი არამართლმადიდებელი ადამიანი – პროტესტანტი, ბაპტიستي, მუსულმანი, ბუდისტი და სხვა კონფესიის წარმომადგენელი. ბ) ბაბილონის ეპარქიის ფარგლებს გარეთ მცხოვრებნი. ნაწილობრივ – ახალგაზრდა თბილისელი მღვდლებიც: „ისინი მოკლედ შეკრეჭილ თმასა და წვერს ატარებენ, ფეხზე „ბოტასები“ აცვიათ, ვნებიან რომანებს კითხულობენ და კომპიუტერს იყენებენ, ბერძნულის მაგიერ ინგლისურს სწავლობენ“.

მამა გიორგის ნებისმიერ ქადაგებას, პროლოგის სახით, მღვდლის ცხოვრებისეული კრედო უძღოდა: „რად გინდათ თქვენი ინგლისურები, პიანინოები, მათემატიკები და კომპიუტერები? ვის უნდა ეგენი სასუფეველში?! მეც მოძღვარს მივბაძე, „გარყვნილი რომანების“ კითხვას თავი დავანებე, სასულიერო ლიტერატურაზე გადავედი და წიგნებში მხოლოდ „ზეციური იერუსალიმის“ დამკვიდრების გზებს ვეძიებდი“. ასე დაიწყო საკუთარი თავით მოხიზვლა.

ორმეტრიანი მღვდელი გრძელი წვერით, უკან შეკრული თმითა და ვნებიანი ბაგეებით, მუდამ მზად გახლდათ მორიგი ჭეშმარიტების წარმოსათქმელად. ის პატარასთან დიდი იყო და დიდთან უდიდესი. ანესთეზიოლოგთან – ნარკოზი იცოდა ექიმზე უკეთ, მასწავლებელთან – პედაგოგიკა. ყოფიერების შესახებ, როგორც მიწიერის, ასევე ზეციურის,

და მეორედ მოსვლის ზუსტ თარიღზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია! მამაო ამბიონიდან დაკოდილი ხარივით მუდმივად ღრიალებდა. ბლაოდა ისე, უმიზეზოდ, გაბრაზებული და გალურჯებული, დუჟების ყრით, გაუთავებლად, არაადამიანური ხმით. მამა გიორგისთან კამათი ან მისთვის შენიშვნის მიცემა მოკვდავთაგან არავის წარმოედგინა. ის მხოლოდ უპირობო ბრძანებებს გასცემდა და შენც ვალდებული იყავი, უხმოდ აღგესრულებინა დიქტატორის ნება. „ყოვლის მცოდნე“ მყვირალა მღვდელს მე „ფარაონი“ ვუნოდე.

ბევრი ვიფიქრე მამაოს ამგვარ გაშმაგებაზე და დავასკვენი – გაღიზიანების მიზეზი ბაბილონური ცხოვრების მომაბეზრებელი ერთფეროვნება და დილით ადრე, უზმოზე, მონოტონური ღვთისმსახურებისგან დაღლილობა გახლდათ: „ცოვა. ადექი 6-7-ზე, ჩაიცვი, სოფელში წაეთრიე მანქანით, ამ შტერებს წირვა ჩაუტარე, აქნიე საცეცხლური აქეთ-იქით; იბღავლე ზიარების წინ, იქადაგე და ისევ გალურჯებამდე იღრიალე, გასკდი, თუ გინდა, მაინც არაფერი ესმით ამ უგუნურებს! მერე იცადე 3-4 საათამდე, სანამ ტაძარი დაცარიელდება, უსმინე ამათ იდიოტურ კითხვებს და ბოლოს შესანიშნავი ყუთი გახსენი... კიდევ კარგი, ეს მაინც არის ნუგეშად. ამ დებილების თავში მაინც არაფერი შედის, ხომ არ ვეტყვი, ფული და საჭმელი პირდაპირ სახლში მოიტანონ, ოჯახად?!“

ღრიალი მხოლოდ და მხოლოდ მამაოს პრეროგატივა და უფლება იყო. ამ დროს მრევლი გაყურსული იდგა. ზოგს ბავშვობაში დავინწყებულმა უნებლიე შარდვის სენმაც შეახსენა თავი. მე, როგორც იტყვიან, მძიმე ბავშვობა-ყრმობა მქონდა, მუდამ მეშინოდა ყვირილის და უნებლიე შარდვის. „ფარაონ“-მღვდელი კი გაუთავებლად ბლაოდა და ბლაოდა. ჰოდა, მეც მეშინოდა, ვპატარავდებოდი და თავვივით სო-

როში ვერებოდი. უფრო სწორად, სანამ გავუჩინარდებოდი, წამოვედი.

მამაო კიდევ იმიტომ მოვიძულე, ჩვენი ეკლესიის მესანთლე გაბოია „შტერს“ უმონყალოდ რომ ჩაგრავედა. დამცირება იქეთ იყოს და, „შალაბანებს“ ურტყამდა დაუნდობლად ოთხკუთხედ, მოსვლეპილ თავში. გაბოიას ამოტრიალებული მსხლის ფორმის თავი ჰქონდა, თითქოს სპეციალურად ფართო, მამაოს „შალაბანებისთვის“ შექმნილი. როგორც ურო გრდემლს, ისე ხვდებოდა მესანთლის გულაბს „ფარაონის“ მსხვილი თითები. ახლაც ჩამესმის ყურებში გაბოია „შტერის“ თავის ხმა, საზამთრო რომ გამოსცემს, ისეთი.

მამა გიორგი ერთ-ერთ რეინკარნაციაში „ძველი ბიჭიც“ ყოფილა. ახლაც ვერ განიკურნა ბოლომდე, ამიტომ სცემდა უმონყალოდ მესანთლეს. ურტყამდა და ქურდული წესით, სხვების თანდასწრებით, ფეხსაცმელს აწმენდინებდა. ესეც „შავების“ კანონია, სხვების დასწრება დამცირებისას, ახლა უკვე – ქურდულ-მღვდლური. ჩემი აზრი მამაოს კრიმინალური ცნობიერების შესახებ ლიტონ სიტყვად რომ არ დარჩეს, გადავხედოთ ხსენებული დეკანოზის წარსულს...

ახალგაზრდა, მუქთახორა კაცის ძირითადი საქმიანობა შემდეგი იყო – ის ყოველ დილით ყალბი ოქროს ნაკეთობებს იღებდა და თავშეყრის ადგილებზე (ბაზარი, მეტრო, დიდი უნივერსიტეტი) „სავაჭროდ“ გადიოდა. აღნიშნული აფიორის შემსრულებელს ორი, აბსოლუტურად იდენტური „ხელოვნების“ ნიმუში (ბეჭედი, ჯაჭვი) აქვს: ერთი – ბაჯალლო ოქროსგან ნაკეთი, ხოლო მეორე – „კუკლა“ – მოქრული სპილენძისგან გამოჭედილი. ამ უკანასკნელს – „კუკლას“, რალა თქმა უნდა, ასევე ყალბი სინჯი ამშვენებს – „583“ ან „596“. მყიდველი ოქროს ნაკეთობას ხარბად ათვალიერებს, ხოლო შეძენისას, მას შემდეგ, რაც ქარხნული წარმოების

ნივთი ოქრომჭედელთან გაივლის ექსპერტიზას, აფერისტი შეუმჩნევლად ცვლის მას ყალბი ნიმუშით. ფოკუსის ჩატარება, გარეგნული სიმარტივის მიუხედავად, დიდ გამოცდილებასა და არტისტიზმს საჭიროებს. კრიმინალურ სამყაროში ამ ილუზიას „სმენკას“, ანუ შეცვლას, უწოდებენ.

ამგვარი „პატიოსანი“ შრომით გახლდათ დაკავებული ჩვენი „ბაბა იაგა“, როგორც მას იმხანად „შავები“, თავისი სიგამხდრისა და „ჯადოქრობის“ გამო ეძახდნენ. ასეთი პროფესია ჰქონდა ახალი ბაბილონის ეპარქიის მთავარეპისკოპოს სესეს ფავორიტს, მომავალ მიტრიან დეკანოზს, მამა გიორგის. „ნავაჭრი“ ფულის მცირე ნაწილი არაყს, ლუდსა და ხინკალს ხმარდებოდა, ხოლო უმეტესი ქურდებს და „ავტორიტეტებს“, ვითომ საერთო „აბშიაგში“ მიჰქონდათ. უმონყალო „მაყურებლებისაგან“ გადამალულ ფულის ნაწილს „ბაბა იაგა“ ორჯონიკიძეში დაარბენინებდა პლანის ასაღებად.

დაბალ იერარქიულ საფეხურზე მყოფი არშემდგარი კრიმინალები, რომელთაც „შნირებს“ უწოდებენ, როგორც წესი, მალევე ეშვებიან და „თხრილისპირა“ ლოთობით ამთავრებენ ცხოვრებას. მსგავსმა ბედმა არც მომავალ დეკანოზს აუარა გვერდი. ჩვენი თხრობაც აქვე დასრულდებოდა – თხრილის პირას, რომ არა „ბაბა იაგას“ მოხერხებული მეუღლე. მან ქმარი ეკლესიაში მიიყვანა. ასე დაიწყო მომავალი მოძღვრის „ღვთაებრივი“ აღმაფრენა.

მერე რა მოხდაო, ბრძანებთ თქვენ, ასეთი გამოსწორებულა და მეტი არაო? ღმერთმა ლაზარე აღადგინა მკვდრეთით და „ბაბა იაგას“ ვერ გარდაქმნიდა მამა გიორგითო? „გამოსწორება“ – კეთილი და პატიოსანი, ოღონდ თუ ზემოთ მოყვანილს გავითვალისწინებთ და შემდგომ თხრობას მივყვებით, ნათლად დავინახავთ: მატყუარა დეკანოზის

ანაფორით შეიმოსა, მიტრა და გამშვენებული ჯვარი მოირგო და ახლა ტაძარში ახორციელებს „სმენკას“. მან ქრისტე ღმერთი ეკლესიიდან გააძევა და მის მაგიერ თავისი ამაყი ნება და მანკიერი მოთხოვნები შემოიტანა – ასე ჩაატარა ასურელმა დეკანოზმა მორიგი სახალხო შეცვლა ქრისტესი – პიროვნული „კუკლით“. თუ ადრე „სმენკის“ ფოკუსს ერთ-ორ ადამიანს უტარებდა, ახლა ასობით მორწმუნეს „ატენის კუკლას“. განმეორდა ცნობილი ბიბლიური ისტორია: განხორციელდა უდიდესი ილუზია – ღვთიური ნების ადამიანურით შეცვლა!

ქრისტე ხალხში საქადაგებლად გაშვების წინ ასე არიგებს მონაფეებს:

„აჰა, მე მიგავლენთ თქვენ, როგორც ცხვრებს მგელთა შორის...“

(მათე 10, 16)

ჩვენს შემთხვევაში საქმე პირიქითაა – ეპისკოპოსის ხელდასხმით „მივლენილი“ მგელია ცხვრებს შორის.

ბაბილონელი მამა გიორგის განკითხვა გამიგრძელდა. მრევლის შეხედულებით, ის ხომ არაფერს აკეთებდა ესოდენ გასაკვირს, სხვა მღვდლებისგან განსხვავებულს?! უბრალოდ, წირვისას საკურთხეველში, სავარძელში მჯდომი ფეხსაცმელს წინ გასწევდა და გაბოიას დაუყვირებდა – „მიდი!“ – ამ დროს საჩვენებელ თითს ქვემოთ იშვერდა. მესანთლე ჭუჭყიანი ტილოთი იწყებდა შავი, ასურის ტალახში ამოსვრილი მოკასინის გაპრიალებას. გარშემო ნორჩი სტიქაროსნები იდგნენ და მამაოსთან ერთად ხარხარებდნენ. ამრიგად, სათუთად, „შავურად“ მოძღვრავდა „ფარაონი“ მომავალ ღვთისმსახურთ. ორმეტრიანი მოძღვარი გაბოიას კიდევ რას უშვრებოდა? თქვენ წარმოიდგინეთ, გაქცევისას კარგ მუჯღუგუნსაც მოაყოლებდა. პანღური ისეთი

ოსტატობით სრულდებოდა, იფიქრებდით, მორიგი რეინ-კარნაციისას ფარაონი „ბარსელონაში“ თამაშობდაო. ეს ყოველივე – „შალაბანები“, ფეხსაცმლის წმენდა და მუჯღლეუ-გუნები – გამუდმებული ღრიალის თანხლებით სრულდებო-და, დესპოტის მთავარი და გადამწყვეტი სათნოებით.

ეკლესიის დატოვება არ მსურდა. ცხოვრების ბოლოს ქრისტესთან განშორება ძლიერ მიმძიმდა, ამიტომ მსგავს ძალადობაზე თვალს ვხუჭავდი. მე მომავალი მღვდლების სიაში ჩავენერე და მედავითნეობის შესწავლაში ვპოვე ნუ-გეში. იმჟამად ჩვენს ეკლესიაში ერთდროულად მიმდინარე სამნუხარო და ფრიად დამაფიქრებელი მოვლენები განვი-თარდა. მათგან ერთი – მონაზონი ქალის, საბერე მორჩ-ილისა და ჩვენი ეპისკოპოსის ბნელით მოცული ისტორია გახლდათ. ბაბილონის ეპარქიის მრევლში „სასიყვარულო სამკუთხედის“ შესახებ დაუსრულებელი ბჭობა მიმდინარე-ობდა. ბავშვიც კი დაიბადა, ქუთაისში გადამალესო – ამ-ბობდნენ ბოროტი ენები. მხოლოდ მშობელი მამის ვინაობა დარჩა გაურკვეველი...

მეორე არასასიამოვნო ამბავი საპატრიარქოს ყოფილი პრესმდივნის, დეკანოზ ბასილი კობახიძის მიერ პრესითა და ტელევიზიით გაკეთებულ სენსაციურ განცხადებებს შეეხე-ბოდა. მის მიერ წარმოდგენილი საბუთები ცხადყოფდა, თუ როგორ შემოჰქონდათ მაღალ იერარქებს, მათ შორის ჩვენს მეუფეს, საბაჟო გადასახადის გვერდის ავლით – სიგარეტი, არაყი და ლუდი. ჩამოთვლილი „სამარხვო“ პროდუქტების დაუბეგრავი იმპორტი, თანაც ეკლესიის მფარველობით, დადასტურებულ გახლდათ ეპისკოპოსთა ხელმოწერებითა და სათანადო ბეჭდით.

ბუნებრივია, მომხდარმა სასტიკად ამაღლესა. გამიჩნდა მრავალი შეკითხვა. მე ხომ მღვდლები ღმერთებად წარ-

მომედგინა! მოკლედ აღვნიშნავ: ორივე აღწერილი პრობლემა „ქართული წესით“ გადაწყდა – მიზეზის რაც შეიძლება ღრმად ჩამარხვა მიჩუმათებით, მომხდარზე თვალის დახუჭვით. დეკანოზმა ბასილ კობახიძემ ჯვარი ჩამოიხსნა, ანაფორა გაიხადა და პატრიარქს მიაართვა; მონაზონი ქალი თავისი ბარგი-ბარხანით მამა გიორგიმ მანქანაში ჩასვა და სადღაც გააქრო; საბერე მორჩილი დააშინეს, მას ეკლესიასთან ახლო გავლაც კი აუკრძალეს. ჭირი – იქა, ლხინი – აქაო, – როგორც იტყვიან. მომხდარი დავინწყებას მიეცა.

იცით, ხსენებულმა ასურელმა დეკანოზმა, მეუფის მიერ დარიგებულმა, როგორ განმიმარტა, თუ რატომ უნდა ვყოფილიყავი ჩუმად და პირში წყალი დამეგუბებინა? დილით, როცა ქვემოთ მოყვანილი შემზარავი პასუხი მივიღე, მამა გიორგი პირდაპირ მეუფის რეზიდენციიდან მოდიოდა. მანამ, ჩემს კითხვებზე მღვდელი უბრალოდ დუმდა, რადგან ეპისკოპოსის კურთხევის გარეშე ვერ გაებედა დამოუკიდებელი „ახსნის“ წარმოთქმა. მე და მამაო დღისით, ასე 12 საათი იქნებოდა, სამსაუკუნოვანი ჭადრის ჩრდილქვეშ, სკამზე ვისხედით. მან ხელი გადამხვია და ნდობით „ზეგარდმო“ მეტყველება დაიწყო:

„ეკლესია ხომ ჩვენი დედაა – „დედა ეკლესია“, ჩემო ზურაბ... (ცისკენ აიხედა). ჰოდა, თუ დედაა, დედაშენი ბოზი რომ იყოს, ილაპარაკებ მასზე?!.. არა, არ ილაპარაკებ. ამიტომ უნდა იყო ჩუმად ახლაც“.

ეს ციტატაა!!! მამაომ დანარჩენ მრევლსაც დასადუმებლად იგივე, განსაკრთომელი „დედა...“-პასაჟი მოუთხრო. რადგან მე მონობა მანყობდა, რათა ეკლესიაში დავრჩენილიყავი მთავარეპისკოპოს სესეს და მამა გიორგის კურთხევით, დავიჯერე, რომ დედაჩემი ეკლესიასთან ერთად ბოზია და ამ „კეთილშობილ“ პარალელს გარშემომყოფთ, ამაყი სახით,

ყავისფერი, ჯვრებიანი ქუდით თავზე, ჩურჩულამდე დაბალი ხმით ვუძეოვრები. პროფესიით ანესთეზიოლოგ-რენიმატოლოგი გახლავართ. საკუთარი გამოცდილებით ვიცი, თუ როგორ ჭირს ავადმყოფის ღრმა ნარკოზიდან გამოყვანა. ჩემი ასურულ-ბაბილონური „ღვთაებრივი“ ძილიც დიდხანს გაგრძელდა – როგორც ჩანს, „ღმერთებმა“ ვენაში ანესთეტიკების დიდი დოზა შემიყვანეს. „ნარკანის“ ინექციამაც არ დააყოვნა (ნარკანი, ნალორფინი, ბემეგრედი – პრეპარატებია, რომელთაც ავადმყოფის ნარკოზიდან გამოსაყვანად იყენებენ)...

მამა გიორგის ეზოში მშენებლობისთვის „50-იანი ტრუბა“ დასჭირდა – ასე 7 მეტრის სიგრძის სქელი ფოლადის მილი. გაბოია „შტერმა“ ბეჭზე გადებული სიმძიმე ასურიდან ნიუ-ბაბილონამდე, მღვდლის სახლამდე ფეხით მოათრია! დილის ხუთ საათზე გამოსულს, 20 კოლომეტრზე მეტი დაუფარავს! საჭმელი აჭამეს, ერთი-ორი ჭიქა ღვინოც მიაყოლებინეს და მადლობით გამოისტუმრეს. ნარმატებით და განეული ღვანლით გათამამებული, იგი მამაოს მთავარ „სპონსორთან“ მივიდა და რკინით დასერილი ხელებისა და დედის სამკურნალოდ 50 ლარი სესხად გამოართვა. გახარებულმა აფთიაქში წამლებზე შეიარა, ბაზარში ლარიანი „კალბასი“ იყიდა და მამა გიორგისთან დაბრუნდა. მოძღვარს გაბოიას მათხოვრობის შესახებ ქველმოქმედისგან შეუტყვია. ფულის წყაროდან ვილაცამ ერთი წვეთი შესვა!

ეკლესიისკენ მიმავალ გზაზე, როდესაც მწუხრის ლოცვისთვის ასურში ბრუნდებოდნენ, მამა გიორგიმ თავისი მანქანის კარი შეხსნა და გინებისა და ნიხლის ჩაზელის შემდეგ გაბოია შარავზაზე, თოვლში გადააგდო! ტალახში ამოსვრილი „შავკანიანი“ მონა მომხდარს ტირილით მომითხრობდა, მადლობის მაგიერ, კიდო 15 კილომეტრი სახ-

ლამდე ფეხით გევიარე... თლათ გევიყინეო.

აღარ გავაგრძელებ, ჩემი ნარკოზიდან გამოსვლა დაჩქარდა, სულ ერთი-ორი შემოლანუნებალა მაკლდა, როგორც ამას ანესთეზიოლოგი აკეთებს ავადმყოფის გაღვიძებისას. იმ დროისთვის მე უკვე კრიტიკულად ავმეტყველდი. მამაო დაბლვერილი სახით მიყურებდა. მრევლმაც პირი იცვალა. რალაც საინტერესო ტერმინი შემომთავაზეს – „დაბრკოლება“. „ზურა, შენ ახლა დაბრკოლებული ხარ, განკითხვებმა იცის ეგო“. უცნაურია! უმსგავსობაზე ხმის ამოღებაა „დაბრკოლება“ თუ „შალაბანებ-პანლურ-ღრიალი“ და ამაზე დუმილი?! წირვა-ლოცვაზე მისვლასაც მოვუყელი. ადრე, 5 წლის განმავლობაში ხომ ყოველდღე, დილიდან საღამომდე მედავითნედ ვიდექი ეკლესიაში. ტაძარში მისულს 300-კაციანი მრევლიდან ყოველი ცალ-ცალკე მეკითხებოდა: „სად იყავი? რატომ არ დადიხარ?“ ზოგიც, მე რომ ვერ შემემჩნია, ისე, საფეთქელთან საჩვენებელ თითს იტრიალებდა, გააფრინაო. მივხვდი – სექტიდან წამოსვლის დრო დადგა!

მამა გიორგის 12-ფურცლიანი კრიტიკული წერილი მივწერე. ასე ვიცი, უთქმელობისა და მორცხვობის გამო. გაბოიას ხელით მამა გიორგისთან გაგზავნილ წერილში ამჟამად თქვენ წინაშე წარმოდგენილ „ლიტერატურულ“ მუქარაზეც იყო მინიშნება. დამატებით, რათა გაბოიას ჩაგვრა იმ დრომდე შემემცირებინა, სანამ ესოდენ „მდიდარ“ მასალას თაროებად დავალაგებდი და ყოველივეს აღვწერდი, წერილს ამგვარი გაფრთხილება დავურთე: „... თქვენ, მამაო, ადამიანის ძალადობრივი გზით სიკვდილამდე მიყვანისათვის კანონის წინაშე ამქვეყნადვე უნდა აგოთ პასუხი!“

ეს უკანასკნელი ფრაზა ტელევიზორში მქონდა მოსმენილი იმჟამინდელი სახალხო დამცველის, სოზარ სუბარისგან. მოყვანილ ციტატას მისი ავტორის სახელიც მივანერე...

რა მოუვიდაა?! მაგრად დაფრთხა, კურდღელი! აი, გაბოია „შტერის“ მონათხრობი:

– სალამოს მივედი გუშინათვე, თხილი ჩამოუტანე ასურიდან მაგ დასაწვავს! ერთი დიდი „მეშოკი“ თხილი ძლივს მევიპარე, დედაჩემს არ დეენახა, ისე. ტომარა რო ჩავცალე, მამაო კეთილი სახით მეუბნება – ბიჭო, გაბოია, მე სამი შვილი მყავს და შენ მეოთხე იქნებიო... ძალიან, ძალიან მიყვარხარო. კილამე იტირა, ბიჭო! იმფერი სახე ქონდა, ადრე, კაი რო იყო, 12 ლარს რო მაძლევდა! რა სიყვარულის ბუშტი გოუსკდა მაგ მხეცს შენი წერილის მერე, ხედავ?!

შიში შეიქმს მლიქვნელობასო – ამ „მამობრივ“ გამოძახილზე შეიძლება ითქვას. გაბოია „შტერის“ შვილად აყვანიდან ერთ კვირაში მამა გიორგი მიხვდა, რომ მოტყუვდა და ჩემი გაფრთხილება ომბუდსმენის თაობაზე არ შეესაბამებოდა სინამდვილეს. ამაოდ გამჟღავნებული მლიქვნელობის და ფუჭად დაღვრილი ცრემლის გამო ისე სცემა მესანთლე, ძლივს გამოგლიჯეს ხელიდან სტიქაროსნებმა. ეკლესიის კაფელიან იატაკზე ბევრი სისხლი დაღვრილა...

ზემოთ აღვნიშნე ჩემი ძნელი ბავშვობის შესახებ. სულ მეშინოდა, მეც არ მცემოს-მეთქი, არც უნებლიე შარდვა იყო სასურველი. ფეხსაცმლის წმენდას კი ავიტანდი, „შალაბანსაც“ არა უშავდა, მაგრამ ბლავილი, მოკასინიან პანდურთან შერწყმული, ჩემს ყრმობაში დაზიანებული ფსიქიკისთვის უკვე მეტისმეტი იქნებოდა. მთელი 5 წელი მედავითნის როლში გაცოცხლებული ვუცქირე ამ ფანტასმაგორიულ, ბლავანა ცხოველს და ველარ გავძელი, წამოვედი. აქამდე ჩამესმის ძილში „ფარაონის“ „დედის ნანასავით ტკბილი“ ხმა და გაუღვიძებლად ხელებს ვიფარებ აქაფებული დუჟისგან დასაცავად.

აგზავნი 4.

დედა ოფელიას „ღვთაებრივი“ კვერცხი ჩინეთის პატარა იმპერატორისთვის

„უიმედო სნეულებები საჭიროებენ უიმედო
ნამლებს“.

ინგლისური ანდაზა

მოკლედ შევჩერდები მთავარეპისკოპოს სესეს ღვთაებრივ იპოსტასზე და მის მონუმენტურ სიმშვიდეზე. მართალია, მეუფე მუდმივად მრავალმნიშვნელოვნად დუმს და „ღვთიური“ პასუხის ღირსად არავის მიიჩნევს, ყოფიერების შესახებ მან ყოველივე დანამდვილებით იცის. მათ შორის: ორჯერ ორი უდრის ოთხს; ვინ მოხვდება ჯოჯოხეთში და ვინ სამოთხეში – ის ხომ პირადად განაგებს ამ განაწილებას; ინგლის-ამერიკა ძალიან ცუდია, საფრანგეთ-გერმანია – ნაკლებად. აბა, როგორ იქნება?! ასე სურდა საბჭოეთს და ამგვარია თანამედროვე რუსული კურთხევაც; როგორ რეგულირდება „ტოიოტას“ ჯიპის „პრისკი“ და რა ნაკლი აქვს მის „ხადავოის“.

თუ „ფარაონ“-მოდერის მთავარი სათნოება ბლავილია, ჩვენი მეუფის გადამწყვეტი ღვანლი მრავალრიცხოვანი ფანტასტიკური მითების შექმნა-გავრცელებაა. ცისფერ ეკრანზე ჯერ კიდევ ქუჩების პოსტრევეოლუციური ნაგვის-გან განმენდის სცენებს აჩვენებდნენ. ჩამობრძანდა ბაბილონის მთავარი მითოლოგი, შეკრიბა მღვდლები და დამწუხრებულმა წარმოთქვა:

– მაგარი არაეროვნული მთავრობა მოვიდა, ძმებო!

ეპისკოპოსმა – მღვდლებს, მღვდლებმა – მრევლს, მრევლმა – „უგუნურ“ არაეკლესიურებს, „უგუნურებმა“... – „თხამ ვენახი შეჭამა“. დაიწყო „ეკლესიური“ მიტინგები! ასეთია სეკულარული ეკლესიის მღვდელმთავრის გავლენა ხალხზე. მორიგ სამღვდელთა შეკრებაზე მკაცრად ნეიტრალურმა და აპოლიტიკურმა მითოლოგმა ბრძანა:

– ახლა ნახეთ, რა დაიწყება! თბილისში მღვდლებს იბარებენ, მათ მისამართებს და მონაცემებს ინერენ – მეორედ მოსვლის აშკარა ნიშნებია! იწყება დევნა და დგება ჩვენი მონამეობრივი აღსასრულის დრო! ჟამი ნგრევისა და „მხეცისა“, დრო სამი ექვსიანისა!

სულ რამდენიმე დღეში იერარქის ნაქეზებით გათამამებული მამა „ფარაონი“ ადგილობრივ „უგუნურებს“ ტელეკომპანია „რიონი-II“-ის ეთერით გვამცნობდა: „2008 წლის პირველსავე თვეებში იწყება! მოდის! მოემზადეთ მეორედ მოსვლისთვის – ჩურჩხელებია კარგი, დიდხანს ინახება, თანაც გემრიელია!“

განვმარტავ: რუსეთის მონასტრებში გათლილი კარტოფილის ქერქს არ აგდებენ – ახმობენ და მომავალი მეორედ მოსვლის შიმშილის მოლოდინში ინახავენ. მამა გიორგის გამხმარი, მიწიანი ქერქი არ ეგემა, სამაგიეროდ, ჩურჩხელა გამოიგონა, რაზეც ერთხელ გაბოია „შტერმა“ მიუგო:

– მამაო, ჩურჩხელა რაფერ შეინახება? თხილს თაგვები და ჭიები შეჭამენ! ჩურჩხელას კი არა, ცელოფანში გახვეულ ფულს არ მიყენებდნენ მაი ოხრები დაა!

ენა ჩაიგდე, შე შტერო-დებილოო, გალიზიანდა მესანთლის გამჭრიახობით მოძღვარი. ასე იყო თუ ისე, ტელევიზორში მოსმენილი გაფრთხილების შემდეგ ნიუ-ბაბილონში მეორედ მოსვლისთვის მზადება დაიწყო, ჩურჩხელები დახლებიდან გაქრა. ყოვლად ბაბილონის მრევლი მამა გიორ-

გის მიერ ეკლესიური გაზეთიდან ქსეროქსზე გადაღებულ მონოდებას კითხულობდა. მომყავს ზუსტი ტექსტი:

„იცი ნიშნები ანტიქრისტესი?! ერთი, მხოლოდ შენ ნუ დაიმარხავ, არამედ დაულალავად ამცნე ყველას“ (წმ. კირილე იერუსალიმელი).

„ცოტა ხნის წინ ბერი გაბრიელის საფლავზე გახლდით. იქიდან კი შიო მღვიმის მონასტერში ავყევი მრევლს...“ – ასე მშვიდად და „მართლად“ იწყებდა ავტორი სტატიას.

„... წყალთან შევჩერდი. მოულოდნელად უკანიდან უცნობი ბერი მომახლოვდა, რამდენიმე წინადადება მითხრა და ისე დამტოვა, სახელიც ვერ ვკითხე. ანდა, რა მნიშვნელობა ჰქონდა, მან ხომ თავისი სათქმელი თქვა“ – უკანიდან მოპარული უხილავი ბერის მოახლოებით შეშინებული კორესპონდენტი ახლა ჩვენ გვატყუებდა ურცხვად, წინიდან, პირში! აი, რა უთქვამს „უჩინმაჩინს“: „ჩვენთან, მონასტერში ერთ-ერთ ბერს მამა გაბრიელი გამოეცხადა, რომელმაც გააფრთხილა: „წელს ყველა მართლმადიდებელი ქართველი ეცადოს სწორად მოიქცეს ერისა და ღვთის წინაშე, მომავალი წლიდან კი უკვე უფალი გადაწყვეტსო ყოველივეს – ეს თქვა ბერმა და განმშორდა, თუმცა ეს სიტყვები რატომღაც მეორედ გამიმეორა!!! რას ნიშნავდა, არ ვიცი, თუმცა იქნებ ენიშნა, რომ ბერ გაბრიელზე უნდა დამენერა?“.

მოყვანილ წერილს ფურცლის სულ მეხუთედი ეჭირა, ოღონდ კურსივით გამოყოფილი. ტექსტის დანარჩენი მოცულობა, როგორც ეს ტყუილს დამაჯერებლობისთვის სჭირდება, სახარებისეული ციტატებით და წმინდა მამათა გამონათქვამებით იყო შეზავებული. ყველაზე დიდ გაცეცხას ის იწვევდა, რომ საიდუმლო მხოლოდ „მართლმადიდებელ ქართველებს“ უნდა სცოდნოდათ. მათ შორის არ მოინახებოდა ადგილი ჩემი არაეკლესიური დედისთვის, არც ჩემი

„უგუნური“ შვილებისთვის, კათოლიკე ჯიმ ფილცუოტერის სიაში ჩაკვებებაზე ხომ ფიქრიც კი ზედმეტი იქნებოდა!

წირვას აღარავინ ადევნებდა თვალს, აღარც ქადაგება შეიქნა საჭირო. 5-10-კაციან ჯგუფებად დაყოფილი მრევლი, რომელთაც თავისი გადაქსეროქსებული პროკლამაციით თითო მკითხველი ხელმძღვანელობდა, 2008 წელს მოსალ-ოდნელ მეორედ მოსვლაზე ბოდავდა. კითხვაზე, თუ „როდის იქნება ყოველივე ეს“ – ქრისტე პირდაპირ, არაორაზროვნად პასუხობს მონაფეებს: „არათუ ჩემგან, არამედ ზეციურ ან-გელოზთაგან დაფარულია მეორედ მოსვლის თარიღი“. მერე რაა, როო?! ხომ შეეძლოთ სესესა და მამა გიორგის, ყოვე-ლივე ქრისტეს გვერდის ავლით გაეგოთ?

ახლა კი მთავარზე!.. იცის კი ვინმემ „უგუნურთაგან“, რა რიგის მოვლენაა თქვენს ტაძარში ბაბილონის ეპისკო-პოსის მობრძანება?! მღვდელი მრევლთან ერთად ერთი წლით ადრე იწყებს შიშნარევ მზადებას. „ღვთაება“ პრანჭია გოგოსავით ხან დღეს მოდის პაემანზე, ხან სამ დღეში, შემ-დეგ, უცებ უარზეა მოუცლელობის გამო – მკაცრი „მამიკო“ არ უშვებს და, აი, დგება ნეტარი წამი! ტაძართან ჩერდება დიდი შავი „ჯიპი“ და გადმოდის ქვის მრისხანე კერპი, ისე-თი, „პასხის“ კუნძულზე რომ დგას, ოღონდ პატარა ტანის, გაცილებით მცირე.

ადამიანის სიმაღლე მის ავ-კარგიანობას თავისთავად არ განსაზღვრავს. ისე, რალა თქმა უნდა, დაბალს მაღალი სჯობს. პატარა პიროვნებას კომიკურს მისივე მცდელობა ხდის, ყველა ხერხით „გაიზარდოს“ და საკუთარი პერსო-ნის მნიშვნელობას გაუსვას ხაზი. თუ ადამიანი ღვთისგან მინიჭებულ მცირე სიმაღლეს, როგორც მოცემულობას, ისე აღიქვამს, პიროვნულ განვითარებას ორმაგი ძალით განაგრ-ძობს. ის ტანმორჩილებასთან ბრძოლაში გამარჯვებული გა-

მოდის, ხშირად სულიერად აღმატებულიც. სანინა აღმდეგო შედეგი მოაქვს დაბალი სიმაღლის კომპლექსის დაძლევის ფეხსაცმლის ქუსლების გაზრდისა და თვითგანდიდების გზით. ეს უკანასკნელი ხერხი აურჩევია ყრმობისას მთავარეპისკოპოს სესეს. მე ის პირველად 13 დეკემბერს, წმ. ანდრია პირველწოდებულის ხსენების დღეს ვნახე. იმნამს გულისთქმამ ჩამძახა: „სესე!“ – და ვერც გავაცნობიერე, რატომ.

ზემოთ აღვნიშნე, თავიდან ყველა მღვდელმსახურში უხორცო, ზეციურ ქმნილებას ვჭვრეტდი. მიუხედავად ამისა, მეუფე სესე მაინც განსაკუთრებული მოვლენა გახლდათ. შორს, ოდნავ ზემოთ მიმართული მზერა, ნელი, ხაზგასმულად მეფური ხელის განვდენა, უძრავი, თითქოს ეთერში მოლივლივე ტანი – ეს იყო არამინიერი წარმომავლობის არსება! არავითარი კავშირი – იატაკთან, მიწასთან! მას არაფერი ჰქონდა ადამიანებთან საერთო და მხოლოდ დროებით იყო ჩვენს დასატუქსად ზეციდან ჩამობრძანებული. შეშინებული მრევლი უძრავად იდგა და „ღვთის“ რისხვას ელოდა...

მეუფე ეკლესიის ეზოში შემოვიდა. გული გრუხუნით საფეთქლებში ამომივარდა, შემდეგ სადღაც, ქვემოთ, ქუსლებში გაქრა. ზარების ხანგრძლივი რეკვა, მღვდელ-დიაკვნების ნერვული კმევა-ფუსფუსი, „ქერუბიმთას“ ოპერული, მკივანა ხმით გალობა – ყოველივე კიდევ მეტად ნათელს ხდიდა ამ პიროვნების აღმატებულებას და ჩვენს მიწიერებას! მე უცებ დავპატარავდი, მოვიკუნტე. გული გაჩერდა. მკრეხელური აზრი გამიჩნდა, კიდევ ერთხელ მსურდა დავრწმუნებულიყავი, თუ ვინ გვიახლოვებოდა ჩვენ – ღმერთი თუ მხოლოდ ცოდვილი ადამიანი. გავბედე, თვალები ზემოთ ავნიე... მისი პოზა და წარწარით სვლა ამ

საშინელ ერესს სრულიად გამორიცხავდა! სესე განაგრძობდა ტრიუმფალურ ფრენას. იგი მე გამისწორდა... ელდა მეცა – სესე-ღმერთი ხომ გულთამხილველია! ვაითუ, ჩემი აზრები ამოიკითხოს და განრისხებულმა, ღვთაებრივი ცეცხლით ფერფლად მაქციოს! თავი ხელში ავიყვანე და გონების ბილნი აზრებისგან განწმენდის ღვანლს შევუდექი. უკიდურესად კონცენტრირებულმა, თავი დამნაშავესავით დავხარე, იატაკს მივაშტერდი... და უნებლიეთ დავინახე ღვთაების ფეხები, ანუ ის, რაც ანაფორის ქვეშ ჩანდა: პანია ტერფები პატარა ფეხსაცმელში მოთავსებულან და ნანვეტებული ქუსლები – „კაბლუკები“ მოუხდენიათ. ფეხი მუხლში ოდნავ იხრებოდა და შემდეგ ტლინკის სროლით, სირაქლემას მსგავსად, გამართულად, წინ მისრიალებდა. ეს უკანასკნელი, ამკარად სარკესთან დამუშავებული ილეთი, ჰაეროვნებისა და ღვთაებრიობის სურათის საბოლოო, გადამწყვეტი დეტალი გახლდათ.

წირვა დაიწყო. ყველა, განსაკუთრებით კლიროსი, უკიდურესად ღელავდა და ამის გამო რაღაც გაუგებარ შეცდომებს უშვებდა. ტაძარში შიშმა დაისადგურა – სესეს შიშმა – ვაითუ, რამე შეგვეშალოს, ვაითუ, რამე არ მოენოსო! ამგვარი მონური შიში ახალმორწმუნეობის ჟამს მონანიე ავაზაკივით, დამსახურებულად აღვიქვი. იგი თავში მირტყამდა, წელში მხრიდა, მდაბიოობისა და ცოდვილობის განცდაში მეხმარებოდა. მართალია, მეც და მეუფე სესესაც ორი ფეხი და ამდენივე ხელი გვექონდა, თქვენ წარმოიდგინეთ, თვალ-ყურიც მსგავსი, იმის გარკვევას, რომ ორივენი ადამიანები ვართ, ერთი ჯიშისა და სქესის, შეიძლება თანასწორებიც, რამდენიმე წელი დასჭირდა.

მოგვიანებით, როცა მედავითნე გავხდი და სტიქარით შევიმოსე, მეუფეს საკურთხეველში ვაკვირდებოდი.

ზედამხედველ-ეპისკოპოსის („ეპი“ – ზე, ზედა; „სკოპო“ – ხედვა) მრისხანე მზერას არაფერი ეპარებოდა. რომელიმე მღვდელმსახურის უნებლიე შეცდომა მოძრაობასა თუ წარმოთქმულ ფრაზაში და ვულკანის ამოფრქვევა ერთი იყო. მაგმა სესეს გულ-მკერდიდან ზიზლით, მძლავრი ბლავილით ამოდიოდა. გასაკვირიც კი იყო, საიდან წარმოიშობოდა ამგვარი არაადამიანური ხმა ამ პატარა, თვალეზანით-ლებულ კერპში? აშკარად ჩანდა, თუ რაოდენი ძალისხმევა სჭირდებოდა მას, რათა უგუნური მღვდლისთვის ხელი არ ჩაერცყა. ძალმომრეობისგან თავშეკავება სიტუაციას კიდევ უფრო დაბავდა – ვაითუ, ვერ შეიკავოს თავი, ვაითუ, ჩაცხოს შეცდომილსო! უსასრულო მოლოდინი და მაგმა ახალ ამოფრქვევამდე ნელ-ნელა ცივდებოდა.

მე სიყვარულით სავსე ჭურჭელს ველოდი, სიყვარული კი არსად ჩანდა – არც სესეში, არც მრევლში. გარშემო გაშეშებული მუმიები იდგნენ. არავის ჰქონდა ღვთის შიში, ყველას მხოლოდ მისი აღმატებულების – მთავარეპისკოპოსი სესესი ეშინოდა. ეს გრძნობა იმდენად ყოვლისმომცველი შეიქნა, რომ სხვა ემოციისთვის ადგილს არ ტოვებდა. ადამიანებმაც სესეს შიშს ღვთის შიში უწოდეს. აქაც იგივე „ფოკუზი“, იგივე ილუზია და „სმენკა“ – მორიგი „ბაბილონის გოდოლი“.

იმ შუალედში, როდესაც „ღვთაება“-სესე ხალხთან არ იმყოფებოდა, შიშის უხილავი დენი მრევლამდე „ნახევარგამტარი“ მღვდლების მეშვეობით მიედინებოდა. ჩემი დაკვირვება მთავარეპისკოპოსის პერსონაზე გაგრძელდა. ზამთარი შემოდგომას ცვლიდა, გაზაფხულს ზაფხული. მე და მრევლი სესეს მოლოდინით ვცხოვრობდით. იგი დეკემბრის მზესავით გამობრწყინდებოდა და მალევე ჩადიოდა. მზის ციკლი, ანუ მეუფის ეკლესიაში მობრძანება, დაახლოებით 3-5 ნელში ერთხელ თუ მეორდებოდა. ასეთი ხანგრძლივი პაუზა

დიდად უშლიდა ხელს სესეს შესწავლას, რამაც მე ფიქრებში ჩამალრმავა და ესოდენ რთული პიროვნების ფსიქოანალიზის დერეფნებში დამკარგა.

ურთულესი ამოცანის ამოხსნაზე ლიტურგიის დროს შემჩნეულმა ეპიზოდმა ამიხილა თვალი. სამეუფეო წირვისას არის მომენტი, როდესაც ეპისკოპოსი მაღალ ქუდს – მიტრას თავზე იდგამს. ეს უკანასკნელი, ოცდაათიოდე („-ოდე“ – ეძახე შენ და 30 სანტიმეტრი ხუმრობა საქმეა?!) სანტიმეტრით ზრდიდა დაბალი სესეს სიმაღლეს. იერარქიული უპირატესობის გარდა, ამოდენა სიმაღლის მატებაც თავსაბურავს ერთობ სანატრელს ხდიდა. ამრიგად, მიტრა მთელი მისი ცხოვრების აზრი და მიზანი შეიქნა!

მეტად საინტერესო ჩემს დაკვირვებებში თავსაბურავის თავიდან მოხსნის ეპიზოდი გახლდათ. ამ დროს პატარა ეპისკოპოსი ტაძრის შუაგულში იდგა – ყურადღების ცენტრში, მასზე მაღალი ხალხით გარშემორტყმული. ეპარქიის ყველა ეკლესიაში ამ უხერხული მომენტის თავიდან ასაცილებლად, 15-20 სანტიმეტრის სიმაღლის ნოხგადაფარებული ფიცარნაგი დაამზადეს, რომელიც სესეს ფანტაზიის ნაყოფიც იყო და სიამაყეც. დანადგარი თავისი სიგრძე-სიგანით კარგა მოზრდილი გახლდათ და მეუფეს, ამაღლებასთან ერთად, გარშემომყოფთაგან იცავდა. მონყობილობაზე ფეხის დადგმას ვერავინ ბედავდა იმ დროსაც კი, როცა სესე ტაძარში არ იმყოფებოდა (ჩამოჯდომაც კი უხერხულად ითვლებოდა). ერთმანეთზე მიჭყლეტილი ხალხი ამ ხის პედესტალის მემვეობით ღმერთ-ეპისკოპოსს ორი მეტრის რადიუსით გახლდათ დაშორებული, რაც მას მრევლთან სიმაღლეში უნებლიე შედარებისგანაც იცავდა და იმავდროულად, ღმერთმა ნუ ქმნას, „ღვთაების“ ხალხთან შეხებასაც გამორიცხავდა!

ახლა კვლავ დავუბრუნდეთ ქუდის, მიტრის, მოხსნის

პროცესიას, მის საკვანძო მნიშვნელობას. ჩემი გონების გახსნა თავდაუბურავი სესეს ხილვამ გამოიწვია. მონუმენტური, მრისხანე კერპი წუთიერად პატარა ბავშვად იქცა. იგი თავს აქეთ-იქით აბრუნებდა, თვალეზი დაურბოდა. ჩემ წინ მარტოობისგან შეშინებული, დაუცველი, მტირალა ბავშვი იდგა და დიდი თვალეზით მიმალულ დედას დაეძებდა. ხელები გვერდულად ჰქონდა განვდილი, პატარა ჩინელი იმპერატორივით, საბრძოლო პოზაში. „სესე! სენ-სეი-იაუ!“ – გამიელვა გონებაში და აღვიქვი ზედმეტსახელის წარმომავლობა. მიტრა თავზე დაეშვა და ჩემი ხილვაც დასრულდა. „ზეგარდმო“ სესეს მიერ განვლილი ცხოვრების გზაც მეუწყა.

ყრმობისას ჩაბუდებული არასრულფასოვნების კომპლექსი გახლდათ მიზეზი სიძულვილისა, ღრიალისა და ყოვლისმომცველი შიშისა, რომელიც მრევლში ასე უხვად იფრქვეოდა, მრევლი კი ამ გაშეშების შეგრძნებას ღვთის მაღლად აღიქვამდა. სესეს წარსულზე ზეცამ სხვა არაფერი გამანდო. ერთი, მამა გიორგიმ მიაბო, მაგარი „შუსტრი“ იყო. მონასტერში მორჩილებისას „პეპსი-კოლას“ „იაშჩიკებით“ ჩალიჩობდაო – ეს იმ დროს, ხალხს შუქი და პური რომ არ ენახა. სესეს ბავშვობა-ყრმობაზე არც მრევლში იცოდნენ რაიმე. მორწმუნეები თვლიდნენ, რომ იგი პირდაპირ უცოდველ ეპისკოპოსად დაიბადა, მხოლოდ თავსართი – „მთავარ“ დაემატა შემდეგ.

რაც შეეხება ანწყოს: წირვის შემდეგ იწყება მთავარი – სამეუფეო ტრაპეზი. მრევლი, მღვდლები კარგ გუნებაზე არიან – არ გვიღრიალაო, არ გვცემო, გა-და-ვრჩი-თო! ამგვარი უზარმაზარი სიხარულის მოსვლამდე მთელი მრევლი აგროვებს ფულს, აცხობს ხაჭაპურებსა და ნამცხვრებს, წვავს გოჭებს, დარბის ქუთაისში „ასატრინა-იკრაზე“,

სოკოც მაგრად უყვარსო. სესეს სუფრასთან ცალკე გამოყოფილი, საპატიო ადგილი უჭირავს, დაცვასავით გარშემორტყმულს... არა, მღვდლებით – არა! ადგილობრივი მთავრობით და ბიზნესმენებით. მრევლის მდიდარი ნევრები სპეციალურად შერჩეულ ძვირფას ფაიფურის სერვიზს რუდუნებით უწყობენ. სანამ შეთვრებიან, ყველა გაყურსულია და სესეს შეჰყურებს. იგი ნელა დგება, ბროლის ჭიქას უკაკუნებს დანას და პაუზის შემდეგ სიბრძნეებს გვასწავლის და ღვთაებრივ მითებს გვიყვება. ბახუსის ძალაუფლება მატულობს. სესეს უფრო ხშირად და ძლიერად უწევს ბროლზე დანის წკარუნი, იგი იღლება და გადის. მზე ჩადის...

სამეუფეო ტრაპეზის თემა იმდენად ვრცელია, რომ მას არანაირი მკითხველის მოთმინება არ ეყოფა. კერძოდ, კვერცხზე მოგახსენებთ, იგი ხომ ახალი ცხოვრების სიმბოლოა. ამიტომ ძლიერ უყვარს სესეს – საჭმელად. კვერცხს მხოლოდ დედა ოფელია ამზადებს. ოფელია მონაზონი ქალების წინამძღვარი დედაოა და, რალა თქმა უნდა, კვერცხის შენვის ურთულესი მისია მხოლოდ მას ეკისრება. გასაკვირი კი ის გახლავთ, რომ მთელ ეპარქიაში არ არის არც ერთი მამათა სავანე! სესე კაცებს სასტიკად ეწინააღმდეგება. იმპერატორი 50-ზე მეტი ქალ-მონაზვნით არის გარშემორტყმული!

კვერცხი? უბრალოდ შემწვარი ერბოკვერცხია – ეგ არის და ეგ. ვითომ?! ასე უგუნური თუ გაიფიქრებს!.. აღდგომის შემდეგ წირვიდან ვბრუნდები. ერთ საათზე მეტი დრო დასჭირდა გზას. მანქანაში მსხდომი ექვსი ადამიანი – სამი მონაზონი და ამდენივე უბრალო მორწმუნე – მთელი ეს დრო ბჭობდა, როგორი კვერცხი – თეთრი, ჰაეროვანი მოამზადა დედა ოფელიამ, როგორ სხვანაირად, ყველით შეწვა, რარიგ... რა ხერხით... როგორ ცეცხლზე... და გახსნილებულმა სესემ ყველში შემწვარი ერბოკვერცხი რა

ნაზად, სიამოვნებით შესანსლა. აი, რატომ იყო დედა ოფელიას კვერცხი ასე მნიშვნელოვანი და გადამწყვეტი! ასეთი გახლდათ ჩემს მანქანაში მოთხრობილი ერთსაათიანი ეპოსი სესეს კვერცხზე!

მეუფე ნაბრძანდა. დრო თითქოს გაჩერდა, ყოფიერების მდინარე კი ჯიუტად აგრძელებდა დინებას. შემდეგ კვირას ტაძარში წირვაზე შევიკრიბეთ. მამა გიორგი გამჭრიახი მზერით ათვალიერებდა ტრაპეზისთვის „დანერილ“ ფულის სიას – შემწვარი სოკო და „ასატრინა“ მიჰკლებია სესეს სუფრას. შეგროვებული ფულის სიმწირით განრისხებული „ფარაონი“ ამბიონიდან ჩვეული ტონით გვიყვიროდა:

– მე თქვენი ღმერთი ვარ! აქ, ასურში, მე ვარ თქვენი ღმერთი! დიახ, დიახ, მე თქვენთვის ვარ ღმერთი!

„ღმერთი“ სიბრაზისგან გალურჯდა, „დიდი დეკანოზის“ ზეციური წარმომავლობით შეშინებული მრევლი კი გაქრობას ლამობდა. წყობიდან გამოსულმა მოძღვარმა საჩვენებელი თითი საფეთქელთან მიიტანა, დაატრიალა და მონყალების სათნოების თავისებური განმარტება გვამცნო:

– დიახ, დიახ იცოდეთ, ვისაც ფული მოაქვს ჩემთვის, იმის სახელი სულ თავში მიტრიალებს! – მამაომ თითის ბრუნვა ააჩქარა, – ... და იმაზე ვლოცულობ! აბა-ა, როგორ გინდათ?! დანარჩენები, ვისაც მონყალების გაცემა არ გინდათ, აქ ტყუილად დგახართ და ელოდებით ღვთის წყალობას. შეგიძლიათ ნაბრძანდეთ სახლში! წადით, წადით! მე დიდი მრევლი არ მჭირდება, ცოტაც მეყოფა, ოღონდ კარგი!

„უგუნურებმა“, „შტერებმა“ და „დებილებმა“ თავები დამნაშავესავით დახარეს. „კარგები“, „მართლებთან“ ერთად, მეც, მათ შორის, სიამაყით აღვივსეთ.

სხვა მრავალრიცხოვან სათნოებებთან ერთად მამა გიორგი-„ფარაონი“ ძველი რუსოფილიცაა, გაქვავებული

საბჭოური გულითა და გახევებული კომუნისტური ტვინით. გულის სიღრმეში ტოტალიტარული რუსეთი ძლიერ უყვარს, მაგრამ მაგარი ქლესაა და მლიქვენლობის გამო „ნაციონალების“ ტრფალიც გახლავთ. მიშასი, ბოკერია-ლომაიასი – არა! მხოლოდ ადგილობრივი, და ამიტომ საჭირო „მთავრობის კაცები“ უყვარს გულით. ამას წინათ ბაბილონის „ნაციონალური“ პარტიის ოფისი აკურთხა და აღუთქვა, საშობაოდ იერუსალიმში მივდივარ, იქ უნდა ვილოცო თქვენთვისო. იხარე მიშა, იხარე ჭერო! – მამა გიორგის ღვანლით არჩევნებში გამარჯვება გარანტირებულია!

ინვის ორ ცეცხლს შორის მღვდელი. ერთი კოცონის ავტორები გავარკვიეთ – ბაბილონელი „ნაციონალები“; „ფარაონის“ გულში მეორე ცეცხლის გამჩაღებელი ან მივინყებულები „კგბ“-ის გენერალი, წარმოშობით ბაბილონელი იგორ გიორგაძეა, რუსეთსა თუ იორდანიაში გადახვეწილი, გააჩნია, სად არის „ცხელი წერტილი“. ოჰ, რარიგ ტკბილად ეტრფის ტოტალიტარული მამაო-„ფარაონი“ ასევე ტოტალიტარულ „რეზიდენტს“! ტელეფონიც კი აქვს მისგან ნაჩუქარი. ადრე, წითელი არმიის ბობოქარ წლებში „მაუზერს“ რომ ჩუქნიდნენ წარწერით, ისეთი.

ამბავი 5.

გამოსვლა ეგვიპტიდან – სპარტაკის აჯანყება

„თუ თქვენ დაიწყებთ თავგანწირვით მათთვის, ვინც თქვენ გიყვართ, მაშინ დაამთავრებთ სიძულვილით მათ მიმართ, ვისაც მსხვერპლად შესწირეთ თავი“.

ბერნარდ შოუ

ყოველი ადამიანის ცხოვრებაში დგება იაკობისეული „ღმერთთან ჭიდილის“ დრო – ჟამი ეჭვისა, როდესაც გაურკვეველობის ჭია გჭამს. შემდეგ, გადამწყვეტ ნაბიჯს წინ უსწრებს კონკრეტული შემთხვევა – ის „წვეთი, მოთმინების ფიალას ბოლომდე რომ ავსებს“.

ჯერ კიდევ სარწმუნოებრივი განცხრომის სტადიაში ვიმყოფებოდი, მედავითნეობას დიდი ენთუზიაზმით ვენაფებოდი და იმავდროულად სეფისკვერს ვაცხოვობდი. ღამეებს ვათევდი მომავალი მსახურების ტიპიკონის გარკვევაში და ცომის გადაზელა-ამოსვლაში. განსაკუთრებულ სიძნელეებს უშუქობა მიქმნიდა. 4-5 საათის განმავლობაში მრავალჯერადად დამუშავებული, ამოსული ცომი სათანადო ხერხით 200-ამდე ფორმად იჭრება და გამოსაცხოვად ელექტროლუმელში თავსდება. მაგრამ სიხარული ნაადრევია, უცებ დენი წყდება და ამდენი შრომა წყალს მიჰყვება! გულს მაინც არ ვიტეხდი, ლოცვას აღვავლენდი და ახალი ცომის მომზადებას თავიდან ვინწყებდი.

დიდმარხვას გაათმავებული მონდომებით შევხვდი: დილით ცომის მოზელა და მაცივარში შენახვა, შემდეგ ტაძარში წასვლა და 6-7-საათიანი ლოცვა, მერე უკან დაბრუნება,

მეორე დღის ტიპიკონის დამუშავება და სეფისკვერის ცხო-
ბა. დღეები ისე გადიოდა, ლოგინზე მხოლოდ თუ ჩამოვჯ-
დებოდი ხოლმე. დადგა მარხვის ბოლო კვირა. აღდგომამდე
ღვთისმშობლის ხარების ღლესასწაულია, თან დიდი შაბათი
– პანაშვიდ-გასვენების გლოვა დაბადების დღის მხიარულე-
ბას რომ დაამთხვიო, ისე. ურთულესი მსახურებაა, დაკვირ-
ვებით გასარჩევი. მზადებას ერთი წლით ადრე შევუდექი.
მრავალი წიგნი და კონსპექტი გადავიკითხე, მომაბეზრე-
ბელი კითხვებით დღეში ათ მღვდელს მაინც ვურეკავდი.
ტიპიკონის მრავალი ნიუანსი დავადგინე. ძლიერ მიხდოდა,
პირველად დამოუკიდებელი მედავითნის როლში, 50 წლის
კაცს, მრევლის წინაშე სანიმუშო კითხვით თავი გამომეჩინა.

იმჟამად ეკლესიაში ახალგაზრდა ვაჟი მოვიდა, თანამ-
დებობის პირის შვილი, ასე 20 წლის, მაღალი, სიმპათიური,
წარმატებული, სასიძოდ რომ ინატრებს მშობელი, ისეთი.
მამა გიორგი თავის მეუღლესთან ერთად მთელი დღეები ამ
ბიჭის ქება-ფერებაში იყო.

წიგნებით ჩანთაში და ახლად დამცხვარი 150 სეფისკვე-
რით საღლესასწაულოდ ტაძარში მივირბინე, რათა ღვთისმ-
შობლის ხარების ერთი წლის ნანატრი მწუხრი ჩამეტარები-
ნა. კათედრასთან „სასიძო“ იდგა და დასაწყისის ლოცვებს
ძლივძლივობით კითხულობდა... გამწარებისგან ხმას ვერ
ვიღებდი, გაშეშებული ვიდექი. საკმევად გამობრძანებულმა
მამა გიორგიმ ვითარებაში გამარკვია:

– ამან წაიკითხოს – ჩვენიანია. შენ წადი და 300 პატარა
და 50 დიდი სეფისკვერი გამოაცხვე. დიდები ბევრი ქენი,
მღვდლებს მივცეთ, მაღლია!

პირი ღია დამრჩა – მე მხოლოდ მცხოვრების სტატუსი
მერგო! მთელი წელი ამ ღლეს გულისძგერით ველოდი და,
რაა?! ბევრი რომ აღარ გავაგრძელო, მეორე ღლეს გაბრა-

ზებულს მამა „ფარაონმა“ ამგვარი ნუგეში შემომთავაზა:

– ბიჭო, შენ ხომ იცი, ეგ ვინაა?

– ვინაა? – ველოდები მეტყვის, ამის და ამის შვილიაო.

ეს არ უთქვამს, უარესი მოაყოლა:

– ეგ ბანკში მუშაობს. ათასი ლარი აქვს ხელფასი, ა-თა-სი! შენ არ გეწყინოს და რა გენალვლება, უსაქმური ხარ, ჩვენში რომ დარჩეს...

„ამის უმადური..!“ მანქანის სავარძელში ჩავეჭედე, წყენისგან სიტყვებს ვერ ვპოულობდი, სიბრაზისაგან ვცახცახებდი! ასე დაიწყო ასურში (ბაბილონის ეპარქიაში რომ შედის) „სპარტაკის“, ანუ ჩემი წინამძღოლობით მონების დიდი აჯანყება. მანამ ჩათესილმა, უკვე გაღვივებულმა ეჭვის თესლმა სწრაფად ამოიყარა. მღვდლები ჩემს წარმოსახვაში ღმერთები აღარ იყვნენ, ჩვეულებრივ ადამიანებად გადაიქცნენ. მე ბაბილონშივე მოვნახე ერთი წესიერი ადამიანი – მამა ზაქარია და მასთან გავაგრძელე ეკლესიური მსახურება. ასურის წმინდა გიორგის ტაძრიდან წამოსვლის შემდეგ კი ერთი საინტერესო დეტალი შევიტყვე: მამა გიორგის უთქვამს, მაინც ვერ გავიგე, მაგ კაცს რა ეწყინაო.

ამგვარ მდგომარეობაში მყოფმა, ბაბილონის ახალ ტაძარში მორიგი ლოცვის ტიპიკონის გასარკვევად 2007 წლის საეკლესიო კალენდარი გადავშალე. სარჩევი გადავათვალიერე: „მამული, ენა, სარწმუნოება“, – არსი წმინდა ილია მართლის პუბლიცისტური წერილებისა, თბილისი 2006. „ისევ დიდაქტიკა“, – გავიფიქრე, საბჭოური იდეოლოგიურ პროპაგანდაზე აცრილმა. მაინც გადავშალე – ილიაა, რაც უნდა იყოს. ნავიკითხე და ველარ მოვწყდი! აქამდე ვფურცლავ, აგერ რამდენი წელია!

„... გაქრა პატივისცემა და დაირღვა კავშირი
სამღვდელოთა და მრევლს შორის. მრევლი მღ-

ვდელს და მღვდელი მრევლს სიყვარულით და ნდობით კი არ უყურებს, არამედ ბღვერითა და მიუნდობლობით. ამისთანა გარემოებამ არ შეიძლება არ იმოქმედოს თვით სარწმუნოებრივ გრძნობაზე, არ შეიძლება ეს გრძნობა არ მიასუსტოს, არ დასთრგუნოს და არ შელახოს. ვიმეორებ, ყოველივე ეს ჩვენი სამღვდელოების განუვითარებლობისა და გაუნათლებლობის აუცილებელი შედეგია. უცოდინარობა გონების სიბრმავეა, თვალის სიბრმავეზე უარესი და ბრმა სხვას თვალს ვერ აუხელს, წინ ვერ გაუძღვება“.

წმ. ილია (მართალი) ჭავჭავაძე (VII, 17-22)

ილიასეული დროშა ავაფრიალე და ეკლესიიდან ეკლესიაში, ერთი მამაოსგან მეორესთან აღელვებული დავრბოდი. ასურიდან ახალი, „ცხელ-ცხელი“ ამბებიც დავამატე. პასუხი იგივე: „რა შენი საქმეა, გაჩუმდი“, „სუუ, ჩუუ“, „დაბრკოლება“, „მორჩილება“, „სულიერი სიმშვიდე...“ ერთი წელი მაინც ვირბინე გიჟივით. ვერც ერთს, ვიმეორებ, ერთ მღვდელსაც კი ვერ წავაკითხე! ამ ადამიანებს ორი ფურცლის გადათვალიერებაც კი ეზარებოდათ (თუ არ სურდათ?!).

იცით, როგორ გადაწყდა დიდი ილიას უადგილო, მავნე კრიტიკული წერილისა და მისი გაბრაზებული „მედროშის“ ბედი? ისევ „ქართული წესით“ – ფარისევლურით! დადგა ახალი 2008 წელი და ძველი კალენდარი, უვარგისობის გამო, მედავითნის კათედრის ქვედა, მტვრიან თაროზე მიაგდეს. თუ ვინმეს დაგჭირდეთ, ფული და დრო დაზოგეთ, უბრალოდ, მიბრძანდით უახლოეს ტაძარში, ზუსტად ვიცი – იქ იდება, კათედრაში, ქვედა, მტვრიან თაროზე, სადაც ბნელა. ჩემი ზედმეტი აქტივობის პრობლემაც ამ რიგის აზროვნებით დაძლიეს. რადგან კარადაში ვერ შევეტეოდი, ჩემი შეშლილად,

გიჟად გამოცხადება გადაწყდა. ისე, ოდნავ პატარა რომ ვყოფილიყავი, კარადაშიც შემაკვებდნენ ილიასთან ერთად და ამოცანაც უმტკივნეულოდ გადაწყდებოდა. ეჰ, სად არის ძველი დიდება – ინკვიზიცია შანთით, ცოცხლად ტყავის გაძრობა! თუნდაც „კაგებეს“ აირწინალი დენით! დასანანი, აი, ეს არის!

შენიშვნის სახით დავამატებ, რომ ჩვენ მიერ შემოღებული ახალი, გაჩუმების აღმნიშვნელი ასო-ბგერები – „ჩუუ...“ ისევე განსხვავდება „სუუ...“-სგან, როგორც ცხენის „სამეტყველო“ ენა – ჭიხვინი და ხვიხვინი ერთმანეთისგან, ან ძაღლის „ავ-ავი“ და „ლლ-ლლ“.

ბოლოს კი ისევ ილიას მივუბრუნდები:

„...დღეს სამღვდელოებას თითქმის დავიწყებული აქვს ჩვენი უწინდელი სამღვდელოების ღვან-ლი ეკლესიისა და ქვეყნის წინაშე; დღეს ყოველი საკუთარი სტომაქისთვის იღვწის და საკუთარი სარგებელის დევნაშია გართული. მხოლოდ ორიოდ პირი მოსჩანს ჩვენს სამღვდელოებაში ისეთი, რომელსაც ქვეყნისადმი ძველთა მამამთავართა გულმტკივნეულობა აქვს შემორჩენილი და რომელთა არსებობაც გვათქმევინებს: ჯერ კიდევ მსახურნი მართალთა ღმერთის-მსახურებისა არ წარსწყმედილან ჩვენშიო“.

წმ. ილია (მართალი) ჭავჭავაძე (VI, 171-172).

ამაზე მშვენივრად ვერც მე ვიტყვი, ვერც იმედს მოგცემთ მეტს.

თავი III. მრევლი

ამბავი 6.

მშრალი, უემოციო თხრობა გაბოიას ჩაგვრისა

„ავადმყოფი ლოგინში უნდა მო... ნაო“.

ნიუ-ბაბილონური ხალხური ანდაზა

მესანთლე, მამაოს კლასიფიკაციით, „შტერ-არარაობათა“, მოსულელო ადამიანთა მცირერიცხოვან ჯგუფს მიეკუთვნებოდა. აბა, ყოველდღიურად დილიდან სალამომდე, ოც-ოცდაათ ლარად თვეში, ეკლესიაში ვინ გაჩერდებოდა?

საკმარისი იყო, სოფლის ატალახებული ეზოსთვის თვალი შეგველოთ, რომელშიც დაჭიანებული ხის ფიცრებისგან შეჭედილი ნალია-სახლი და გამხმარი ტყემლის ხე იდგა ზედ მიჯაჭვული გადაბერებული თხით, რათა დარწმუნებულიყავით ამ კლდიაშვილისეული პეიჟაზის ბინადართა უიმედო სილატაკეში. გაბოია აქ ნელში მოკუნტულ, მოხუც დედასთან, გაურკვეველი ასაკის, ლოგინად ჩავარდნილ დიდედასა და მამიდასთან ერთად ცხოვრობდა. ყოველივეს გარშემო მიტოვებული და ჩამოძონძილი შესახედაობა ჰქონდა. მიუხედავად დუხჭირი ყოფისა, მესანთლე არ განაწყენებულა მშობლებზე, იგი მზრუნველი ხელითა და მოსიყვარულე გულით უვლიდა მათ. ხშირად, როდესაც ვინმეს მრევლში

ნებისმიერი დასახელების წამალს გამოსტყუებდა, მირბოდა სახლში და დედა-დიდედას უნანილებდა.

...სალამოს ლოცვა დამთავრდა: გაბოია „შტერს“ ნანატრი ხურდები მამამ მიუგდო, თავისი წილი („ნალდი“) ჯიბეებში გადაინანილა – ქალაღდი გულთან, მეტალი – შარვლის ჯიბეში. შემდეგ შავი ტყავის, ოქროს საკეტებიანი (ამავე მეტალის მომრგვალებული კუთხეებით) „დიპლომატი“ ხელთ იპყრა და ჩვენ ტაძრიდან გამოვედით. მღვდელმა ირონიული სახით წარმოთქვა:

– ამ შტერს კიღო შეშინება უნდოდა? გუშინ ღამით თხას ამოუყვია თავი ოთახში პოლის დირკიდან და ჩაძინებული გაბოიასათვის დაუბღავლია. ასე – „ბეე..!“ წამოვარდნილა „კრაოტიდან“ და ფეხი კინალამ მოუტეხია, დაღურჯებული აქ ახლა, მაგრად ტკივა!

თავისი ოხუნჯობით კმაყოფილმა „გლახაკთმოყვარე“ მღვდელმა ჩემკენ იბრუნა პირი:

– წავედით სახლში, ზურა, მომშივდა მაგრად.

მე და მამაო ვსხდებით მანქანაში – ღვთის მსახურებისგან დაღლილნი სახლში ვბრუნდებით, ახალ ბაბილონში. გაბოია წუხს – სოფლად მარტო რჩება, „ძველებისაგან“ და ეკლესიის სასაფლაოზე მოსული შარიანი ლოთებისგან დაუცველი. ჩემს ავტოს ჩქარი სვლით უტრიალებს, მამაოს ფანჯარასთან ჩერდება:

– თქვენ ქალაქში მიდიხართ, რა გენაღვლებიენ. ზურია, არ დაგავინყდეს, იგი მიყიდე ბაზარში, მე რო გითხარი.

„07-ს“ ნელა ვძრავ. გაბოია გარედან ებღაუჭება მანქანის კარს, ხელს არ უშვებს და სირბილით მოგვდევს. გვერდზე მჯდომი მღვდელი გაბადრული სახით თვალს მიკრავს, ფანჯრის მინას დაბლა სწევს და მოულოდნელად, მთელი ძალ-ღონით მაგარ „შალაბანს“ ურტყამს მესანთლეს შუბ-

ლში! გულიანად, მთელი ტანით ხარხარებს.

– კაი მამაო, კაი რაია, მამაო! მეტკი-იი-ნა! – საცოდავად მოთქვამს მანქანას ჩამორჩენილი გლახაკი.

„ნეტარ იყვნენ მგლოივარენი გულითა, რამეთუ იგინი ნუგეშისმცემულ იქმნენ“.

ყოველი ადამიანი მეტ-ნაკლები ოსტატობით მალავს მას-ში ჩაბუდებულ მონას. გაბოია – პირიქით, მაქსიმალურად ცდილობდა, ეჩვენებინა უსაზღვრო მორჩილება და მლიქვნელობა, რითაც იგი ერთგულებას და იმავდროულად სასურველი საჩუქრის ან მცირე ქრთამის მოლოდინს გამოხატავდა. ქლესობაში გაბოიამ ჭეშმარიტ სრულყოფილებას მიაღწია. ამგვარი თაყვანისცემის ობიექტებს იგი შემდეგი ნიშნით არჩევდა: მამაოს მიმართ და, განსაკუთრებით, მისი მეუღლისადმი, კრიტიკული დამოკიდებულება; მესანთლისადმი გამოხატული კეთილგანწყობა; ნაირ-ნაირი ქრთამის მიღების შესაძლებლობა. რადგან გაბოიას სამივე პირობას ერთდროულად ვაკმაყოფილებდი, იგი მუდმივად მე დამდეგვდა. მოულოდნელად მოირბენდა, ხელს ძალით მტაცებდა და სხვების თანდასწრებით მუხლებზე დამხობილი მტევანზე მკოცნიდა: „შენ გენაცვალე, ზურია, მიბრძანე, რა გნებავს, ბატონო?!“

რაოდენი სიცხადითაც წარმოჩინდებოდა გაბოიას მონობა, იმდენადვე დიდი იყო მისი ამპარტავნება. საკმარისი გახლდათ ოდნავ დამცინავი ტონი ან დამამცირებელი შეძახილი და მესანთლე სიბრაზისაგან კანკალს იწყებდა. ასევე ძლიერ სძულდა მოძღვრის უპირობო მონები და დამსმენები. მათ იგი ამაყად, პირშივე (ან პირს უკან – გააჩნია სტატუსს) უკმეხად პასუხობდა. გაბოიას უხეშ მონოლოგში ძირითადად ანტონ დიდის გამონათქვამები და ასურული წყევლა დომინირებდა:

– ბოლო დროში მღვდლები იქნებიენ, რაფერც ერისკაცე-
ბი, კიდო უარესად და მრევლი – თლათ ღორებივით. ფულის
მეტი არაფერი არ გინდენ თქვენ! თქვენ გადაშენდით და
გადაჯილაგდით ერთ დღეს! თქვე ეშმაკის მოციქულებო!

ხოლო როდესაც განსაკუთრებით ბრაზდებოდა, ჩემთან
ასე ამატებდა:

– მაგი ჩავანვინე, ზურია, შავ კუბოში! – და ხელის
გულებს ერთმანეთზე ასრიალებდა.

მის უკიდურეს გულისწყრომას მაინც „საზოგადოების სა-
პატიო წევრად“ არჩათვლა იმსახურებდა. საკმარისი იყო, ვინ-
მეს მრევლიდან საქეიფო ღონისძიება მესანთლის გარეშე ჩაე-
ტარებინა, ყოველგვარი ურთიერთობა მედღესასწაულესთან
მყისიერად წყდებოდა და ერთ დიდ სიძულვილად იქცეოდა.

მე და გაბოია – მონურ უღელქვეშ გაერთიანებულნი –
სამსაუკუნოვანი ჭადრის ჩრდილში ვსხდებოდით და საყო-
ველთაო განკითხვას ვეძლეოდით. კრიტიკა მამაოს, მის
ცოლს, მრევლსა და, ვგონებ, ეკლესიის გარშემო მდებარე
სასაფლაოზე რომ იზრდებოდნენ, იმ ხეებსაც კი სწვდებო-
და. ასე, ლოცვასა და სხვის გაკიცხვაში გადიოდა დღეე-
ბი. ასურელი მესანთლე ეკლესიაში მოსვლამდე განვლილი
ცხოვრების გზაზე გულდანყვევით მიყვებოდა.

გაბოიას სიამაყის საფუძველს, როგორც თხრობიდან
ირკვეოდა, მისი განათლება და თანამდებობა წარმოად-
გენდა. საბჭოურ ეპოქაში კოლმეურნეობამ იგი თბილისში
გააგზავნა ლიმიტით – „სასოფლოში მოსაწყობად“. მისაღები
გამოცდების აღწერისას გაბოია სხვა ბავშვების მშობლებზე
ამახვილებდა ყურადღებას:

– ყველას მამები ყავდა იქანა. მარტო მე ვიყავი ტუფლში
ამოსული „რუსმანივით“. ვტიროდი და ვსკდებოდი გულზე!
მესანთლეს მამა ადრეულ ასაკში გარდაცვლოდა. მლიქვ-

ნელობის ოსტატმა „უმაღლესი“, როგორც იქნა, გადალახა და მშობლიურ ასურს ნასწავლ აგრონომად დაუბრუნდა. შემდეგ რაიონულ ცენტრში, ახალ ბაბილონში დაიწყო სამსახური, „რკინის გზის განყოფილებაში“. აქ ის გაურკვეველი დანიშნულების საბჭოურ ცნობებს გასცემდა და როგორც ყველა იმ დროს, მცირე გასამრჯელოსაც იღებდა. „ლევის“ თანხა სტანდარტულ 5-10 მანეთს შეადგენდა, ოღონდ გაბოია რატომღაც მუდმივად სიმბოლურ 12 მანეთს ახსენებდა. აი, მისი სურათოვანი ესე „ნათელი“ კომუნისტური ეპოქის შესახებ:

– ზურია, ვიყიდი შვიდ მანეთიან დოქტორსკი კალბასს – ნახევარ კილოს, კიდო ევილებდი მაკარონს, შაქარს და შპროტს. ჰო, სპიჩკას და საპონს. ჩავანყობდი ამას ყველაფერს სეტკაში, ვჯდებოდი ტაქსში და მოვფოფინობდი ასურში – „ოღვის“ ტაქსით! სახლამდე კი არ მიმყავდა! – აქ გაბოია პაუზას აკეთებდა, სკამიდან დგებოდა და თეატრალური პოზით აგრძელებდა:

– რო გადმევიდოდი სოფელში, ავტობუსის სტაიანკაზე ხალხი იდგა ბევრი. სეტკა სულ ფრიალ-ფირალით გადმოქონდა, მაგ მათხოვრების გულგასახეთქად!

ასე თავანუელი, „პროვიზიონკით“ ხელში ჩაუვლიდა სოფელს მომავალი მესანთლე. ნეტარი სვლა პაპანაქებაში 5 კოლომეტრს მაინც გრძელდებოდა. საშუალო ტანის დიდთავიანი მამაკაცი, მკვეთრად გამოხატული ქალური მანერებით, პრანჭვა-პრანჭვით შედიოდა სახლში. მიუხედავად ქალაჩუნობისა, გაბოიას ორიენტაცია ეჭვს არ იწვევდა, რასაც იგი ქალებისადმი დაუოკებელი ლტოლვით გამოხატავდა. მონდომებული, ხშირად ცოლზე ოცნებობდა, არც მიუწვდომელ სოფლის ბოზებზე ამბობდა უარს. ბოლო ერთი იყო – ხელმრუდობა.

ნითელი საბჭოეთი თავის უკანასკნელ დღეებს ითვლიდა.

გაბოიას მომავალი თითქოს უდარდელად გამოიყურებოდა – მან თავგანწირული მექრთამეობით, 50 000 მანეთს მოუყარა თავი! 50 ათასი – იმ დროისთვის ეს უზარმაზარი თანხა გახლდათ! ფულს სახლში ინახავდა – გულმოდგინედ, გახვეულს „პროსტინაში“, შემდეგ ცელოფანში ჩადებულს და ზემოდან „ტრუსიკის რეზინით“ კარგად გადაჭერილს. მთელ დღეს ამ ფუტას მალავდა: ფულს ითვლიდა, ლენინებიან გვერდებს ერთმანეთზე აწყობდა; ხშირად ეშლებოდა ან ეჩვენებოდა, რომ შეცდა და ყველაფერს თავიდან იწყებდა; ბოლოს ისევ გულდასმით ახვევდა და ადგილს უცვლიდა. ყანაში თოხნის დროსაც არ ასვენებდა ეჭვები:

– უცებ გვეიფიქრებდი: რაცხა შემეშალა თვლაში ან ვირთხა ხო არ წეილებდა-თქვა. მოვრბოდი ხუთ კილომეტრს სახში, აქოშინებული, თავიდან დევითვლიდი და შოუცვლიდი სანახავს. ნალიაში არ დავდე, ძროხებთან – ვირთხები მომტაცებდენ. ერთხელ მიწაშიც ქე ჩავმარხე, მარა მეზობელს რო დეენახა?! თან, მე ოთახში მინდოდა, ახლოს ჩემთან.

გასაოცარი ის გახლდათ, რომ მოყოლისას გაბოია მორცხვი ქალური კისკისის თანხლებით საკუთარ თავსვე დასცინოდა, თუმც, ვერცხლისადმი უზომო ტრფიალს ოდნავადაც არ კიცხავდა. გარდა ფულისა, მის სიამაყეს მრავალრიცხოვანი ძველი, გატყავებული ჩემოდნები წარმოადგენდა. მათში განთავსებული იყო კომუნისტური დიდებისა და კეთილდღეობის მრავალი ატრიბუტი – გაბოია ხომ რესპექტაბელურ ოჯახზე, ცოლსა და შვილებზე ოცნებობდა. ამ სამალავში ნახავდით: „გდრ“-ის ჩაის და „კოფეს“ სერვიზებს, ერთ ჩეხურ „ლუსტრას“, ტაშკენტურ ფარდებს, ჩინურ ქვეშაგებელს აბრეშუმის მწვანე ბალიშებით, ყუთში ჩადებულ რიგის „სპიდოლას“, „ნერჟავეიკის“ დანა-ჩანგალს, „კრასნაია მოსკვას“ საპონს და დაობებულ ასანთს.

ჩემოდნები ლოგინის ქვეშ განათავსა, ზედ მიყრილი სიმინდის ჩალით და ძველი ძონძებით. სანყალს, ოთახი სულ ერთი ჰქონდა – ეს იყო მთელი ოჯახის საძინებელიც, მისაღებიც და სასადილოც. მაგიდაზე მამიდას ეძინა, რომელმაც შემდეგ ინგლისში გაქცევით დააღწია თავი გაჭირვებას. კუთხეში, ლოგინთან, სავარაუდო „ბალანასთვის“ ნაყიდი სულ ახალი – „ზეთებში“, სამბორბლიანი, ველოსიპედი იწონებდა თავს. ერთი ძველებური ბეჭედიც ჰქონდა, ბრილიანტის ბაღჩით, ებრაელი ბებოისაგან შემორჩენილი.

ის იყო, გაბოიამ მომავალი „ოჯახიზა“ გერმანული სადილის სერვიზის ყიდვა დააპირა, რომ ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა გააქტიურდა – „მაგენი მეისპენ ერთ დღეს, საცხაო!“ გავიდა სისხლიანი 9 აპრილი, დადგა საყოველთაო ყაჩაღობისა და ძალმომრეობის ეპოქა. შიშით შეპყრობილი ყოფილი აგრონომი ელვისებური სისწრაფით უცვლიდა ადგილს ფულიან ფუთას. ყველაზე საიმედოდ თითქოს სხვენი გამოიყურებოდა, მაგრამ – ვირთხები?! ფულის გადათვლაც ჭირდა: გაბოია ღამით დგებოდა, მორიგი სამალავიდან ცელოფანს იღებდა და სანთლის აუნთებლად, ლოგინში, საბნის ქვეშ ალაგებდა ფულს. ახლა მისმა თითებმა აითვისა კუპიურების ფერის გარჩევის ხელოვნება. ოდნავი ხმაური, ძროხის ბლავილიც კი გულს უხეთქავდა, იგი ფულს გულმკერდით აწვებოდა და ინაბებოდა.

ერთხელ, ფუთის მორიგი გადადებისას, გადაწყვიტა, ფული ბუხარში შეეკუჭა, რაც მყისიერად განახორციელა. ფანჯარასთან ჩამოჯდა და ფრთხილი თვალით, სიბნელიდან, მთვარით განათებულ ეზოსა და ჭიშკარს ჩააცქერდა... უცებ თავში გაუელვა – ვაითუ, დედაჩემმა ცეცხლი დაანთოს და ფული დამენვასო! კვლავ ბუხართან მივარდა და თავი შიგ შერგო, რათა კვამლსადენიდან ღრმად შენ-

ახული ფული გამოეღო. სანამ სიბნელეში ხელის ფათურს მორჩებოდა, ბუხარი თავისი კედლის ნაწილით მთლიანად ჩამოინგრა და გაბოიას თავზე დაემხო!

– თლათ გვევისსხლე და გვეიმურე, ზურია! ფულის ალ-ბაც ვერ მოვასწარი, დამარეტიანა აგურებმა. ამ შტერ დე-დაჩემს და არგადასარჩენ მამიდაჩემს შოუკივლიენ, ბიჭო!

ხმაურზე შემოცვენილ მეზობლებს ამგვარი სცენა დახვდათ: ჭვარტლისაგან გაშავებული, თავგატეხილი, გასისხლიანებული, ოთხ კიდურზე დამხობილი გაბოია ნანგრევებსა და მტვერში რალაცას გაფაციცებით ეძებდა.

– დემესიენ ბიჭო, ზოგი ცივ ტილოს მადებს, ერთი შტერი ოდკას მისობდა ჭრილობაზე. მაგის თავი მქონდა?! მარა, რაი მექნა, ხო არ შევიმჩნევდი ფულზე! არ ვილებდი ხმას და ქე ვიყავი ჩუმათე.

გაბოიას მორჩილებას მაშინ მოდებია ბოლო, მეზობლებმა აგურების აწმენდა-ალაგებას რომ მიჰყვეს ხელი.

– იმფერი გადევიკივლე, ასურიდან ბაბილონში გეი-გონებდი!

მოკლედ, გაკვირვებულმა მეზობლებმა თავიანთ სახლებს მიაშურეს. ფულიც, რალა თქმა უნდა, მოინახა და გადათვლის შემდეგ მორიგ სამალავში გადაინაცვლა. ამგვარად ტრაგიკული და სისხლიანი გახლდათ გაბოია „შტერის“ ბრძოლა ვერცხლისთვის.

ჩვეულებისამებრ, მთავარი განცხრომა მაინც გვიან ღამით, 3-4 საათისთვის იწყებოდა. გაბოია საფარიან ნავთის ლამპას ჩუმად ანთებდა, ჩემოდანში გადამალულ კოსტიუმს ჰალსტუხით იცვამდა, მამიდას აღვიძებდა, რათა მაგიდა გაეთავისუფლებინა და ზედ ყავის სერვიზს ლამაზად ალაგებდა. შემდეგ ერთი სავარძლიდან მეორეზე, აუჩქარებელი გადასვლით მაგიდას წრეს უვლიდა და, ფინჯნით

ხელში, იმ საღამოსთვის მონვეულ წარმოსახვით ქალიშვილებს „თბილისურად“ ესაუბრებოდა. ქალის აჩრდილისთვის დასმულ ინტიმურ კითხვაზე, მის ადგილზე ჯდებოდა და საკუთარ თავს პასუხობდა, ოღონდ ამჯერად გოგონას როლში. ასეთი გახლდათ გაბოიას სექსუალური „აბსურდის თეატრი“. იშვიათად, მოჩვენებითი სტუმრების გალერეას ფულიანი „დიდი კაცი“ ემატებოდა, რომელსაც გაბოია „ბატონოთი“ მიმართავდა. ყავის მირთმევის შემდეგ „ქალბატონებს“ ჩემოდნებს უხსნიდა და მზითვის დემონსტრაციას აწყობდა – განსაკუთრებული სინაზით ბალიშებს, ქვეშაგებებს ეალერსებოდა. დილის 5 საათისთვის „ოჯახური“ ტრაპეზის დროც დგებოდა: სქლად დათლილი ძხვები მაკარონთან ერთად, „შპროტი“ ტყემალთან, ბლომად პური და ბოთლი ღვინო. გაბოია კარგად გაძლებოდა... ბოლოს გულიანად დაანძრევდა და ტკბილად ჩაიძინებდა.

დილით ისევ ხიფათიანი რეალობა ახსენებდა თავს, სოფელში მთვრალმა „ძველებმა“ შეიღვიძეს. ამჯერად „შავები“ არად აგდებდნენ მის აგრონომობას და აშკარად დასცინოდნენ ქალაჩუნას. ზოგმა პირადი შეურაცხყოფაც მიაყენა, ერთმა – შევიწროება დაუნყო. გაბოია საბოლოოდ დაფრთხა. იგი ერთ დიდ შიშად იქცა, თანაც გაუპატიურებასაც ძალიან უფრთხოდა. შიშთან ერთად შიმშილმაც იმატა. მან ფული შემნახველ სალაროში შეიტანა და ჩემოდნებში გადანახული ნივთების გაყიდვას მიჰყო ხელი. მენიუდან „დოქტორსკი“ გაქრა, ძირითად საჭმლად ლობიო ან „კაპუსტო“ იქცა, ღომთან და ტყემალთან ერთად. დროება ისევ შეიცვალა, დადგა საყოველთაო საბანკო აფიორების ბნელით მოცული ხანა.

მაღალი პროცენტით მოხიბლულმა გაბოიამ მთელი თანხა სახელმწიფო შემნახველი სალაროდან გამოიტანა და ახლად

დაარსებულ კერძო ბანკში – „XXI საუკუნე“-ში შეიტანა. „ფინანსური პირამიდა“ ერთ წელიწადში ჩამოიშალა, ბანკირები სადღაც გაუჩინარდნენ. სალაროში დაზოგილი, სოფლის აგრონომის 50 000 მანეთი უკვალოდ გაქრა! გაბოიამ კაცობრიობის იმედი საბოლოოდ დაკარგა, თავის მოკვლაზეც დაინყო ფიქრი. შიშმა, სასონარკვეთამ და გაჭირვებამ იგი ეკლესიაში მიიყვანა. ჩემსავით, ისიც მოსიყვარულე ბატონს ეძებდა და დამცველად ახლად ჩამოსული „თბილისელი“ მამაო იპოვა – მღვდელი გიორგი გრძელიშვილი. თავიდან კარგად მექცეოდნენ, სულ ფულს მაძლევდნენ, ერთი-ორჯერ 12 მანეთიცო! დავსხდებოდით და სულ ღმერთზე მიყვებოდნენ.

ფულის დაკარგვასთან ერთად გაბოიას ჩემოდნების შიგთავსიც დადნა. სერვიზების ადგილი მრევლისგან შეგროვებულმა ძველმანებმა დაიკავა. გარდეროებში განსაკუთრებული პატივისცემა სხვის, საქორწილოდ ერთხელ ნაცვამ კოსტიუმებს ეთმობოდა. ბაბილონში სადღესასწაულო კოსტიუმის გამოუსადეგრობის გამო აღნიშნული სამოსით მას მრევლის წევრები ასაჩუქრებდნენ. ეკლესიის მესანთლემ გაორმაგებული ენერგიით გააგრძელა საცოლის ძიება, ამჯერად მორწმუნეთა კრებულში. რალა თქმა უნდა, გაბოიას მაჭანკალს მოძღვარი წარმოადგენდა. ერთი გაცემული კურთხევა და აღგზნებული მამაკაცის წინაშე სანატრელი „კარი“ გადაიშლებოდა. თითქოს რამდენიმე პატარძალიც შეარჩია, მაგრამ მღვდლის თანადროულმა „შალაბანებმა“, დაცინვამ და პანლურებმა თავისი უარყოფითი ზეგავლენა იქონიეს – ქალიშვილებმა გაბოია „შტერის“ ცოლობაზე კატეგორიული უარი განაცხადეს. მესანთლემ ისევ მოიწყინა, დადგა ბრილიანტის ბაღჩიანი ბეჭდის აღსასრულის დღეც. ქუთაისში გაყიდა. იაფფასიანი რესტორნის „კუპეში“, ხუთი კაცის პორცია შეუკვეთა, ოფიცინტს უთხ-

რა – ამხანაგებს ველოდებიო და მარტომ შეჭამა. მერე ათ-
ლარიანი ბოზი რიონის ნაპირზე „იხმარა“ – რო გოუთავე, კაი
ნიხლიც ჩავაზილე, ზურია! ნამეტანი ძვირიაო... – ნანობდა.

ამ დროისთვის ასურის ეკლესიაში მე გამოვჩნდი და,
ხიბლში მყოფი, „ღმერთთან საუბარს“ შევუდექი. მრევლი
ჯერ უნდობლად მიყურებდა, ხოლო შემდეგ – აღტაცებით,
ვითარცა მაღალი სულიერების გმირს. მეც ვცდილობდი,
მორწმუნეთა მოლოდინი არ გამეწილებინა და ღვთაებრივი
სრულყოფილებისთვის მიმეღწია. ასე შევიქენი ერში – ყალ-
ბი ბერი. სიგარეტიც კი თითქმის გადავავდე და მუცლამდე
წვერი მოვუშვი. მამაოს „გართობას“ გაბოიას დამცირებით
კარგად ვხედავდი, მაგრამ „მონაზონი“ „განკითხვას“ ხომ
არ ვიკადრებდი. პირველად, ბერად ქცეულ მამასთან ჩამო-
სულმა პატარა შვილმა შემაფხიზლა:

– მამა, ასე მწარედ რატომ ურტყამს? წესია ასეთი?

პასუხი არ მქონდა...

სანამ მე და გაბოია „განკითხვის ძმები“ გავხდებოდით,
ერთი დიდმარხვისას მას ვკითხე:

– ბიჭო, მაინც მთელი დღე ეკლესიაში ხარ, რატომ აღ-
სარებას არ ამბობ, არ ეზიარები?

– აღსარება რაფერ ვთქვა, ზურია? რაც მოუყევი: ძროხამ
იმაკა, ღორმა გოჭები დაყარა თუ ქათამმა წინილები გამოჩე-
კა – ყველაფერი წამართვა! ახლა შემოდგომა მოვა და თხი-
ლის, კარალიოკის, ტყემლის, სიმინდის ზიდვას ვერ ოუვალ...
რაი ვქნა, აბა, ყაჩაღია დაა?!

რადგან გაბოია ყველა პრობლემის გადანყვეტას, მათ
შორის, მონობისგან თავის დაღწევას ფულში ხედავდა (ახლა
უკვე დოლარებში), მესანთლეს მაგიდაზე განოლილი, იმჟა-
მად უკვე ინგლისში გადახვენილი მამიდა გაახსენდა. გრძე-
ლი, ცრემლიანი წერილებით ერთნლიანმა ხვენწა-მუდარამ

თავისი ნაყოფი გამოიღო. ძიძაობით გამდიდრებულმა ბრიტანელმა ნათესავმა 1500 ევრო გამოუფხავა! სანამ ფულს მიიღებდა, ვერ მოითმინა, მამაოს მოუყვა – არ დავითარსოო. დასაწყისში მღვდლის ბეგარამ სულ რაღაც 200-ოდე დოლარი შეადგინა. „პრესი“ გაძლიერდა, „შალაბანებმა“ იმატა – მესანთლემ მოძღვარს ქუთაისური ავეჯი უყიდა. სანამ თანხას მთლიანად გამოსძალავდნენ, გაბოიამ „უძრავი ქონება“ შეიძინა – დაბეჩავებულმა მონამ ბატონის გვერდზე მისივე მითითებით მიტოვებული სახლი იყიდა; ერთი მესერი ყოფს ეზოებს! ასე უშედეგოდ დასრულდა გაბოიას „გასპარტაკების“ მცდელობა და მისი „ჯანყი“, იგი კვლავ „შტერი“ დარჩა: ცემა-ტყეპა, ჩაგვრა გაასკეცდა. ტირანმა მონის აბსოლუტური უუნარობა და მასზე თავისი განუსაზღვრელი ძალაუფლება იგრძნო. არადა, მთლად შტერი თითქოს არ იყო. ეკლესიის სასაფლაოზე ყველას გვარი, სახელი, ბიოგრაფია მე-7 მუხლამდე იცოდა. ერთხელ ბაბილონში, სახლების კურთხევისას, უცნობ ქუჩაზე მკითხა:

– გინდა გითხრა, აქანა ვინ ცხოვრობს?

ყოველივეს მიაშობდა მორიგ ეზოში შესვლისას – სად რა კარადა დგას, ტელევიზორი რომელ ოთახშია, რემონტი როგორი აქვს, დედა ჰყავს ბოზი თუ მამა ლოთი ან მორფინისტი. ასეთ თხრობაში გამოვიარეთ მთელი ახალი ბაბილონი და ჩემს ქუჩას მივადექით. ენა ჩამივარდა, წარმოვიდგინე, ჩემი ოჯახის შესახებ რა გულმოდგინედ დამალული ისტორიები ეცოდინებოდა.

სულ ბოლოს, სანამ სოფლის ეკლესიიდან წამოვიდოდი, ჩაგრულ მესანთლეს იმედი ჩაესახა – იქუხა „ვარდების რევოლუციამ“! ჩემშიც მთვლემარე რევოლუციონერმა, დემოკრატიმა, ჰუმანისტმა და ლიბერალმა, ერთბაშად გაიღვიძა! ორივე მონა სხვისი ხელით მორთმეული თვისუფლების

სურნელით დავთვევით. ერთ კვირაში გაბოიამ სოფლიდან მოიღრბინა, სადღესასწაულოდ იყო მრევლის „შმოტკეპში“ გამონყობილი: თეთრი, უჯრედებიანი პიჯაკი, მოყვითალო შარვალი, ჯინსის ქურთუკი, შავი რეზინის ჩექმები. ალელვე-ბულმა სიხარულით მიაბზო:

– ზურია, რაი მიწერე ამისთანა იმ მტარვალს?! ერთი პაჭკა ვალიდოლი და ნახევარი ბოთლი ვალოკარდინი და-ლია, მაგი არ გადარჩა ცოცხალი! ისე გალურჯდა, კინაღმე მოკვდა! საკურთხეველში ორი საათი იჯდა, ხაერს ყლაპავდა ღორჯოლასავით პირდაფჩენილი!

კომენტარი არც დამაცალა, ჩემს საამაყო აბაზანა-ტუა-ლეტში შევარდა, მეფსმებაო. აღტაცებისგან. რაც ოდე-კოლონი, დეზოდორი და ამოსასმელ-ნასასმელი მქონდა, თავზე გადმოიმზო, ბერძნული დიქლოფოსი ძლივს გამოვ-გლიჯე ხელიდან, ილღიებს იმუშავებდა. მაგრად კი აენვა, არ უტირია, მიხარია – „პრაზდნიკიო!“ მაგი გადაშენდა საცხ-აო! ახლა სხვა დრო დადგა, წერილს მივწერ სააკაშვილსო! ცოტათი რომ დაწყნარდა, ჩემს გისოსებთან აივანზე გავიდა, სიგარეტს მოუკიდა და მიხდობით მომითხრო:

– ზურია, შენ თავს ფიცავარ, ბანარი მქონდა გამზადებუ-ლი, თავი უნდა ჩამემეხრჩო. არავის არ ვეუბნებოდი, ისე, ჩუმ-ჩუმათე ოდკას ვყლურწავდი. მერე დაფნას ვღეჭავ-დი სუნიზა, მეშინოდა არ გეეგო, მაგ... ხო, ქალბატონი ევა გევისტუმრეთ ბაკურიანში, შვილებიანათ!

ასე მამაოს მეუღლეს უწოდებდა. როგორც გაბოია მიიჩ-ნევდა, და არცთუ უსაფძვლოდ, ევა იყო მისი უბედურების ძირითადი მიზეზი, წყარო და სათავე, ის აქეზებდა მამაოს. ადრეც შევამჩნიე ფრიად საინტერესო დეტალი: გაბოია მამა გიორგისთან ჩხუბში ევას ჰბაძავდა, თან ერთმანეთი კატა-ძაღლივით სასტიკად სძულდათ. მესანთლე იმავე

სიტყვებითა და მანერით ექიშპებოდა მღვდელს, როგორც ევა. ანუ დეკანოზის „ჰარემში“ გაბოიას ეჭვიანი ცოლის როლი ჰქონდა მორგებული! „ქმარი“-მამაოც ქალაჩუნას მონდომებით უბრაზუნებდა. „გირტყამს – მაშასადამე, უყვარხარ“ – გვიქადაგებს რუსული ხალხური სიბრძნე. ორი ღერი ზედიზედ გააბოლა. ჩემგან სანუგეშო ამბავი შეიტყო და გახარებული ასურისკენ გაემგზავრა.

– გაბოია, მაგ შენს მამაოზე ისეთ წიგნს დავწერ, ნახავ მაგას გაფარჩაკებულს!

... ამჟამად ასურში ყველაფერი ძველებურადაა: „კასტუმებიანი“ ჩემოდნები ადგილზეა – ლოგინის ქვეშ; მესანთლე მამაოს ერთლარიანებით და დედის გაორმაგებული პენსიით სულდგმულობს; დიდება გარდაცვალა – მამაომ აუგო წესი, შეკვეთილი ნირვის ჩატარება დაეზარა, მცირე პანაშვიდი გადაუხადა სხვა მიცვალებულებთან ერთად; გაბოიამ პომპეზური ქელეხი, ორმოცი და წლისთავიც გააკეთა – მაგარი პატივი კი მცა მამაომ, ისეო, მთელი მრევლი მე დამასია თავზეო; თავისთვის უზარმაზარ ქვაბში ცარიელ კომბოსტოს თუშავს და ძველებურად, გამთენიისას, 4-5 საათზე, დედასთან ერთად მიირთმევს; მესანთლე კვლავ ცოლზე ოცნებობს და... იმავე ხერხით იკმაყოფილებს თავს. მორიგი ცემის შემდეგ ისევ იმავეს ჰყვება:

– ეჰ, ადრე რა კაი კაცი იყო, 12 მანეთიც მომცა ერთხელ! სულ ევას ბრალია, უჩხიკინებს ჩემზე მამაოს – გაბოიას მოტანილი თხილი არ ვარგაო, მთელი მეშოკი დამპალიაო, ჭიანიაო...

ასურიდან ზურგით ჩამოთრეულ „უვარგის“ თხილს ევა 60 ლარად თავად გაბოიასვე აბარებინებს მიმღებ პუნქტში. ეჰ, ჩვეულება რჯულზე უმტკიცესიაო, – მესანთლეზე უთქვამთ ძველებს.

ამბავი 7.

ჯიმი-„ანდერგრაუნდ“ ფილცუოტერის გმირობის ამაღელვებელი ისტორია

„როდესაც მკითხავენ, თუ რატომ არაა ჩემს გულში არც ერთი რელიგია, მე ვუპასუხებ, რომ დავკარგე იგი თვით რელიგიის მიზეზითვე“.

ფრიდრიხ შილერი

ამერიკელ შავკანიან მამაკაცს მამა გიორგის სარწმუნოებრივ იერარქიაში მე-5, ანუ უკანასკნელი, „ნაგვების“ საფეხური ეჭირა და „კათოლიკე-მასონთა“ მრავალრიცხოვან „სექტას“ წარმოადგენდა. ამგვარი რელიგიური სეგრეგაციის თაობაზე ჯიმ ფილცუოტერმა, რალა თქმა უნდა, არაფერი უნყოდა. მე იგი ნიუ-იორკის „მეტროპოლიტენში“ გავიცანი და ერთ ჩვეულებრივ დღეს, სატელევიზიო „ნიუსების“ ყურებისას შევიყვარე. ჯიმის გმირობის ამსახველი სიუჟეტის დამთავრებისთანავე მას, როგორც ამერიკის მინისქვეშეთის ღირსეულ წარმომადგენელს, „ანდერგრაუნდი“ ვუნოდე.

ბაქანზე მდგომ შავკანიან მამაკაცს მოახლოებული მატარებლის გრუხუნი მოესმა. ჯიმიმ ჯერ გვირაბისკენ მიაპყრო მზერა, შემდეგ ლიანდაგის მეტალს მიაშტერდა... უცებ იქ მჯდომი ბავშვი შენიშნა! ვიეტნამგამოვლილი რიგითი შავკანიანი მატარებელს დაუფიქრებლად წინ ჩაუხტა, პატარა ხელში აიყვანა და ვაგონებქვეშ განვა... მატარებელმა თავზე გადაუქროლა და ორი ადამიანი – ჯიმ ფილცუოტერი და ბავშვი უვნებლად გადარჩნენ! ყოველივე მომხდარი, ციფრული ვიდეოკამერით ერთმა იაპონელმა ტურისტმა

დააფიქსირა. აღწერილი სიუჟეტი მსოფლიო მედიას მოედო.

უცხოელის რაინდობით მოხიბლულმა, ტაძარში მივირბინე და მამაოსთან მდგომ „მართალ“ ქალბატონებს ნანახი ვუამბე. „ქამის შთამომავლის“ გმირობით გაღიზიანებული მამა გიორგი ტუჩებმოკუმული იდგა და სადღაც სხვაგან იყურებოდა. მრევლის პირველი კომენტარი ბავშვის სასწაულებრივ გადარჩენაზე ყოველგვარ დადებით ემოციას იყო მოკლებული და ასე ჟღერდა:

– კი მარა, მაგენი კათოლიკეები არიენ და... მაინც ვერ გადარჩება, ჩავა ჯოჯოხეთში და იქანა მოუვლიენ ეშმაკები, – უდავო მოსაზრებას გარშემო მდგომნიც დაეთანხმნენ და შემდგომი საუბარი ამერიკიდან „შემოგდებულ“ სექტებზე, კერძოდ, იელოველებზე წარიმართა.

ამაო გამოდგა მამაცი ამერიკელის, მით უმეტეს – „ზანგის“ გარჯა. მას მოყვასზე ესოდენ შერყეული კრებული მხოლოდ სამწვადე მასალად განიხილავდა. მე ღრმად ჩავფიქრდი – რატომ იყო მოსიყვარულე ღმერთი ასე უსამართლო? „უზენაესი განჩინებით“, მამა გიორგი თითქოს „ზეციური იერუსალიმის“ მომავალი მოქალაქე გახლდათ, ჯიმ ფილცუოტერი კი, „მართლების“ აზრით, უპირობოდ იქნა შეტანილი მეჯოჯოხეთეთა, ანუ კუპრის მომლოდინეთა, სიაში!

სასონარკვეთილებამ შემიპყრო. ჭეშმარიტების ძიებას ხშირად ახლავს ამგვარი რამ. მე ეკლესიისადმი გავცივდი და გამოსავლის ძიებაში სიგარეტის წევასაც ვუმატე, ტელენარკოტიკის მიღებასთან ერთად – გართობისა და ინფორმაციის ერთადერთ წყაროს ახალ ბაბილონში. ამასობაში ცნობილი მოვლენები განვითარდა, თბილისი ოპოზიციის მიტინგებმა მოიცვა. ჯიმი თითქმის დავინწყებას მიეცა, რადგან მე პოლიტიკურმა ვნებათაღელვამ გამიტაცა.

ამბავი 8.

„ასე რაფერ შეიძლება, ბიჭო?!“

„მაშინ იწყო იმ ქალაქების ყვედრება...“

(მათე, 12, 20).

ვაი, შენ, ბაბილონო, და ვაი, შენ, რუსთავო!

ბუენოს-აირესი სევდიანი ტანგოს სამშობლოა, ნიუ-ორ-ლეანი – მონყენილი ბლუზის. რადგან ბაბილონში ვერავინ ბედავს ვნებიან ჰანგებზე როკვას, ჩვენ მხოლოდ ტელევიზორთან წოლა და სევდანარევი მონყენილობაა გვხვდა წილად. ახალი ამბები ჩამთავრდა, თამბაქომ შემახსენა თავი. გავალ გისოსებში. კარი ღიაა! კვლავ არ ვკარგავ კავშირს ეთერთან. ჩემს აივანს ქურდებისგან დასაცავად არმატურის გისოსები ამშვენებს. რამ გამაკეთებინა?! არ მეგონა, მოსკოვში თუ გაქუსლავდნენ ძუნძულით, არ ველოდი ასეთ უეცარ კაპიტულაციას. ციხე-აივანზე ვდგავარ და ვწვევი „ქურდულად“, ანუ წელში მოხრილი და ამაყად. გისოსებს მიღმა გივი მიახლოვდება – გივია „ცხვირა“.

ქუთაისელია, ბაბილონში ჯინსებით ვაჭრობს, იმავდროულად სტიქაროსანიცაა. ნამდვილი „უჩინმაჩინია“. მსურს, პორტრეტის ერთი შტრიხი მაინც დაგანახოთ, რათა გაგაცნოთ იგი, რაიმე მახასიათებელი თვისება შეგატყობინოთ... სიმსუქნისა და დიდი ცხვირის გარდა – არაფერი! ვფიქრობ, ვიხსენებ – არ გამომდის, ის უბრალოდ არც არსებობს, რომ არა ჩემ წინაშე მდგომი მამაკაცის სილუეტი და ბაბილონის ბაზრობის „დოღჩე გაბანას“ ქურთუკი. ჯერ ახალგაზრდაა, 25 წლის, მასაც აქვს ყავისფერი ქუდი ჯვრებით და მაჯაზე „ელიტარული“, მონასტერში დამზადებული სკვნილი.

– მაშინ, ბოზოო, რო დამიძახე, მთვრალი იყავი თუ რაია?
– კაი რა, გივია, რამ გაგახსენა, დაიკიდე.
– შენზე ამბობენ, ზურია, იგიო... მღვდლებს განიკითხავს
და რაცხა რაცხეებო...

ხმას არ ვიღებ, თავისი ქკუით ვითომ მითანაგრძნობს.

– იგიო... ცოტას... იგიო...

– თქვი, ბიჭო! რა დაგიჩემებია – ეს იგიო-იგიო!

– რა და, უბერავსო!

სწრაფად ამოიძახა „ცხვირამ“ და საფეთქლისკენ დააპირა ხელის წაღება.

ოჰ, ეს ნაცნობი ჟესტი! ის ხომ მამა გიორგის ფანია და სულიერი შვილიც. მეორე კაცი მამცნობს დღეს – იგიო, აგიო, ვერა ხარო, ასე იძახიანო. გუშინ დედამაც მითხრა:

– ამდენ ხალხში, შვილო, შენ როგორა ხარ ყველასთან მართალი? მამა გიორგისაც უთქვამს, რაღაც ბევრს ლაპარაკობსო. რას წერ ამდენს, გადი გარეთ, გაიარე. ეკლესიაც სულ მიატოვე... ცუდად დამთავრდება ეგ, ნუ განუდგები, ჩაგქოლავენ და გვიან იქნება!

დედაც განიცდის, ნერვიულობს ჩემს ფსიქოსომატურ სტატუსზე.

– გივია, ჩემო კარგო და განსაკრთომელო! მე ეკლესიას და ქრისტეს კი არა, ბაბილონს ვებრძვი, ბა-ბი-ლონს!

– ბაბილონს?! მაი ბევრმა კითხვამ გააგიჟაო, – გააგრძელა „დოლჩემ“.

გივი ფრიად საინტერესო ობიექტია, მის გრანდიოზულ პუნტულა ფიგურას, ასე ადვილად ვერ დავაღწევთ თავს. ყველაფერთან ერთად, საშინელი, ჩამწვარი ოპოზიციონერია, ამიტომ აქვს მის განადგურებას ჩემთვის ასეთი დიდი სტრატეგიული მნიშვნელობა, ის ხომ მასებში, ბაზარში ტრიალებს!

დროებით გადავინაცვლოთ უახლოეს წარსულში. მორიგი

ბობოქარი დღეები „ვარდების რევოლუციით“ დასრულდა. ავადსენებული დენი მოვიდა და გივიც ტელევიზორს მიუჯდა, ასე ვთქვათ, ეთერში დაიდო ბინა. კრიმინალთან ბრძოლა გადამწყვეტ ფაზაში შედიოდა. „მართალი“ ვაჭარი ახალ „სამსუნგს“ მიეჯაჭვა და ტელეანაბიოზში შევიდა. თბილისიდან, ქუთაისის გავლით, ბაბილონშიც შემოაღწია თავზარდამცემმა ამბავმა – „შავების აყრა დოუნციენ ამ ბოზებს!“

რატომ გახლდათ კრიმინალური თემა გივისთვის ამრიგად აქტუალური? ბევრი ქურდ-ავაზაკ-ნარკომანი ატერორებდა პუნტულა ცხვირას. „მართალი“ ვაჭარი გაკოტრების პირას იყო მისული. კრიმინალური ავტორიტეტები – „კაი ბიჭები“ ფულს ხომ არ გადაიხდიდნენ, ჯინსებს ისე ახევდნენ, უფასოდ. ბოლოს, ჩვენი გივი ბაზრის „მაყურებლებმა“ – კოსტია-„ხრამოი“ და ბიჭიკია-ცალთვალამ დაატყვევეს. რა ექნათ – ბიჭები ბათუმში გარბოდნენ ნამალზე. ტუსალი გაუძალიანდა. „მაყურებლებმა“ ფულიც წაართვეს და სცემეს კიდეც. ბოლოს მუჯღლუგუნებით დახლქვეშ შეაგდეს და უბრძანეს:

– მანდ ეგდე, სანამ ბათუმიდან ჩამოვალთ, შე ბოზო!

გაუგებარი გახლდათ, რატომ შეიქნა გივია ბოზი, მაგრამ დახლქვეშ ჯდომა მანაც გარდაუვალი იყო. ასე შეშინებულმა და ჩაცუცქულმა მრავალი საათი დახლქვეშ, სიცივეში გაატარა. საჭმელიც იქ ჭამა, ვაიდა, „გაჩხერილი“ „ხრამოი“ უცებ ჩამოსულიყო, მერე?! „ცხვირაც“ იჯდა და შემდეგ მითითებებს ელოდა... „ბათუმელებმა“ ბარიგა ნახეს, ნამალი აიღეს, გაიკეთეს და სიგარეტის ნევა-ნევიტ ნიუ-ბაბილონისკენ გამოეშურნენ. ბაზარში გივია-ცხვირას სანახავად არც შეუვლიათ.

სალამოთი, ძალიან რომ აცივდა, პატიმარმა „მობილით“ ერთს დაურეკა. ერთმა უთხრა, გამო მაქედან, შე სირო, ჩემთან ნამოდი და ჯინსებიც წამომიღეო – „ლევისები“, სხვა

არა, „ზადნო“ ერთი ბოთლი არაყიც თან მოაყოლო!

ასეთ დღეში იყო გივი; „ვარდებმა“ სულზე მოუსწრო.

გავიდა ხანი, დადგა საყოველთაო სალარო-აპარატების ეპოქა. ვაჭარ-„მართალი“ დაუყოვნებლივ მწვავე ოპოზიციში გადავიდა და ქუჩის აქციებშიც ჩაება. ამგვარად, ეკლიანი შეიქნა „დოლჩე“-ცხვირას მიერ განვლილი გარეგონლუციონერების მძიმე გზა. მეამბოხე ორ ცეცხლს შორის მოექცა: ან ქუჩის აქციები ბაბილონში შემოსასვლელი გზის გადაკეცივით, ან სალამოთი კრიმინალური ტელე-დაჭერები, „შავების“ დამარცხებით განცხრომა და ამით გულის ფხანა. „კვეფოებს“, „ხმაროებსა“ და „ცალთვალებს“, ნაირ-ნაირ „იჩებს“ დასტა-დასტა ყრიდნენ ციხეში.

ერთი მხრივ, გივიმ ამოისუნთქა – ვაჭრობამ იმატა, მაგრამ დემოკრატია, ლიბერალური ღირებულებები?! ცხვირამ დაკარგა რეალობის შეგრძნება: „რალა საჭირო იყო, ბატონო, ამხელა რევოლუცია, „ხმაროის“ სალაროაპარატით თუ ჩაანაცვლებდნენ?!“ – აღელვებული სვამდა შეკითხვას ვაჭარი და მისი სახე გაბრაზებისას ზრდასრული მამაკაცის იერს იძენდა. სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახადებით შევსების არგუმენტს არ ცნობდა – ორივენი ქურდები არიანო. ერთი იყო, სალაროაპარატი პანდურებს ისე მწარედ არ ირტყემევიანებოდა და ფულსაც გაცილებით ნაკლებს ითხოვდა.

ეს ყველაფერი ძალიან კარგი, მაგრამ სულიერება?! „მართალი“ ადამიანი ხომ სამბუნებოვანია: გული, გონება და სული. „ვარდების“ შემდეგ გივიას ისედაც ცხიმებით შეზღუდულ გულში ახლად გამოკვირტული მოჩვენებითი ღირსების (რეალურად უკიდევანო ამპარტავნობის) ნაზი ყლორტი უხვად ითხოვდა პროტესტის ნამით მორწყვას. მის ტოტალიტარულ ცნობიერებაში აღმოცენებულმა დემოკრატიის ნორჩმა ლერწამმა გაქონილი ტვინი ორად

გახლიჩა, სული კი თავისას ითხოვდა – მას ბობოქარი რევ-
ოლუცია სწყუროდა!

... იმ დღეს, შებინდებისას, სანამ ჩვენ შორის TV „იმედის“
შავი, პოლიტიკური აჩრდილი ჩამონვებოდა, გივია ეზოში
შემოვიდა, ის „ნისიების“ ავტორებს ეძებდა. ამ დროს მე,
კრიმინალთან მთავრობის ბრძოლის წარმატებით აღელვე-
ბული, გისოსებში წყნარად ვაბოლებდი. აქ მივადექით, გივ-
ია-„მართალი“ ვაჭრის თხრობისათვის საკვანძო სიტყვებს:
„ზურია, ხო უყურებ ტელევიზორს? აი, რაია, რას უშობიენ
ქურდებს?! ასე რაფერ შეიძლება, ბიჭო?!“ – ჩემს წინ ახა-
ლი, დემოკრატიისაგან გაბრწყინებული, „შნირყოფილი“
„ცხვირა“ ლიბერალი იდგა! მომავალი დელეგატი ბაბილონის
ეპარქიისა, ქურდების უფლებათა დამცველი ევროპარლამ-
ენტში! ჩვილმა ინფანტილიზმის მარწუხებისგან გათავი-
სუფლება იწყო და 40 წლის მამაკაცი ბაგა-ბაღის ასაკობრივ
ჯგუფში გადავიდა. გივი თითქმის დაკაცდა! მე გაკვირვები-
სგან კინალამ წავიქეცი! პირი გამიშრა, პასუხი არ მქონდა...

– წადი, შენი ბოზიი...!

ჩავიბურტყუნე და მთელი არსით დატუსაღებულ
„კოსტია-ხრამოს“ და „ბიჭიკია ცალთვალას“ დავეთანხმე.
გივია მივატოვე, სახლში შემოვედი და კვლავ მანუგეშებელ
ტელევიზორს მივუჯექი.

ახლანდელი ევროპარლამენტის შენობა ბაბილონის
კოშკის სახით არის დაპროექტებული და მას საფუძვლად
პიტერ ბრეიგელ-უფროსის სურათი უდევს. ზოგიერთი
ქრისტიანი ამ ფაქტში ჭვრეტს ევროპელთა მისწრაფებას,
ღვთის საწინააღმდეგოდ მიმართულ ამბოხს დემონსტრი-
რება გაუწიონ. წავა ვითომ ამ გზით „მართალი“ გივია-„ცხ-
ვირა“? მიიღებს ევროპელ „მასონთა“ მცდარ ლიბერალურ
ღირებულებებს? მერე ქურდე-ე-ები, მა-მა-ა-ო?!

აგზავი 9.

ცხოვრება დედა-დედოფლისა, აპოკალიფსის ახალი სქემის შემოქმედისა

„ერთი უმთავრესი მიზეზი ჩვენი სამღვდლოების გონებითი დაცემულობისა მასში მდგომარეობს, რომ ჩვენი სასულიერო წოდების ცოლები სრულიად მოკლებულნი არიან განათლებას. მთელ საქართველოში ორ-სამ მღვდელსაც კი ვერ მოძებნით, რომელთაც ნასწავლი ცოლები ჰყავდეთ. ქალების უმეცრებას მეტად ცუდი ზემოქმედება აქვს სასულიერო წოდებაზე. ეს უმეცრება მღვდელს გონებას უმდაბლებს და ჩქარა ავინყებს განათლების იმ ნაგლეჯებს, რომელიც სასულიერო სემინარიაში მიიღო“.

წმ. ილია (მართალი) ჭავჭავაძე (VI, 241-262)

გაბოია „შტერმა“ მამაოს მეუღლეს, როგორც ვთქვი, ევა შეარქვა. იგი პირველიც იყო და ცბიერიც. „ბალზაკის ასაკს“ მიღწეული, თითქოს უწყინარი ქალი, გახლდათ ეკლესიაში მრევლის, ფულის და მამაოს ჭეშმარიტი განმკარგველ-მბრძანებელი. დანარჩენი: ღვთისმსახურება, ღრიალი, „შალაბანები“, პანღურები და მლიქვნელობა – მღვდელს ჰქონდა მიბარებული.

ახალ ბაბილონში ჩამოსვლამდე ცოლ-ქმრმა რთული, ეკლიანი გზა განვლო. ყოველივე მონასტერში ერთ საბერე მორჩილთან შეხვედრამ შეცვალა. ის ჯერ ბერად აკურთხეს, შემდეგ არქიმანდრიტობა მიიღო და მალევე ეპისკო-

პოსად დანინაურებული, ბაბილონში გაუშვეს. მტრულ გარემოცვაში „თავისი კაცი“ იყო საჭირო. მან გიორგის დაურეკა, ჩამოიყვანა და მღვდლად აკურთხა.

... ადგილობრივ მთავრობასა და ძველ, დამხვედურ სამღვდლო ელიტასთან ბრძოლა გარდამტეხ ფაზაში შედიოდა. მამა გიორგი ოსტატურად ფლობდა ადამიანთა დამორჩილების ხელოვნებას. განსაკუთრებით პოპულარული იგი მონიფულ ქალებს შორის შეიქნა. განაზებული ქალბატონები თვალების ნაბვითა და ტკბობის გამომეტყველებით, თბილისიდან ჩამოსული, ორმეტრიანი დეკანოზის ხსენებისას ქათინაურებს არ იშურებდნენ: „ო, რა კარგი მამაოა! ო, რას ქადაგებს! ო, რა კაცია!“ „შეძახილმა ხე გაახმოო“, – ადამიანს ზედმეტი ქება „ახმოვს“, აამაყებს, მით უმეტეს, დაუმსახურებელი განდიდება! „ფარაონს“ ხომ სემინარიაც კი არ ჰქონდა დამთავრებული, ასე რომ, იგი გარანტირებულად დაცული გახლდათ ილიასეული „განათლების ნაგლეჯების“ დაკარგვისგანაც. ამ დროისთვის წყვილს ერთი რამ დასჩემდა – ეპისკოპოსი სესეს მანიაკალური, მონური შიში! მათ იმდენად აფრთხობდათ განვლილი ცხოვრების შეხსენება, რომ საკუთარი წარსულიც კი სრულიად დაივიწყეს. ცოლქმარს სასტიკად აშინებდა ძველ, დუხჭირ ყოფაში დაბრუნება. კითხვაც ძლიერ შეუყვარდათ, ოღონდ მხოლოდ მტკიცედ „მართალი“ ლიტერატურის.

ერთხელ იოანე მოციქულის „გამოცხადებაში“ დაკარგულმა, ევას რალაც ვკითხე. მისი მყისიერი პასუხი ასე ჟღერდა:

– რად გინდა, რას ეძებ? რა შენი საქმეა? მოეშვი, დაბრკოლდები!

როგორც შემდეგ გავარკვიე, „ფარაონის“ მეუღლემ ძველის წაუკითხავად არმაგედონისა და მისთვის მზადების

საკუთარი მწყობრი სქემა შეიმუშავა. „ფარაონშა“, შეუვალი „მართლობის“ გამო, არ ხმარობდა არც სარეცხ ფხვნილ „Taid“-ს, არც შამპუნ „Head and Sholders“-ს და არც კბილებს იხეხავდა „Blend-a-Med“-ით. ყველაფრისთვის – სარეცხად, შამპუნის მაგიერ და, თქვენ წარმოიდგინეთ კბილების სანმენდადაც კი – იგი ერთლარიან რუსულ მისტიკურ ფხვნილ „Миф“-ს ამჯობინებდა „И“ ჰყვარობდა (რადგან ნახევრად რუსი იყო).

ჩამოთვლილ საშიშ პროდუქციას, ასევე საშინელი და იდუმალებით მოცული ფირმა „პროქტერ ანდ გემბელი“ აწარმოებდა. ეს უკანასკნელი კი მასონების ხელში გახლდათ და მათ მთავარ ფინანსურ დასაყრდენს წარმოადგენდა. ასე ეწერა გამოჩენილი რუსი ღვთისმეტყველის, პროკოფი გემბელოვის შავყდიან, დაფლეთილ წიგნში. რკინისებური, გაქვავებული და მტკიცე ლოგიკით ყოველივე ჩამოთვლილისგან გამომდინარეობდა შემდეგი: თუ ამ ფხვნილ-შამპუნ-პასტას შეიძენ, შენ ნებით თუ უნებლიეთ გაამდიდრებ შორეულ ალაბამის შტატში მოკალათებულ ჯორჯთაუნელ მასონებს (სინამდვილეში, შტატი და ქალაქი არავინ უწყოდა, პროკოფი გემბელოვის გარდა). „რკინის ლედის“ ბაბილონშიც კი არ ასვენებდა ამერიკელი მასონების ბედ-ილბალი და მათი ჭუჭყიანი მილიონები. „ფარაონშა“, ნიუ-ბაბილონის ეპარქიიდან ებრძოდა მსოფლიო მასონიზმის ფინანსურ ძლიერებას, მათ კი ამაზე არაფერი იცოდნენ, სანყლებმა! მიახლოებითი გამოთვლებით, ჯორჯთაუნელი მასონები „ფარაონშა დედოფლის“ ბრძოლის შედეგად, 6.666.666 წლის შემდეგ უნდა გაკოტრებულიყვნენ. „ასეც მოხდა...“ – დანერს მომავლის ისტორიკოსი. აქსიოს, „დედა-დედოფალო“, აქსიოს!

თუ გავითვალისწინებთ, რომ „ფარაონის“ მეუღლემ თა-

ვისი დესპოტური დიქტატის ქვეშ რამდენიმე ასევე მტკიცე და მასავით მოუდრეკელი „მართლმორწმუნე“ შემოიერთა, მსოფლიო მასონიზმის კრაზი მოახლოებული და გარდაუვალი გახლავთ. ასეთი მძაფრი, მაგრამ ერთი შეხედვით უსისხლო იყო „დედა-დედოფლის“ ბრძოლა მისი სასტიკი მეთოდებით. დედოფალი ფრიად მგრძნობიარე შეიქნა ცოდვისადმი და ხშირ აღსარებაში, ქალიშვილობისას სულ ერთხელ, უნებლიეთ გამოყენებულ „Taid“-ს მისტიროდა. „არ ცოდნა არ ცოდვაა“. ჩვენც მივუტევოთ მას.

ვითომ რატომ ვეძახი „დედა-დედოფალს“? როგორც ქრისტიან „მართლმორწმუნე“ ქალბატონს, დამატებით ერთი დიადი თემა არ ასვენებდა. ეს გახლდათ დიდი ტკივილი, შეიძლება ითქვას, ღია სისხლმდენი ჭრილობა ბრიტანეთ-ინგლისის დაძირვისა და ამერიკის ჩქარი გაქრობის გამო!

ზრდასრული თეთრი, ფუნთუშასავით მადის მომგვრელი, თავნაკრული ქალი ტელეამბებს გახლდათ მიჯაჭვული. საქმე ასე გამოიყურებოდა: საქართველო „მაღე“ უნდა გაბრყინებულიყო – „სულ მაღე!“ როგორც კი მორიგი მიტინგი – რევოლუციის ციკლი ჩაივლიდა. ამ გარდაუვალ გაბრყინებას უცილობლივ, რკინისებრი და ადვილად მისახვედრი ლოგიკით, ინგლის-ბრიტანეთყოფილის, ჰოლანდიისა და ნახევარი საფრანგეთის დაძირვა უნდა მოჰყოლოდა. ამ ორ ურთიერთშეთანხმებულ აქტს – გაბრყინება-დაძირვას, ამერიკის (აშშ-ის!) ვულკანურ-მაგმური დანვა-დანგრევა უსწრებდა წინ. „დედა-დედოფლის“ თავში არსებულ აპოკალიფტურ სიძულვილში, რომელიც ასე დისონირებდა მის მთვარესავით მრგვალ, კეთილგანწყობილ სახესთან, ყველაზე მნიშვნელოვანი დოლარის გაქრობა-გაცამტვერება გახლდათ. შიზოიდური „იდეაფიქსი“ ასე ჟღერდა: დოლარი, თავისი მასონური თვალით და პირამიდით, მთავარი მასონური

ნიშნებით, მოკლე ხანში, ანუ ჩვენს გაბრწყინებამდე, აღარ იარსებებდა!

ამ მითში იდო რალაც „დედა-დედოფლის“ ბავშვური გულჩვილობიდან. ალბათ პატარაობისას სულ „აინონა-დაინონას“ თამაშობდა. ფიცრის ერთ მხარეს, თვითონ რომ იჯდა – „გაბრწყინებული“ საქართველოა, ხოლო მეორეს, ფუნთუშას რომ არ აძლევდა, ის ცუდი ბიჭი – „დაძირული ინგლისი“. გინდა-არ გინდა, შენ რომ აინევი, სხვა დაინევა და ქვესკნელში ჩავარდება. ასეთია გულჩვილი ინფანტილიზმის უწყინარი მითები.

„ფარაონმა-დედოფალი“ ტელევიზორს გულისძვერით რთავდა და სადო-მაზოხისტური აღელვებით ადევნებდა თვალს ამერიკულ ტაიფუნებს, ტორნადოებსა თუ წყალდიდობებს. გულს იაპონური ცუნამიც ძლიერ უამებდა. განსაკუთრებით საამო საცქერი უკანასკნელ დროს გახშირებული ფილიპინურ-ტაილანდური ტექტონური მიწისძვრები გახლდათ! ასიათასობით გვამი, ათასობით ატირებული დედა და ბავშვი მისთვის არაფერს ნიშნავდა. უბრალოდ, ამგვარი მკვდრები არ მისდევდნენ „მართალ“ რწმენას, არც მარხვას იცავდნენ და ამიტომ თავიანთი ცოდვების გამო ისჯებოდნენ. ასე სადად და გასაგებად ჟღერდა ღვთიური პასუხი „უგუნურებისადმი“; ამრიგად სწამდათ რკინისებრ „მართლებს“. „Туда им и дорога“-ო, – ჭეშმარიტად მონარქის სიმშვიდით აღნიშნავდა ბაბილონელი ლედი. ამგვარი იავნანა, რომელსაც ალბათ მშობელი უგალობდა პანია დედა-დედოფალს დაძინებისას, ამკარად რუსული ხალხური ზღაპრებიდან გახლდათ ნასესხები. შედარებით ლოიალური, ნავთ-გაზის მოყვარული ნახევარი საფრანგეთი და გერმანია, როგორც „ნაკლებად“ კაპიტალისტური ქვეყნები ხომ „დაძირულთა“ სიაში არ შედიოდნენ. ასეთია რუსული პოლი-

ტიკური მითოლოგია და საბჭოური კურთხევა.

ერთი, თითქოს გადაულახავი წინააღმდეგობა ჰქონდა აპოკალიფსის მწყობრ სქემას. თუ დოლარი გაქრებოდა, რაღა აზრი ექნებოდა „ფარაონისა“ და მისი მეუღლის, დედა-დედოფლის „მართალ“, ნახევარსაუკუნოვან ცხოვრებას?! ზოგადად, ყოფიერების, კერძოდ კი, მათი ღვთაებრივი ოჯახის არსებობის არსს ხომ ღია მწვანე, მომწუსხველი კუპიურები წარმოადგენდა. თან, ამ ბოლო დროს, მეორედ მოსვლის მოახლოებასთან ერთად, ეშმაკის ცდუნებასავით, მას შემდეგ, რაც მათ ცხოვრებაში სრულიად განსხვავებული, ტკიცინა და სუნამოს არომატიანი დოლარებით ჯიპიანი თეა შემოვიდა, ფულის რაოდენობამ განსაკუთრებით იმატა. შემონირულობა უხვი გახლდათ, უარის თქმა ძნელდებოდა, ამერიკის ფინანსური კრაზიც დროებით გადაიდო. მხოლოდ დროებით!

ეს მოხდა რუსთავში...

ეპისკოპოსთან ერთად წირვაზე და ტაძრისთვის ცემენტის სათხოვნელად ჩასულ მამა გიორგის „რუსთავცემენტის“ საამქროს უფროსი თეა გაეცნო. მღვდლის წარმოსადგეგობითა და სულიერებით აღელვებულმა დედაკაცმა მოსვენება დაკარგა. იგი რუსთავიდან დაქროდა ბაბილონში წირვაზე დასასწრებად – 600 კილომეტრს! თეა ყველასთვის კარგად ნაცნობ, ფულიან, ვნებიან, წითელპომადიან, მოწიფულ ქალბატონთა ტიპს განეკუთვნება. მართალია, ევა, თეა დეიდას ტაძარში პირველად გამოჩენამ ძლიერ შეაცბუნა, მაგრამ... „მწვანე“?!

ადრიანი წამოდგომით და უჭმელობით გამონვეული გალიზიანების მიუხედავად, ცოლ-ქმარი წირვისას ხის სხვადასხვა ზომის შესანირის ყუთს (ჩინური, ვერცხლისფერი ბოქლომებით) თვალს აღელვებით ადევნებდა. ამგვარი ყუ-

ლაბები თავიანთი მკაცრი, ხელგანვდილი ბატონობის ქვეშ ტაძრის მთელ სივრცეს მოიცავდა. ისინი სათუთად იყვნენ შემკულნი მოსიყვარულე ხელით, ჟანგიან, დიდ ლურსმნებზე დაკიდებული თვითნაკეთი ხატებით. ყველაზე მოზრდილ, შეიძლება ითქვას – სტრატეგიული დანიშნულების ერთ გიგანტურ ყულაბას წმინდა გიორგის მოოქრული ხატი ამშვენებდა. „Миф“-ისა და მწვანე კუპიურების ტრფიალი ცოლ-ქმარი კრიმინალურ-ფინანსურ ვითარებას ეკლესიაში ერთად ზვერავდა. შეშფოთება მწვერვალს მაშინ აღწევდა, როდესაც ახლად შემობრძანებული ფულიანი მორწმუნე შესანიშნავი დიდ ყუთს უახლოვდებოდა. მრევლის მჭიდრო რიგებში მდიდრების გადაადგილებას ცოლ-ქმარი არწივისებური მზერით აკონტროლებდა. თეას გრანდიოზული, უზომოდ დიდ პლატფორმებზე შემდგარი ფიგურა გედის სინატიფით მიაპობდა ტაძრის სივრცეს... ნაძვის ხესავით ძვირფასი სამკაულებით უხვად მორთული ქალბატონის მოშიშვლებულ მკერდს ვეებერთელა ოქროს ჯვარი ამშვენებდა, რომელიც ღარის უფსკრულში ლამობდა დამალვას. მღვდლის გამჭრიახ მზერას არ ეპარებოდა ეკლესიური ყუთისკენ თეას მოჩვენებითი შეუმჩნეველობით ნაღებული პუტკუნა ხელი და ყულაბის ჭრილთან მისი კოტიტა თითების მომწუსხველი მოძრაობა. ღვთაებრივი სიმფონიის აპოთეოზი დამამშვიდებელი აკორდით სრულდებოდა – ფულის ყუთში მოთავსების შემდეგ მორწმუნე თავსახურის დარღვეული უბინოების კვეთს გაშლილ მტევანს ნაზად ურტყამდა.

წირვის დამთავრების შემდეგ ხალხი იშლებოდა. ევა შვილებთან ერთად მამაოს მეგობარი მურმანის ჯიპში ჯდებოდა (აბა, უცხო მამაკაცზე მრევლს რაიმე რომ გაეფიქრა?!) და ბაზრის გავლით სახლში ბრუნდებოდა. ის ქუდიც, მურ-

მანს რომ ეხურა, ევას ნაჩუქარი გახლდათ. საერთოდაც, მრევლის გამორჩეულად „მართალ“ მამაკაცებს „ყავისფერებს“ ის უქსოვდა. მეც „ყავისფერქუდიანი“ ვიყავი, ოღონდ ყვითელი ჯვრებით. პომადიანი თეა მღვდელთან გულდანყვევით გამომშვიდობების შემდეგ უკან, რუსთავის ცემენტის საამქროში მიქროდა.

ახლა მთავარი მოთმენა და მოპოვებულის შენარჩუნება გახლდათ! ღვთისმსახურება და დიდი თავშეკავება რომ არა, მამაო წირვის დამთავრებისთანავე მზად იყო, ყუთს მივარდნოდა და თავსახურის პატარა ჩინური ბოქლომი უხეშად აეგლიჩა. ო, რარიგ აღმატებული ძალისხმევა და ნებისყოფის მოკრეფა უნევედა „ფარაონს“, დროზე ადრე არ ჩაეხედა ყულაბაში და მასში მოთავსებული ძვირფასი მწვანე განძისთვის არ შეეველო ხელი! დრო უსასრულობამდე, 3-4 საათამდე ჭიანურდებოდა, სანამ შემორჩენილი „შტერები“ და „უგუნურები“ დატოვებდნენ ტაძარს.

განგაშისთვის საკმარისი საფრთხე მაინც არსებობდა – წარმოსახვითი ეკლესიური ქურდები. შიშის ხარისხი ხელაპყრობით ლოცვისას და შესანირ ყუთთან ზურგით დგომისას მატულობდა. კანონიერების სადარაჯოზე მდგომი მღვდელი „პატრულის“ სიმკაცრით იცავდა ჩინური ბოქლომის ქალიშვილურ უმანკობას და მუდმივად ეჭვობდა, ვილაც ფულს მპარავსო. საზოგადოებრივი აზრის პირობითობასა და აკრძალვებს რა ვუთხარი მე, თორემ მამაო „ფარაონმა დედოფლის“ მაგიერ უთუოდ ყულაბას შეირთავდა ცოლად.

კრიმინალური გუმანის გასაქარწყლებლად, მამაო მრევლთან ერთად „ქურდების“ აღმოჩენასა და მათი პერსონიფიკაციის ღვანლს მიეცა. გამოვლენილი „დამნაშავენი“ გესტაპოს მიკერძობით დაკითხულ იქნენ და შემდეგ სახარებაზე ხელის დადებითა და „მართალ“ მორწმუნეთა

საყოველთაო ზიზღით გასამართლდნენ.

...როგორც იქნა, სანატრელი დროც დადგა, უკანასკნელი მლოცველი ტოვებს ტაძარს! აი, მოვიდა ნანატრი წამი! ჩინური ბოქლომის პატარა ხვრელში გასაღების თრთოლით მორგება და თავსახურის „შემოხევა“-აღლეთა! გულის-ფანცქალით ხელის ჩაცოცება, ყულაბაში თითების ვნებიანი მოვლება და მხოლოდ შემდეგ ჩახედვა; ყუთის ფსკერის ყურადღებით დათვალიერება და საუნჯის ექსტაზური დაუფლება! „მწვანელი“, ლარები და „კარგი“ 20-იანი ხურდები – მამაოს, ერთი-ორი მანეთი 5 და 10-თეთრიანი მეტალით – გაბოია მესანთლეს. შესანიერი ყუთის უბინოების აღდგენა ჩინური ბოქლომის „გინეკოლოგიური“ გვირისტით.

„არავის არ შეუძლია ორ ბატონს ემსახუროს: ან ერთი უნდა სძულდეს და მეორე უყვარდეს; ანდა იმ ერთს შეეთვისოს და მეორე დაამციროს. ვერ შეძლებთ ღმერთსაც ემსახუროთ და მამონასაც“ (მათე 7, 24), – გვასწავლის ქრისტე ღმერთი. „ფარაონიც“ ეთანხმებოდა ამგვარ დარიგებას და... მხოლოდ „მამონას“ ემსახურებოდა.

დალლილი მამაო შინ ბრუნდებოდა. ცოლიც ხალისიანი სახით, სადილითა და მორჩილებით ხვდებოდა. „დედა-დედოფალმა“ ბევრი იფიქრა, თუ როგორ ამოეხსნა მის წინაშე მდგომი მწვავე დილემა – ამერიკული დოლარის „გადაშენება“ და ამავედროული ტრფიალი მწვანე კუბიურებისადმი?

„ფარაონშამ“ ეს თითქმის გადაუჭრელი გორდიის კვანძი ადვილად გაჭრა და ვითარცა ჭეშმარიტმა „მართლმორნ-მუნე“ დედა-დედოფალმა, რუბიკონიც მარდად გადალახა. რადგან შტატებისა და ბრიტანეთის დაძირვა და დოლარის გაქრობა – თეორიული, სხვებისთვის განკუთვნილი, „გარემოხმარების“ მითი გახლდათ, ხოლო ნეტარხსენებუ-

ლი ჯიპიანი თეას შეწირული „ბაქსები“ – ფრიად რეალური, „დედა-დედოფლის“ გულწრფელი ახსნა ასე ჟღერდა: „იყავნ ნება უფლისა! არ იქნება დოლარი, დედა მატრონას მსგავსად, შავ მინას ჯვარს გადავსახავ და ისე შევჭამ“. ეს უკანასკნელი – „მინის ქამაც“ თეორიული, წარმოსახვითი გახლდათ, რადგან ფარაონმა „ღვიძლის დიეტაზე“ ბრძანდებოდა და მხოლოდ ორნახარშ საქონლის ხორცს და „ასატრინის“ ფილეს მიირთმევდა ქყინტ, იმერულ ყველთან ერთად.

თავი IV. მეგობრები და მე

აბზაზი 10.

მე

„დაიბადო სულელი, არაა სირცხვილი, სირცხვილია, მოკვდე სულელად“.

ერის მარია-რემარკი

ვდგავარ მრევლის ბიჭებთან ერთად, ნირვიდან გამოსულები „პაპიროზს“ ვაფუილებთ. ბოლო ჟამზე ვბჭობთ, ამერიკა-ინგლისის დაძირვის უკანასკნელ დღეებს ვითვლით. ერთი ყავისფერქუდიანიცაა, ლურჯი ჯვრებით. კატასტროფის ალბათობაში ოდნავ ეჭვი შევიტანე: – ბიჭო, ინგლისელები მაგარი ნაციაა! ჩერჩილი, ბექჰემი, რუნი, „Beatles“...

შექსპირზე, დიკენსსა და დედოფალზე ხმას არ ვძრავ, არ მსურს, სიტუაცია დავძაბო.

ჯვარქუდიანი მომიბრუნდა და ამოტრიალებული ხელის გულით და წინ გაშვერილი საჩვენებელი თითით მომმართა:

– ზურია, რავა, ამართლებ ახლა შენ ინგლისელებს?!

„ზურიას“ ვერდიქტის მოლოდინში მთელი ინგლისი გაყურსულა... ლონდონი ბურუსთან ერთად სასონარკვე-თას მოუცავს – როგორი იქნება განაჩენი, ავნიო ცერა თითი ზემოთ თუ...?! აი, რა დიდი ავტორიტეტით ვსარგებლობ მე

ეკლესიასა და ინგლისში, ალბათ დანარჩენ ცოდვილ სამყაროშიც! ასე რომ, მომისმინეთ!

მე ბავშვობიდან მორიდებული ვიყავი, ანუ პირდაპირ რომ ვთქვათ, მონა, ოლონდ – იდეური. მოგვიანებით გავსპარტაკედი, ჯერ წლები მქონდა გასავლელი...

პატარა, საბჭოურ ასაკში მშობლები ნასრედინის მტკიცენეულ იგავს მიაბობდნენ: მოლამ შვილი წყლის მოსატანად გაუშვა. სანამ დოქს მისცემდა, კარგად სცემა. რატომ სცემეო, ჰკითხეს. აბა, დოქი რომ გაეტეხა, რალა დროს იქნებოდა ცემაო, – მიუგო წინდახედულმა მოლა ნასრედინმა.

ამგვარად ჩაიარა ბავშვობამ. ამ დროიდან მამის ნაჩუქარი პირველი წიგნი მახსოვს – „რობინზონ კრუზო“. რა იცოდა მამამ, როგორი მძიმე შედეგი მოჰყვებოდა ჩემს დასაჩუქრებას. ზედიზედ 16-ჯერ წავიკითხე!

შემდეგ მშობლებმა საკუთარი ბაბილონური კომპლექსების დასაძლევად დედაქალაქში, კომაროვის „მათემატიკურში“ მიკრეს თავი, რათა ჩემი თბილისური კოპლექსები შემეძინა.

ნახევარსაუკუნოვანმა შეცდომილმა ცხოვრებამ შედეგი გამოიღო – მონა ვიყავი, ახლა ნაწილობრივ ვძლიე სიკვდილის შიშს. რენიმაციები, ეკლესია, მონანიება. ავითვისე ახალი, ჩემთვის უცხო დამწერლობა – ხუცური. იმავდროულად, შევუდექი ოქროპირს, დამასკელს, კესარიელს... დავასრულე საროველ-ბრიანჩანინოვ-კარელინით. კენწეროში გამწარდებისო... აი, რა ჰქმნა „რობინზონ კრუზომ“!

ამჟამად ერთადერთ სიხარულად შვილებთან, ჯერ ისევ ცოცხალ მეგობრებთან გულითადი ურთიერთობა და ტელევიზორთან ჩაფიქრებული ჯდომა დამრჩა. როგორც ეგ ზიუპერი ბრძანებს: „ყველაზე დიდი ადამიანური სიხარული არის სიხარული ადამიანური ურთიერთობისა“. მეც ეს გზა ავირჩიე: „ურთიერთობები“ თბილისში, ნიუ-ბაბილონში ვიწყოფები მარტოდმარტო.

ამბავი 11.

მეგობრები : კახა-„ყვავი“ და მმ-ა

ნიუ-ბაბილონში დამთრგუნველი მონყენილობაა. მარტო ვერ გაძლებ, მეგობარი გინდა. ძნელი მოსაძებნია. „ბლექ საბათელ“ ოზის ინგლისის დედოფალზე უთქვამს: „ოქროს გვირგვინები პირში, რომელშიც არ არის კბილები“. იგივეა, რაც კონფუციუსის შავი კატის ძიება ბნელ ოთახში.

სად მოიპოვებ „ოქროს“? თუ ბაჯალლოს არა, მამაო-„ფარაონის“ კუკლას, ანუ სპილენძს მაინც – აქ ეგეც წავა. წარმარტებულებში, საქმიანებში, მორწმუნეებში – არ ღირს, დროის ტყუილად ხარჯვა და მერე გულისწყვეტა. ამაყები არიან და თავიანთ თავზე შეყვარებულები, შენთვის ადგილი აღარ რჩებათ. ჩემი ძიების არეალი უსაქმური ლუმპებიცაა, ასე – 35-50 წლისა. დასაშვებია ზომიერი ლოთიც. ასეთი ადამიანი უშიშარია, არაფერი აქვს დასაკარგი, ამიტომ ერთგულიცაა, უბოროტო. ის არაა ამაყი და თავზე არ გახვევს თავის შეხედულებებს, პირიქით, შენგან ელის წინადადებებს. ცოდნაც აქვს, უსაქმურობის ან ციხეში ჯდომის ჟამს მაინც წაიკითხავდა, არადა, ცხოვრება ასწავლიდა. ფილოსოფიურად, განყენებულად უცქერს სამყაროს. უვერცხლოცაა, ცოტა ჰყოფნის და ბევრი სხვა „უ“-თია შემკული. რომ მოეფერები, მაღლიერებით კუდის მაგიერ გულს გიქიციანებს.

შენ ძაღლები გყვარებიაო, იტყვი. არ ვიცი, შესაძლოა. ამის თაობაზე ერთ ფრანგ ფილოსოფოსს ამგვარი რამ უბრძანებია: დათვი რომ დაგესხმება თავს, რომელი ადამიანი გადაგიდგება წინ ისე თავგანწირვით, უანგაროდ, უკანმოუხედავად, შენი ძაღლი რომ შეაკლავს თავს გამძვინვარებულ მხეცსო?! ძაღლსაც ვიყოლიებდი, ოღონდ მეშინია,

ერთგულება ვერ დავეუფასო – ეს კი მთავარია!

50 ათას ბაბილონელში სულ ერთი მოვნახე – კახა.

... სცენა უცვლელი: აივანზე ვდგავარ, გისოსებში სიგარეტს ვაბოლებ და ზედ ვალიდოლს ვაყოლებ. გუშინ შემაცხოვრებინეს: ნუხელ, ღამისკენ, ბიჭებს დაუღევიათ, კახას საძილეებიც მიურტყია და სანყალი ძილში გაგუდულა – აღმოდებული, სველი ლეიბის კვამლით და უსაზღვრო მონყენილობით.

ერთად „დავკატაობდით“ ჩემი „07“-ით მე და კახა, ვითომ საქმეებზე. თავისი სახელიც არ ჰქონდა – „ყვავს“ ძმას ეძახდნენ, ცხვირის გამო. ისიც „ცუდად“ გარდაიცვალა – ერთი წლით დაასწრო კახას. „ყვავის“ მთავარი მახასიათებელი? მიფიქრია, რომ გაგიჭირდეს, ფეხი მოგტყდეს „კამჩატკაზე“ – ვინ მოვა? იმჟამად პასუხი ერთი მქონდა – დაუფიქრებლად, მიზანდასახულად, ნასესხები 10 ლარით ჯიბეში – კახა!

ბოლოს, ერთი წლის წინ, ეკლესიაში რომ მივიდა, იმედი მიეცა – გავიხარებ ცხოვრებაშიო. ცოლი და სამსახური მოუნდა, ფხიზელს ისევ მონობა ეჩქარებოდა, უღელი აკლდა სანყალს. არავინ გაჰყვა, ვერ მონახა სათავისო.

რალაც საოცარი უნარი ჰქონდა უცებ გათიშვისა. ერთხელ, ზაფხულში, ჩვენს მალაზიასთან ვდგავარ. ჩამიარა, ფხიზელია, წინა დღით ვეჩხუბე, მთვრალი იყო, გაღეშილი. გაბრაზებულია. გული მეტკინა – შე უსინდისო, გაჭირვებაში მყოფ ადამიანს უყვირე, არ ეხმარები, დაგავინყდა შენი წარსული, მეგობრები რომ გივლიდნენ? მალაზიაში შევივრბინე – სიგარეტი, ორი ქილა „ლოვენბრაუ“ და ძეხვი ვიყიდე. 5 წუთი ბევრია – 2 წუთში გამოვიდა თალიდან... გამოვიდაო?! სამი კაცი მოათრევდა ფეხებმონყვეტილს, პირზე დუჟით.

რომ ვეჩხუბებოდი, მპასუხოვდა – ეჰ, შენ რა იცი, მე რა მარტო ვარო... ამოდი, ერთი, და ჩემთან ბინაში ტარაკანა-

სავით იცხოვრეო. სამაგიეროდ, გაუმართლა, „ზეციური ნიშანი“ მიეცა, უზენაესმა მარტოობაში არ დატოვა. მამა ადრე გარდაეცვალა, შემდეგ – დედა. მონასტერში ვიყავით – გერგეტში, დარეკეს, ძმა დაილუპა, გაიპარაო. სულ ბოლოს თვითონ გაექცა მარტოობას. ავედი, ტახტზე ეგდო, მონყენილი მაგარი. მურისგან გაშავებული სახით, „ბოქსიორის“ პოზაში. სასამართლო სამედიცინო ექსპერტიზაში ასე ეძახიან გვამის მდგომარეობას, რომ დაინვება. დასაფლავებაზე კუბოში მონყენილობამ გაუარა, დამშვიდებული სახე ჰქონდა. ალბათ იქ სამსახურიც ნახა და ცოლიც. ასეთია უზენაესის ჯილდო – მას ხომ არაფერი ჰქონდა თავისი, სახელიც კი – „ყვავი“.

ერთი მყავს კიდევ გულითადი, ძველი – თბილისში. ერთად გაგვიხარდა, საქართველოს ჰიმნი რომ შეასრულეს პირველად! ღამით, ჯერ არ იყო შუქი – მე ბაბილონში, მას – თბილისში. ყველა ჩემს ზემოხსენებულ მოთხოვნას აკმაყოფილებს. ახლა ოდნავ „ნარმატებულ-რეალიზირებულეზი-საკენ“ გადაიხარა – ვინმემ ხომ უნდა აკეთოს საქმე, თან მიპატრონოს?!

ამჟამად, ვგონებ, მეგობარიც აღარ დამჭირდეს. ეს არის ჩემი დედ-მამა, ძმა, ცოლიც... და მისი სახელწოდებაა ინტერ-ნე-ტიი-ი!

თავი V. ჯორდანო ბრუნოს აუტოდაფი!

ამბავი 12.

ჯოვანი მოჩენიგოს სახელობის
№1 ფსიქიატრიული საავადმყოფო

„ყოველგვარ შეშლილობას აქვს თავისი ლოგიკა“.

უილიამ შექსპირი

52 წლის დომინიკელი კათოლიკე ბერი ჯორდანო (ფილიფო) ბრუნო წმინდა ინკვიზიციამ ცეცხლს მისცა. ეს მოხდა კომპო დე ფიორეზე (ყვავილების მოედანი) 1600 წლის 17 თებერვალს. ყოფილ მღვდელ-მონაზონს ბრალი ედებოდა ერეტიკოსობასა და ბერული აღთქმის დარღვევაში. 7 წელი აწამეს იგი ციხეში რომაელმა ინკვიზიტორებმა, რათა თავის შეხედულებებსა და სწავლებაზე უარი ეთქვა.

სოკრატეს მსგავსად, ბრუნომ თავის მსაჯულებს მამაცად განუცხადა, რომ „მათ მეტი შიშით მოუწევთ თავისივე განაჩენის მოსმენა, ვიდრე თვით ბრალდებულს“. ჯალათებმა მსჯავრდებული, გზად რომ ვერ ექადაგა, აუტოდაფეს ადგილზე პირში გაჩრილი საცობით მიიყვანეს. შემდეგ ჯაჭვით ბოძზე მიაბეს და სველი თოკით გადაჭიმეს, რათა ცეცხლის ზემოქმედების შედეგად კანაფს მეტად შემოეჭირა

და სხეულში შეჭრილიყო. ბრუნოს უკანასკნელი სიტყვები იყო: „მე ნებაყოფლობით ვკვდები მოწამედ!“

ყველა მისი ნაშრომი კათოლიკე ეკლესიის მიერ შეტანილ იქნა „აკრძალული წიგნების ინდექსში“. ხოლო 1864 წელს ნეაპოლი უკვე ამაყოფა თავისი შვილით. ცნობილ მოწამეს, თავისუფალი აზრისთვის მებრძოლს და მკვლევარს ქალაქში ძეგლი აუგეს! 1889 წლის 9 ივნისს, ამჯერად რომში, იტალიელი ფილოსოფოსის და პოეტის, ჯორდანო ბრუნოს დიდი ქანდაკება კომპო დე ფიორეზე დაიდგა – სწორედ იმ მოედანზე, რომელზეც 300 წლის წინ ერეტიკოსი სიკვდილით დასაჯეს.

მიუხედავად იმისა, რომ ბრუნო ფორმალურად მთელი ცხოვრება დომინიკელ ბერად ითვლებოდა, იგი სასტიკად ვერ იტანდა „უფლის ქოფაკებს“ და ღიად წერდა ამაზე თავის თხზულებებში. ერთ-ერთ ნაწარმოებში („ქება ცირცუას“) პერსონაჟის კითხვაზე, თუ როგორ შეიძლება ამოიცნო ძაღლების მრავალ ჯიშში ყველაზე ავი, თანაც დანამდვილებით ძაღლური ბუნების და არა ნაკლებად ცნობილი ვიდრე ღორი, ცირცუა პასუხობს: „ეს იმ ბარბაროსთა ჯიშია, რომელიც გმობს და კბილებს ავლებს იმას, რასაც ვერ იგებს. შენ მათ შეიცნობ იმით, რომ ეს უბადრუკი ქოფაკები, უკვე თავიანთი გარეგნობით ცნობილნი, საძაგლად უყეფენ ყოველ უცნობს, თუნდაც ქველმოქმედ ადამიანს, ხოლო ნაცნობების მიმართ ლმობიერებას იჩენენ, თუნდაც ისინი უკანასკნელნი და აშკარა არამზადები იყვნენ“.

იტალიიდან ლტოლვილმა მთელი ევროპა მოიარა: ჟენევა, ტულუზა, პარიზი, ლონდონი, ოქსფორდი, პრაღა და გერმანია – ვიტენბერგი – პროტესტანტიზმის აკვანი. აქ მან მარტინ ლუთერის სადიდებელი მხურვალე სიტყვა წარმოთქვა. მიუხედავად ევროპის უმაღლეს ხელისუფალთა მფარველობისა, 1591 წელს ბრუნო სამშობლოში, იტალიაში

დაბრუნდა. მიიღო რა ქველმოქმედისა და მაგნატის, ჯოვანი მოჩენიგოს მიპატიჟება, სწავლული ვენეციაში გადავიდა და იქ მუშაობას შეუდგა. შემდეგ მათი ურთიერთობა გაფუჭდა. „მსოფლიოს მოქალაქე“, „ღმერთის მეგობარი“, „დედამინისა და მზის შვილი“, „უაკადემიო აკადემიკოსი“, როგორადაც იგი თავის თავს მიიჩნევდა, ამჯერად შეცდა. როგორც ამბობენ, ეკლესიათა უხვი შემომწირველი მოჩენიგო, დასაწყისშივე ბრუნოს წინააღმდეგ მოქმედი, პაპის ტახტის აგენტ-პროვოკატორი გახლდათ. 1591-92 წლებში ვენეციელი ქველმოქმედის მრავალი დამაბეზღებელი წერილის შედეგად ბრუნო გადასცეს ინკვიზიციას და კოცონზე დაწვეს.

„მართალი“ ჯოვანის „დანოსი“ ამგვარად იწყებოდა: „მე, ჯოვანი მოჩენიგო, მისი უგანათლებულოსობის, მარკო ანტონიოს შვილი, სინდისის კარნახითა და სულიერი მამის ბრძანებით, მოგახსენებთ...“ მრავალი პანთეისტური ერესის გარდა, ვენეციელი დიდებულის „ქსივა“ ინკვიზიციას ამცნობდა: „... ჩემთან საუბრისას მან განაცხადა: ჩვენ არ გვაქვს იმის მტკიცებულება, რომ ჩვენს რწმენას რაიმე დამსახურება გააჩნია ღვთის წინაშე, რომ სათნო ცხოვრებისათვის სრულიად საკმარისია, არ უკეთო სხვას ის, რასაც საკუთარ თავს არ უსურვებ“.

ყოველივე კი, პოლონელი ნიკოლაი კოპერნიკის წიგნის – „De revolutionibus orbium coelestium“ (ნიურნბერგი, გერმანია, 1543) ნაკითხვით დაინყო, როდესაც ბრუნო ჯერ კიდევ ახალგაზრდა ბერი იყო.

ჩემს შემთხვევაში იგივე როლი ბავშვობაში დანიელ დეფოს „რობინზონ კრუზომ“ და „მართლობის“ ჟამს – ილია ჭავჭავაძის პუბლიცისტურმა წერილებმა ითამაშეს. ბოლოს კი „მართლებისგან“ უმაღლესი ნოდება მივიღე – გიჟია, უბერავს!

...დილით გავიღვიძე, ვერ ვარ კარგად, უნდა გავზნიავდე. გავიარე, შევიხედე ეკლესიურ მაღაზიაში:

– სალამი, სალამი დიდ მწერალს! როგორ ბრძანდებით, თქვენო აღმატებულება? რაფერ დაგირ[თქ]მეცია? „ფარაონი“?! მეიცა, მეიცა ჯერე, – მუქარანარევი დაცინვით მესალმებიან „მართალი“ ქალბატონები.

– თლათ ნასულხარ ხელიდან, ბიჭო, ზურია! კიდო კომპუტერი გინდოდა შეენ?! ახლა, ცოლსაც მიეყვან, ასე იცის მაგ ეშმაკის მანქანამ, – კისკისებს ისტერიული ხმით შავთვალეზა, წითელთმიანი გამყიდველი.

– რომელია?

– „პენტეუმ-5“...

– ხუთი რაფერ იქნება, ჯერე არ გამოუშვიენ და შენ რაფერ გაქვენ?! პატენტია მაგი, – გასკდა შურით ჩემს ერთადერთ ნუგეშინისმცემელზე „მართალი“ გამყიდველი.

– ბატონო, „ილიასათვის“ გამონახავდნენ – ერის მასწავლებელია, სხვა თუ არაფერი, – გამყიდველს ნაზი, ინტელიგენტური გარეგნობის ციალა წამოეშველა.

გავოცდი, ასე ღიად დაცინვას ადრე ვერ მიბედავდნენ, თანაც „ილია“? აა, ალბათ ეკლესიური კალენდრის გამო? ისედაც ახლოს ვიყავი სიგიჟესთან და ბოლომდე გავშალე აფრები:

– ჩემო ციალა, რა გაახურეთ თქვენ ამ კომპიუტერებით და მეორედ მოსვლებით?! სულ გაგიჟდი, შე მართლა ციალა?!

– ზურაბ, დანყნარდი, რას გვიყვირიხარ?!

მაგრად მაღიზიანებს ეს ციალა! კიდევ საუბრისას, გრძელწამნამებიან დიდ თვალებს რომ ნაბავს და ზეცისკენ იმზირება – „უფა-ლი-ო, უფა-ლი-ოს“ განუწყვეტელი წამოძახებით მთელ ტანში მბურძგლავს... მოკლედ, ვერ ვიტან

ციალას! ის საბავშვო ბალის მასწავლებელია, იქ უტარებს ცეროდენებს ქართული ჰაგიოგრაფიის გაკვეთილებს.

– ზურაბ, იარე ეკლესიაში, მოინანიე და ყოველივე და-
ლაგდება – აი, ნახავ!

ციალას ნელი შეუერთდა. ნელი დეიდას თუ ბიცოლას არავინ უყვარს: მიშა – პირდაპირ რომ ვთქვათ, სძულს; ოპოზიციას, განსაკუთრებით, კობა-ზვიადს უბრალოდ ვერ იტანს; ბოკერია-ლომაიაზე ხომ ენასაც არ ასველებს, მხოლოდ პირს ბრეცს ზიზლით და მუშტებს კრავს კანკა-ლით; განსაკუთრებული წითელი გამონაყარი წყლულებით ამერიკის, ინგლისის და იელოველების ხსენებაზე გამოსდის. მხოლოდ და მარტო ასურელი მამაო „ფარაონი“ (გიორგი) უყვარს – თავდავინწყებით, ქმარზე მეტად, ძლიერ!

ციალა და ნელი იმ ქალბატონთაგან არიან, ადრე რომ ვახსენე – ასურელი დიქტატორით მოხიბლულნი, „მამაო! ო, მამაო!“-თი რომ დარბიან მრევლში, მღვდელს ელაქუცე-ბიან და უზომოდ განადიდებენ მის არარსებულ სათნოე-ბებს – დედა-დედოფლის პირადი „გვარდიდან“. ამგვარი „დეიდები“ მთელ მსოფლიოში ალბათ გაჭრილი ვაშლივით ჰგვანან ერთმანეთს. რა ერთზე გილაპარაკია, რა ათზე, ერ-თია – თავსაბურავი, გრძელი შავი კაბა, ზემოთ ატრიალე-ბული თვალები და „ჩურჩული“ ღმერთთან. დამატებითი მონაცემები: ასე – 35-50 წლის, ძირითადად, გაუთხოვრე-ბი თუ ქმარს განაშორებნი, ან ყავისფერ ჯვარქუდიანთა მეუღლეები; კარგა ხნის წინ რომ დაამთავრეს თბილისში უნივერსიტეტის ფილოლოგიური ან პედაგოგიური ინსტი-ტუტი და ქორწინების შემდეგ ბაბილონში შერჩნენ; ამჟა-მად ბრაზილიურ სერიალებს ცალი თვალით, მოპარვით მიჩერებულნი და გულის სიღრმეში ჩიმაროსა თუ ალექსან-დროს ტრფიალნი; გადამწყვეტი მახასიათებელი – მამაოე-

ბის მიმართ პერვერსიული შეფერილობით, სუბლიმაციის ვნებით შეპყრობილნი! ამიტომ მეზიზღება ნელი, „ფარაონი“ რომ უყვარს უკუღმართად, თვალებს რომ ნაბავს და „უფალი-ო, უფა-ლი-ო“-ს დღეში ორასჯერ მაინც იმეორებს. მეც მივადექი ვნებიან ნელის და შეეფუტიე:

– კი, მაგრამ, გაბოია მესანთლეს რომ სცემს ხშირად ეგ შენი მამაო? „შალაბანებს“ რომ ურტყამს?! პანლურებს?! ფეხსაცმელი საკურთხეველში?!

არ ინვის ნელი, სუბლიმაციის ცეცხლი იცავს შიგნიდან. ალი აღს ეჯახება – ასე აქრობენ შორეულ ავსტრალიაში ტყის ხანძრებს. ტემპერატურას ავუნეი:

– სულ რომ ბლავის, გაჰყვირის ამბიონიდან, ვისაც ფული არ მოგაქვთ, ტაძარში ტყუილად დგახართ, შეგიძლიათ ეკლესია დატოვოთ, მე თქვენზე მაინც არ ვლოცულობო – ეგ როგორ არის, ჰა?!

აღმოდებული ნელი კუთხისკენ მიიწია და დიდი, უშველბელი ცრემლი გადმოაგდო:

– ჩემო ზურა, პანლურები და ცემა ცუდია, მაგრამ რატომ ურტამს, იცი? მორჩილებას ასწავლის, მორ-ჩი-ლე-ბას!

სულ არ გეთქვა, შე მართლა ნელი-პიონერო! როგორი პასუხია?! ფარისევლებს, მლიქვნელებსა და ვითომ ნაზებს ვერ ვიტან და განსაკრთომლებს კიდევ. მამა გიორგი, ორმეტრიანი, განრისხებული მონათმფლობელი სანყალ გაბოია „შტერს“ თურმე ცხენივით მისივე სარგებელისთვის უბრაზუნებს. მორჩილებას ასწავლის – სააქაოს, ასურში და იმავდროულად აცხოვნებს – საიქიოს და სასუფეველსაც დაუმკვიდრებს მესანთლეს!

ამგვარი აბსურდის განმარტებისას ნაზ დეიდებს IV საუკუნეში მოღვანე ეგვიპტელი ბერები, ანტონ დიდი და მისი მონაფე თეოდორე განწმენდილი მოჰყავთ. იყენებენ

გრიგოლ ხანძთელისა და მისი შეგირდის იდენტურ მაგალითსაც. ცემის გამართლებას კი იმით ცდილობენ, რომ შუა საუკუნეების წმინდა ბერები მონაფეებს მორჩილების გამოსაცდელად (მხოლოდ ერთხელ!) ფიზიკურად ეხებოდნენ.

– ვის ატყუებ შენ, ჩემო ნელი?! ეგ გაბოიას მორჩილება კი არა, შენი ავადმყოფური სუბლიმაციაა! შე უკმარისობისგან შერყეულო! გაბოია „შტერია“ თეოდორე განწმენდილი თუ შენი გახრწნილი მამაოა ანტონ დიდი?!

მივხვდი, ზედმეტი მომივიდა. მალაზიიდან დარცხვენილი გამოვედი და სახლისკენ გამოვექუსლე. ებოში რამდენიმე აჟიტირებული ადამიანი შევნიშნე, როგორც მე მომეჩვენა, დროშებით ხელში. რალაც უცნაურად მაკვირდებოდნენ და თითქოს ჩემკენ იშვერდნენ თითოს? არჩვენებთან დაკავშირებულ შეკრებად მივიჩინე. ყავისფერი ქუდეები კი ეხურათ, წვერებიც ჰქონდათ, მაგრამ ბაბილონში პოლიტიკა და ეკლესია ხომ სინონიმებია?! ჩვენამდე არ მოუღწევია მსოფლიო სეკულარიზაციის პროცესს. სახლში ძლიერ აღელვებული შევედი. გავიხადე და დავიძინე.

სიზმარში დიდი ალიაქოთია: ამ დღეებში გული ვინც ყველაზე მაგრად მატკინეს – ქურდების უფლებათა დამცველი – „ცხვირა“-ვაჭარი და ეკლესიური მალაზიის წითელთმიანი გამყიდველი – რატომღაც შიშვლები... გრიპი მერევა, მაღალი სიცხე მაქვს. ყველაფერი აირია – სიზმარი, ცხადი... რა ხმაურია?!

„ბაც! ბაც!“ – წინა ოთახის მინები ხმაურით იატაკზე ცვივა. წამოვვარდი, აივანზე ჩაუცმელმა გავირობინე. ჩემი გასვლა რა იყო და, სულ გადაირია წინ მდგომი ბრბო. შეძახილები – „ძირს სოროსის აგენტი! არა მასონიზმს! შენ გადაშენდი და გადაბნელდი საცხა!“ ვერ მოვასწარი ვითარებაში გარკვევა, რამდენიმე თბილი, დამპალი პომიდორი მომხვდა, ბევრიც

გისოსმა არ გაატარა. კვერცხი ძვირია ჩვენთან – ენახებათ ამ არამზადებს!

ევრიკა! ჩემი „ნაჯღაბნის“ ბრალია, გაიგეს „მართლებმა“! ჩემში ძველთაძველმა ინსტინქტებმა გაიღვიძა:

– რას აკეთებთ, თქვე ბ...ო! თქვენი დედებს შ...ი! თქვე...! შენაც, ბიჭო, გაბოია?!

მესანთლე საცოდავი თვალებით მიყურებდა – რაი მექნა, ზურია, ხო იცი, რაფერცხააო. ხელში რატომღაც ეკლესიის ბაირალი ეჭირა, ამხედრებული წმინდა გიორგის გამოსახულებით. მასას წითელთმიანი გამყიდველი გამოეყო, ჩემს გისოსებთან დაემხო, თმები გაიჩეჩა და ხელთაპყრობით იკივლა:

– გადმოაგდე მაი კომპუტერი და აქციას მე დაგიშლი, შე მინდასაყრელო!

ისევ პომიდვრების წვიმა წამოვიდა, სახლში შევვარდი. თოფიც არ მაქვს ოჯახად, „მართლობის“ ჟამს გავაჩუქე. ხომ გაგიგიათ – მარცხენა შეუშვირეო... რა ვქნა?! არც უკან დახევა მინდა. ვის გამოვართვა თოფი? გაზქურაზე წყალს ვდგამ, გასაცხელებლად, „მართლებს“ უნდა დავუშვა აივნინდან, სხვა გზა არაა!..

დამდულრული წითელთმიანი „მართალი“ უკანასკნელი ხმით გაჰკივის:

– ოჰ, ზურია, შენ წეგეკიდა ჯოჯოხეთის ცეცხლიი-ი-ი...

რა დროს ჩამეძინა, აღარც მახსოვს, ცხადი და სიზმარი ამერია... გამეღვიძა, თვალები გავახილე. როგორც ჩანს, ძილში სიცხემ ამინია, თავი მისკდება, ოფლად ვინურები... წამოვდექი, აივანზე გავედი. გარეთ თითქოს სიმშვიდეა, ეზოში მოთამაშე ბავშვები უცებ მიმოიფანტნენ. ერთმა სა-მაღავიდან თავი გამოყო და მეორეს, სანგარში მყოფ პა-ტარას საფეთქელთან თითის დატრიალებით ჩემზე ანიშნა.

შემდეგ მომიბრუნდა და ბავშვურად, პატარა ხელით ტყვია მესროლა: „ბახ! ბახ!“ – და ისევ მიიმალა. გულში მომხვდა! მეტკინა!

სიკვდილზე ფიქრი დავიწყე. სახლში შემოვედი. მამ-ცივებს. ჩავრთე „კარმა“ და წამოვწექი. პირდაპირ ოთახში, ხატებთან გავაბოლე. ოჰ, რა ციკლურია სპირალივით ეს წყეული ცხოვრება. ადრეც ასე ვენეოდი წმინდანების თანდასწრებით და ვეკითხებოდი: „არ დამეხმარებით, სულ მე უნდა ვიბრძოლო თქვენ მაგივრად?!“ ეზოდან სირენის ხმა მომესმა. „დოღჩე გაბანა“-გივიას და გაბოია „შტერს“ სასწრაფო გამოუძახებიათ. გისოსებთან გაჩერდა... მესმის ხმა, ალბათ ექთანია, ასე ჰგავს:

– აქ ცხოვრობს ბაბილონელი „ჯორდანო“?

ბოლო, რაც მახსოვს, სანამ საავადმყოფოში დროპერიდოლს გამიკეთებდნენ, ოქროსფერი აბრა იყო: „ბაბილონის №1 ჯოვანი მოჩენიგოს სახელობის ფსიქიატრიული საავადმყოფო“. №1? ვითომ რატომ, რა, 2, 3 და 12-ცაა? – გავიფიქრე მე და თავში დროპერიდოლის ლოდმა დაიწყო თავისი მძიმე, დინჯი მოძრაობა...

ეპილოგი

უარყო რა ნიკოლაი კოპერნიკის სწავლება, 1633 წლის 22 ივნისს მსჯავრდებული გალილეო გალილეი ინკვიზიციის ცეცხლს გადაურჩა. საქმის კეთილად დასრულებას დაჟინებით მოითხოვდა სწავლულის პროტეჟე, პაპი ურბან VIII.

მფარველების ხელშეწყობით გალილეოს არც ციხეში უტანჯია და პროცესის დასრულებამდე, პაპის მიერ გამოყოფილ 5-ოთახიან აპარტამენტებში ნებივრობდა. დადიოდა ხმები, თითქოს სასამართლოს შემდეგ მან განაცხადა – ის მაინც ტრიალებსო, მაგრამ როგორც გაირკვა, ეს მხოლოდ მითი იყო, 1757 წელს ჟურნალისტ ჯუზეპე ბარეტას მიერ შეთხზული. ძლიერ დაშინებული გალილეო ცხოვრების ბოლომდე იმართლებდა თავს და გამუდმებით იმეორებდა: „არც ერთ ჩემს ნაშრომში არ არის ოდნავი ჩრდილიც კი, რომელიც შეურაცხყოფს წმინდა ეკლესიის პატივსა და ღირსებას“. ამგვარადვე იწყებოდა ჩემი დისერტაციაც: „კომუნისტური პარტიის XXVI ყრილობის დადგენილებების გათვალისწინებით...“

1992 წელს (მანამ დედამიწა გაჩერებული გახლდათ) პაპმა იონე პავლე II-მ ოფიციალურად აღიარა, რომ ინკვიზიცია შეცდა, აიძულა რა მეცნიერი, უარეყო კოპერნიკის თეორია. დედამიწამაც ტრიალი იწყოს!

გავრცელებულია მცდარი შეხედულება, თითქოს ამგვარი სენი არ შეხებია აღმოსავლურ ეკლესიას. ინკვი-

ზიცია რუსეთში ოფიციალურად 1711 წელს პეტრე I-ის ბრძანებულებით დაარსდა. პატრიარქები: ნიკონი, იოსაფი, პიტიტრიმი და იოაკიმე (1652-1690 წ.წ.) ერესის ამოძიკვას თავიანთი ცხოვრების მთავარ საქმედ მიიჩნევენ. პატრიარქ ნიკონის ინკვიზიციის „ჰუმანური“ მეთოდები ითვალისწინებდნენ: ენის ამოკვეთას, ფეხებისა და ხელების მოჭრას, ცეცხლში დანვას. მის მიერ ჩატარებულ „სტაროვერ-რასკოლნიკთა“ წამებათა მასშტაბზე თუნდაც ის მონიშნავს, რომ მათ IV საუკუნეში, რომის იმპერიაში განხორციელებულ, პირველ ქრისტიანთა დევნას ადარებდნენ. რუსეთში ტანჯვის ხერხების შემდგომი გაკეთილშობილება ადამიანის მარწუხებით მიბმული თავისა და ხელ-ფეხის ერთ ადგილას მოზიდვას და მის წელში გადატეხას ითვალისწინებდა. ერეტიკოსები იმ ზომამდე მივიდნენ, რომ ხელისუფალთ არც კი აწუხებდნენ ამგვარ ღონისძიებათა მოწყობით. წამების შიში იმდენად დიდი იყო, რომ 11 000-მა „სტაროვერმა“ თვითდანვით უშველა თავს. „რასკოლნიკებისთვის“ თუნდაც ბოდიში არავის მოუხდია, ხოლო საყოველთაო მონანიებაზე ხომ საუბარიც ზედმეტია.

ყოველივე XIX საუკუნეში ლევ ტოლსტოის ანათემით დასრულდა, რომელიც არც რელიგიისა და არც ღმერთის წინააღმდეგ არ გამოდიოდა, არამედ უარყოფდა ოფიციალური ეკლესიის წეს-ჩვეულებებს და განახლებულ სწავლებას ქადაგებდა. მწერალი მიიჩნევდა, რომ ეკლესიამ დამალა ქრისტიანობის ჭეშმარიტი არსი – კაცთმოყვარეობა და ბოროტებისადმი წინააღმდეგობის არგანევა.

ასე იყო თუ ისე, რათა ცხადი გახდეს, თუ სადამდე მიდის კეთილი ზრახვა, როდესაც იგი თავისსავე დოგმებში ქვაკედება, საკმარისია ინკვიზიციის მთავარი თეორეტიკოსის, წმინდა თომა აქვინელის (1227-1274 წწ.) შეხედულებებიც.

დიდი ფილოსოფოსი, მთელი ფარისევლობისა და ცინიზმის მოხმობით, ბიბლიაში გამოთქმული სისხლის დაღვრის აკრძალვის გათვალისწინებით, ხელისუფალთ მოუწოდებდა, ერეტიკოსები ცოცხლად დაენვათ ცეცხლში! რა ექნა, აბა, ფუნდამენტალისტი გახლდათ ძია თომა, ზედმინევენითი სიზუსტით კითხულობდა ბიბლიას, იმავდროულად, ჰუმანისტიც, ამიტომ ამჯობინებდა უსისხლო მწვადს...

P.S.

წერილი მმ-ს

„პიგმეების მდაბიო არგუმენტი: ჩვენ ყველაზე ახლოს ვართ მიწასთან – ასე ჰგონიათ „მართლებსაც“: მხოლოდ ჩვენ გვისმენს ღმერთი.

ჩემო კეთილო მეგობარო მმ...!

გაუგონარი რამ შემემთხვა!

გახსოვს, ამას წინათ ჩამოვედი და ჩემი ნაწერები გიჩვენე. წაკითხვის შემდეგ შენ მიჩიე, თხრობაში გარკვეული შესწორებები შემეტანა. წამოვედი რა უკან ნიუ-ბაბილონში, ასეც მოვიქეცი. შემდეგ, კორექტირებული ხელნაწერი დასაბეჭდად მივიტანე. აქ დაიწყო ჩემი საშინელი თავგადასავლები. როგორც ყველა ქალბატონი ბაბილონში, მბეჭდავი მტკიცე „მართლების“ წრიდან აღმოჩნდა. ერთ კვირაში ჩემი „რომანის“ შესახებ მთელმა ქალაქმა იცოდა. სახლიდან ვეღარ ვყოფდი თავს! მობილურიც გამოვრთე!

მანამდე მთვლემარე ბაბილონის საზოგადოების პროტესტის დეტალების აღწერით აღარ დაწვრილმანდე-

ბი, მხოლოდ ერთს გამცნობ – ფანჯრები დიდი ქვებით ჩამილენეს და დამპალი პომიდვრებით ამავსეს, კვერცხი ვერ გაიმეტეს, მაგ მართლა დამპლებმა.

ჩემი სახლის წინ, ავტოფარეხზე საბჭოეთის დროიდან შემონახული წითელი ტილოს მოგრძო ტრანსპარანტებია გაკრული: „სიკვდილი და არგადარჩენა ბაბილონის სირცხვილს! მასონიზმი არ გავა!“ ლამით ჩემს აივანთან გამართული მიტიგი რომ დაიშალა, ნაგვის გადასაყრელად გამოვძვერი. სადარბაზოს კარებზე ანებებულ ვატმანზე ნავიკითხე: „სესე დიდი და მამა გიორგი – ჩვენი მესაჭე, ჭკვა, ღირსება და სინდისია!“ იქვე კუთხეში მრავალი ხელმონერაც შევნიშნე, დემონსტრანტების და გამვლელი უსაქმურების მიერ შეგროვებული. ორი-სამი ნაბიჯი არ მქონდა გადადგმული, როდესაც ისეთი დაწყვილებული პანღურ-„შალაბანი“ მომხვდა, გაგიხარდებო, რომ იტყვიან. სიბნელეში ვერ გავარჩიე, ისე, წვერით და სიმაღლით ერთზე მაქვს ეჭვი. ქალიც ახლდა, თმებში მწვდა, იძირება ინგლისიო! – კიოდა, – დღეს რა წყალდიდობა იყო ამერიკაში, ვერ ნახე, შე თვალეზდასაბსებოო. მოკლედ, მთელ საზოგადოებას არ სძინავს, „მართალი“ რწმენის და ნაციონალური უსაფრთხოების სადარაჯოზე ფხიზლად დგას.

შედეგად აქ ვარ – ბაბილონის №1 ჯოვანი მოჩენიგოს სახელობის ფსიქიატრიულ საავადმყოფოში. პირველი, რაც მინდა გახარო, წინ წასულა მედიცინა! გახსოვს, ალბათ დროპერიდოლი, აკი გიყვებოდი, ახალგაზრდობაში შემომპარეს ექთნებმა, ერთი დღე და ღამე ბარნოვის ხიდზე ვიდექი და ვფიქრობდი: ახლავე გადავხტე და კეკელიძის ქუჩას დავვხეთქო თუ მეზარება? ჰოდა, დროპერიდოლი ისე დაუხვწნავთ, ძველი, „გედეონ რიხტერის“ პრეპარატი მოგენატრება კაცს! ასჯერ ძლიერია, 1000-ჯერ! „დროპერ-

იდოლ-ლუქს“! გარდა იმისა, რომ თავში ვილაც ლოდებით ყომარს აგორებს, იმავდროულად გული მაქვს ამოვარდნაზე და არა მხოლოდ კუნთები, თმებიც მტკივა, ნაწმამებიც კი! ყველა სიკეთესთან ერთად, კუჭშიც ხსნის – ალბათ ბევრი რომ არ იბუინო. 24 საათი მოქმედებს, მაგარია!

ვდევარ ასე, გაქვავებული, ცივ პალატაში გისოსებიან ფანჯარასთან. დღეს წესიერად მოქცევაზე პირობა დავდე და თანაც ჩემებმა მთავარ ექიმს ფული მისცეს – „დროპი“, ასე ვეძახი მოფერებით, აღარ გამიკეთეს. მხოლოდ ფენაზე-პამს, ელენიუმს, ფინლეფსინს, ამიტრიპტილინს, ნოოტროპილს, ლომპარკინს და რამდენიმე აბს მაძლევენ, რომელთა დასახელება არ ვიცი. მეც შევიფხიზლე და გწერ. აბნეულად გამომდის, რა ვქნა? წამლები მოქმედებს, თითო სიტყვის მოფიქრებაზე დრო მიდის. დასაწყისში შენი სახელიც კი ვერ გავიხსენე... ასე რომ, მომიტევე, რას იზამ ჩემო მმ... – იმედის გაცრუების უფლება ყველას აქვს... გაგიუბისაც.

ჩემო საყვარელო მმ..! შენ კარგად მოგეხსენება (აბა, რისთვის გავიარეთ ასეთი ძნელი ცხოვრება?!), სიმართლე ჩვენ გარშემო მუდამ ცოტაა, ხშირად არც კი არის საერთოდ. ცნობილი რამაა, თუ არ გაიგებ დღევანდელ სიმართლეს, ხვალ ახალი, მეტი სიცრუე იქნება და სინდისიც მეტად შეგანუხებს. ველარ გავძელი ამ „სუუ, ჩუუ, რა შენი საქმეა“-ს ვითარებაში, ვერა! ამდენი წელი (7!) თავს ვიტყუებდი, რომ ყოველივე ვიცოდი, მუდამ მართალი ვიყავი და მხოლოდ ჩემი გზა იყო ჭეშმარიტი. აღარ მსურს, „უგუნურებთან“ მუდამ მართალი ვიყო, ყველაფერი ვიცოდე და ყოფიერების ნებისმიერ კითხვაზე მქონდეს გამზადებული ციტატა! აბა, რალა აზრი აქვს ცხოვრებას?! დამლალა დაბეჯითებით დაკანონებული, ჩაქვავებული ჭეშმარიტებების ამდენმა წარმოთქმამაც და სმენამაც! უგუნურობა მომენატრა. მინდა,

რალაც არ ვიცოდე, ეჭვი მეპარებოდეს ჩემს ცოდნაში, ჩემს სინდისიერებაშიც, თუ გნებავს. გაიხსენე რამდენი, ათეულობით წლის ღამეები გვაქვს ნათევი იმის გარკვევაში, თუ რა არის კარგი და რა – ცუდი. ამდენ ამაყობას არამართლობა მიჯობს! მსურს, ცუდი ვიყო და ცუდებთან ვიმეგობრო. მე დამნაშავეის როლს შემაჩვია ცხოვრებამ!

შევაჯამებ და ვიტყვი: მინდა ისეთი ვიყო, როგორიც ვარ, ან უკეთესი, როგორიც მსურს გავხდე და არა ისეთი, როგორსაც ჩემგან სხვები ელიან. შენმა მეუღლემ მომწერა, მაგარი ხარ, ლუთერის ბილიკით წასულხარო. მაგარი რომც არ ვიყო, სხვა რა გზა მაქვს, როო? ნახევარ საუკუნეს გადაცილებულმა, სანამ ვუყურო, თანაც აღფრთოვანებით: უკიდევანო პატივმოყვარეობას, უფიცობას, ფულის გამოძალვას, უხეშობას და ბევრ სხვა ამგვარს. ვიძახო: „ო, რა კარგი მამაოა! ო, რა სათნოა!“ კმარა! 7 წელი ვზიდე ბაბილონის კოშკის მშენებლობაზე აგური, დავიღალე, მომბეზრდა! მე, როგორც ებრაელი ერი ეგვიპტიდან – გამოვდივარ ბაბილონიდან! თავს აღარ ვთვლი მოვალედ შევასრულო ნებროთის, ჰამურაბისა და ნაბუქუდონოსორის მიერ ათასობით წლის წინ დანერგილი კანონები!

მთავარი კითხვა: „გამოსვლა“ შედგა – საით მაქვს გეზი? ჯერ მხოლოდ სახელდება: შავს შავი ვუნოდო, თეთრს – თეთრი. ჩემი აზრით, ასე იწყება პიროვნების გათავისუფლება მანკიერი მითებისაგან. ვაი! სანიტრის ფეხის ხმა მესმის, ჩემი პალატისკენ მოიპარება, ვილაც მოჰყვება თუ მოჰყავს... სუუ, ჩუუ...

ჩამძინებია, სიცვიემ შემალვია. ხომ იცი საავადმყოფოს სანოლის ამბავი, საბანიც თხელია, ბალიში ერთი მუჭა. ფანჯრებში ღრიჭობია დიდი. აქვე რაფაზე ვილაც კოლეგას ამოუტივიფრავს: „ცხვარი ცხვარია – თუ გაბრაზდა ცხარეა!“

ვაგრძელებ ჩემო მეგობარო მმ., ხელნანერს დედა გადმოგ-
ცემს: „სუუ, ჩუუ...“!

გახსოვს, პირველად ნაკითხვის შემდეგ მითხარი – „კარ-
გია, მომწონს, ოღონდ სიუჟეტი არა აქვს, ამბებია დაცალკე-
ვებული, ეცადე რაიმე ერთი ხაზით შეკრა“. შენ როგორც
თბილისელს, ნაკლებად გესმის ჩვენი სპეციფიკა. საიდან,
ბიჭო, ბაბილონში სიუჟეტი?! ჩვენი მთავარი გასაჭირი
უსიუჟეტობაა! „დაიბადა, დაიჩაგრა, მიეჩვია პანღურებსა
და „შალაბანებს“ – უძლებს, რა ქნას, ლოთობს ან იჩხირავს,
ამჟამად ელოდება სიკვდილს – ეგ არის და ეგ.

ჰო, მამა გიორგიმ იერუსალიმში მგ ზავრობას მოუხშირა.
ეშველა ოდნავ გაბოიას! გაუმართლა თეა დეიდასაც! დე-
დაკაცმა გააღლო მამაკაცის ყინულოვანი და ევას უმანკო,
ზიზლით სავსე გულები. 2-3 კვირაში ერთხელ დააქროლებს
მღვდელს წმინდა ტურებში „მოსალოცად“ – ასე ეძახიან
ახლა ექსკურსიებს იერუსალიმში. „მაღლის ქვეები“ მოაქვთ
მოურიდებლად, ჩემოდნებით. უკანასკნელი „პაეზკიდან“
იმდენი „წმინდა მინა“ ჩამოუზიდავთ, მრევლს ფული და სა-
პასუხო საჩუქრები არ ეყო, მთლიანად რომ შეესყიდათ და
სათნოების სახლს გადასცეს უსასყიდლოდ.

მაგათ, ჩემო მეგობარო მმ., რა ენაღვლებათ, ჩვენგან
განსხვავებით, რა მოკლავს? აქ, ცოდვილ დედამინაზე შექ-
მნეს მუდმივი „მართლობის“ და ნეტარების სამეფო. ნერვიუ-
ლობა, უძილო ღამეები, გაურკვევლობამ, ეჭვმა, ძიებებმა
რომ იცის – არავითარი! ყოფიერების ნებისმიერ კითხვაზე
მოკლე, ფენაზეპამივით დამამშვიდებელი ციტატა. მისხალი
ეჭვი – არა! რა მოკლავს, აბა?!

აღბათ გაინტერესებს, ჩემო მეგობარო მმ..., რა დამოკი-
დებულებაში ვარ ამჟამად ეკლესიასთან, ქრისტესთან?..
გაივლის წლები და მამა გიორგისა და სესეს შემხედვა-

რე, ჩვენი შვილები აღარ მივლენ მხოლოდ ბრწყინვალე წეს-ჩვეულებებზე დამყარებულ ეკლესიაში (ჯერ „ძველები“ გამოვრბივართ). ვინლა ჭამს მაგათ მითებს?! ვინლა მიაჩრდება მაგათ უცდომელობას და კრიტიკის დაუშვებლობას? ვინ?! ასე რომ, წინაპართა რწმენა ჩემთვის ისტორიულ ტრადიციად იქცა!... თუ თყ და ნავოს... მებანყპოყოს' მოჩენიგოს! Соч но Пассаран! აი ემ Мосე... უდაბნოში ვივლით კარგა ხანს...

უჰ, რა მომანვა წყეული „დროჰი“... გასწორდა რამსები, როგორც იქნა! ცოტაოდენი მოთმინება და ვამთავრებ, ჩემო მმ., სანამ დაგემშვიდობებოდე, მინდა რამდენიმე დავალება მოგცე, მათ შორის – ჩვენს მრევლთან, რადგან ამ ხალხისგან დიდად დავალებული ვარ. როდესაც მიჭირდა, ხორციით და სულით ავად ვიყავი, ბევრმა, თუ ყველამ არა, დიდი გულისხმიერება და სითბო გამოიჩინა ჩემ მიმართ. ამიტომ უმო-რჩილესად გთხოვ, რამდენიმე განმარტებითი ფრაზა მათ გადასცე.

„მართლობისა“ და ფარისევლობის ნიღაბს ამოფარებული მათი პიროვნების უკან ჩანს ცოცხალი, გატანჯული ადამიანი, რომელსაც არაფერი დაუშავებია, მას უბრალოდ ცუდ დროს მოუწია ცხოვრება. ყველა ამ პიროვნებაში აღმოაჩენ კარგ, მოსიყვარულე, სათნო არსებას, როგორებიც ისინი ღმერთმა შექმნა. მე ისინი, ეს კარგი ადამიანები მიყვარს! მეტად ზუსტად რომ ვთქვა, ვცდილობ, შევიყვარო. ისინი სხვისმა მანკიერმა ნებამ და დუხჭირმა ცხოვრებამ შეცვალა. მათი ბრალი ამგვარ გარდაქმნაში მინიმალურია, მათ უბრალოდ გონებრივი სიფხილზე ვერ გამოიჩინეს. არც მათი განათლებაა ამ სიფხიზლისთვის საკმარისი, აბა, როდის მოიცლიდნენ წიგნისათვის საწყლები, განვლილი ბობოქარი 20 წლის განმავლობაში?! მათ ხომ შვილები ჰყავდათ

გამოსაკვები, მათ ყოფა-ცხოვრებაზე უნდა ეზრუნათ, „პური არსობისა“ მოეპოვებინათ. ძირითადი დამნაშავენი კი ის ბატონები ბრძანდებიან, რომელთაც მათ ასეთი „კარგი“ ცხოვრება შეუქმნეს და შემდეგ მათი დაბეჩავებით ისარგებლეს! ყველასთან ერთად ჩვენც მორიგ „დაკარგულ თაობად“ გვაქციეს! გადაეცი მათ ეს წერილი, ჩემო მომთმენო მმ...:

„ჩემო საყვარელო დეიდებო და ბიძიებო, ბებიებო და ბაბუებო! თქვენ გეტყვიან ჩემზე, ეკლესიასა და ღმერთს ებრძვისო! ტყუილია და ცილისწამება!

მე მხოლოდ უფიცობას, ამპარტავნებასა და ვერცხლის-მოყვარეობას ვებრძვი, რომელმაც ასე გაიდგა ფეხი ჩვენს ეკლესიაში.

მე ვებრძვი კომუნიზმსა და ტოტალიტარიზმს, ფასადურ და ტაძრულ, წეს-ჩვეულებების აღსრულებაზე და არა სიყვარულსა და თავგანწირვაზე დაფუძნებულ რწმენას. მე ვებრძვი ახალ ბაბილონს!

მე მინდა, რომ თქვენ შემყვართო მე! მე ვოცნებობ, რომ თქვენ დაიწყოთ ფიქრი და დამოუკიდებელი აზროვნება!

მე მსურს, რომ თქვენ განაგდოთ მამა გიორგისა და მეუფე სესეს (და მათი მსგავსების) აზრები და ბრძანებები, რათა თავი დააღწიოთ ეგვიპტის მონობას!

მე მინდა, რომ თქვენ მიხვდეთ და დაინახოთ, თუ რა მინდა მე!

მე მჯერა, ისევე როგორც ჯიმ ფილცუოტერის ერთ თანამემამულეს სჯეროდა, „ადამიანური სულის სიდიადის და მისი გამარჯვების!

საუკეთესო სურვილებით,

ზურა (J. F. Bruno)

2007 წელი“.

...ვდევარ ლოგინზე, გისოსებიან ფანჯარასთან. არა უშავს, ჩემო ყრმობის მეგობარო მმ..., აქედან გამოვალ და კვლავ ერთად შევუდგებით „ნიუ-ბაბილონში“ მენტალური რევოლუციის მომზადებას! ვერ შემაშინებენ, გავუძლებ დროპერიდოლს, დიდი გამოცდილება მაქვს ფსიქიატრიულში გამომწყვდევისას მიღებული. გაიხსენე, როგორ გადმოვეშვი „კუკუშკის“ ინდიელივით ნარკოლოგიურის სახურავიდან სანაპიროზე და იმ ღამით შენთან ფეხმოტეხილი მოვედი. ფრენისას ხის ტოტზე შარვლით ჩამოკიდებამ გადამარჩინა სიკვდილს. ამჯერადაც გამოჩნდება ჩემთვის გამოსული როკი. გამოვალ, გამოვალ და ჩამოვალ შენთან თბილისში!

2007 წელი